გაზეთი ზღვრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№29 (785) 15 – 17 მარტი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი
40 თეთრი

## „ჯერ დიდი ბიძინა რას აკეთებს, რომ პატარამ ასეთი რამ დაიბრალოს?!“



გვ. 3

პრემიერის პირველი შეხვედრა რეგიონული მედიის ჟურნალისტებთან



## მინისტრების ხელფასები 12%-ით შემცირების ნაცვლად, გაიზარდა?!

გვ. 8

## საგადასახადო ომბუდსმენი გადასახადის გადამხდელთა უფლებებს დაიცავს

შეძლებს თუ არა ბიზნესის დაცვას პრემიერის მიერ დანიშნული კადრი და რატომ შეცვალა ივანიშვილმა ომბუდსმენის სტატუსი

გვ. 9

## „გია ბარამიამ იცის, რომ სტრუქტურაში მისი დარჩენა შეუძლებელია!“

რატომ ჰგონია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადადგება და აქვს თუ არა ბარამიას ჩანაცვლების სურვილი **ადა მარშანიას**

გვ. 5

## საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის 700-მდე სტუდენტს სტატუსი შეუჩერეს

რატომ შეცვალა სასწავლებლის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულების პირობები

გვ. 13

## კანონი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, საბჭოთა ანაბრები გაისტუმროს

გვ. 10

## ვაკე-საბურთალოს გზატკეცილის პროექტის ავტორი გზის მშენებლობის დროს დაშვებულ ხარვეზებზე და მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს



გვ. 8

რა კავშირი აქვს ექსმინისტრს, პროფესიით გინეკოლოგ პაატა ცრაპაიძეს გზის მშენებლობასთან და დადგება თუ არა, ვაკე-საბურთალოს გზაზე გრუნტის ჩამოშლის გამო უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი

## „როგორ გაბედეს და თეატრი გამიყიდეს! თავს მოვაჭრი ყველას, ვინც ჩემს თეატრს შეეხება!“

რას ელოდება ბიძინა ივანიშვილისგან სააკაშვილის მიერ 1 დარად გაყიდული პანტომიმის თეატრის ფუძემდებელი ამირან შალიკაშვილი

გვ. 12






გვ. 5



# „საქართველოს რკინიგზა“ ადასტურებს, რომ 18 მილიონი ლარით იაგო ჩოჩელის კომპანიებმა დააზარალა

## მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ძმასთან ერთად, კორუფციულ სქემაში ეკონომიკის სამინისტროსა და „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ



რუსუდან შელია
557-100-768

სანამ „საქართველოს რკინიგზა“ საზოგადოებას მოქმედების ახალ სტრატეგიას გააცნობს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძე იმ ფინანსური დარღვევების შესახებ საუბრობს, რომელიც წლების განმავლობაში სტრუქტურაში ხორციელდებოდა. გუნცაძის განცხადებით, გაშიფრულია სქემა, რომელმაც კომპანია იმიჯთან ერთად ფინანსურად, კერძოდ, 15 მილიონი ლარით დააზარალა. 2000 წლიდან შპს „რკინა-ბეტონის შპალის ქარხანა“ „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილი კომპანიაა. 2007 წლის 22 მაისს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს რკინიგზას შპალის ქარხნის საწესდებო კაპიტალის კორექტირება და საწარმოს 100%-იანი წილის სახელმწიფოსთვის გადაცემა დაევალა. აღსანიშნავია, რომ საწესდებო კაპიტალში „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ რკინა-ბეტონის შპალის ქარხნის კრედიტორულმა დავალიანებამ 6 278 012 ლარი შეადგინა. ამის შემდეგ, 2010 წლის 20 ივლისს რკინიგზის ხელმძღვანელობამ 474 000 ცალი შპალის შესყიდვასთან დაკავშირებით, ტენდერი ჩაატარა, სადაც ლოტის საერთო ღირებულება 43 702 800 შვეიცარული ფრანკით განისაზღვრა. ტენდერში მონაწილეობა სამმა კომპანიამ მიიღო: **„ნიუ ენერჯი“, „მიქსორი“ და „რკინა-ბეტონის შპალის ქარხანა“. 2010 წლის 20 აგვისტოს კი, ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, „საქართველოს რკინიგზამ“ შპალის შესყიდვაზე ხელშეკრულება „შპალის ქარხანას“ გაუფორმა, რომლის საერთო ღირებულებამ 43 307 000, ხოლო საცალომ — 91,4 შვეიცარული ფრანკი (159, 93 ლარი) შეადგინა და ეს მაშინ, როდესაც მარაბდა-კარწახისა და შემოვლითი გზის კონტრაქტორ კომპანიებს შპალი 141, 7 ლარად (18,2 ლარით ძვირი) მიეწოდებოდათ. ამის შემდეგ, ზუსტად ხუთ დღეში, 2010 წლის 25 აგვისტოს, ეკონომიკის სამინისტროს წერილებისა და საქართველოს მთავრობის №34 ოქმის საფუძველზე, რკინიგზასა და შპალის ქარხანას შორის ვალის პატიების შეთანხმება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც, შპალის ქარხანას რკინიგზის ვალი — 6 278 012 ლარის ოდენობით აპატიეს. ზუსტად ორ კვირაში კი, ეკონომიკის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე, შპალის ქარხანა პრივატიზებულ იქნა და იგი კომპანია „მიქსორმა“ შეიძინა, რომლის დამფუძნებელი მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის ძმა, იაგო ჩოჩელია. შპალების ტენდერში სწორედ იაგო ჩოჩელი მონაწილეობდა. სქემის შედეგად, საქართველოს რკინიგზას, დაახლოებით, 15 მილიონი ლარის ზარალი მიადგა“,** — აღნიშნა მედიის წარმომადგენლებთან საუბრისას, კოკა გუნცაძემ. მისივე განცხადებით, ცეზარ ჩოჩელის ძმასთან ერთად, აღნიშნულ სქემაში ეკონომიკის სამინისტროსა და „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი მაღალჩინოსნების ბრალეულობა იკვეთება, რომლებიც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, არ დასახელდნენ.

დარღვევებთან დაკავშირებით, რკინიგზის ხელმძღვანელობის მიერ მოპოვებული მასალები პროკურატურას უკვე გადაეგზავნა.



# ბიძინა ივანიშვილი ევროპის სახალხო პარტიას ღია წერილით მიმართავს

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ევროპის სახალხო პარტიას ღია წერილით მიმართავს და ევროპის ამ **„ყველაზე დიდ, გავლენიან და წარმატებულ პოლიტიკურ ძალას“**, იმის გამო, რომ კითხვები უჩნდება საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ, მოუწოდებს — საქართველოში მოავლინოს ხანგრძლივი დამკვირვებლები პროცესების ადგილზე მონიტორინგის მიზნით: **„მოგიწოდებთ, სანამ „ევროპის კარის დახურვის“ შორსმიმავალ დასკვნებს გააკეთებთ, მოავლინოთ ხანგრძლივი დამკვირვებლები და თავად დარწმუნდეთ, რომ საქართველოს ხელისუფლების ურყევი პოლიტიკური ნებაა დემოკრატიული მმართველობა, ჩვენი მისიაა კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების უპირობო, განუხრელი და ცალსახა ერთგულება. ხოლო ქართველი ხალხის მოთხოვნა და სურვილია ნამდვილი, ჭეშმარიტი დასავლური ღირებულებებით ცხოვრება და განწირულია ყველა ხელისუფლება, ვინც ამ გზიდან გადახვევას მოინდომებს. ეს ქართულმა საზოგადოებამ უკვე მრავალჯერ დაამტკიცა.**

**ქართულ საზოგადოებაში, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მადლიერია დასავლეთის დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, არსებობს კითხვები, პოლიტიკური ძალების იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც მიესალმებოდნენ ძალადობაზე, ღირსების შელახვაზე, დამცირებაზე, სიღატაკესა და უიმედობაზე დამყარებულ ფასადურ დემოკრატიას და დღეს მწვავედ აკრიტიკებენ საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომელიც არა ფასადის შელამაზების, არამედ რეალურად, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას ადგას“,** — ნათქვამია ივანიშვილის წერილში, რომელიც თავის პატივისცემას გამოხატავს ევროპის სახალხო პარტიის მიმართ.

**„მაგრამ კითხვები, რომელზეც ზევით იყო საუბარი, პასუხს მოითხოვს“,** — განაგრძობს ივანიშვილი და დასძენს, რომ **„სახალხო პარტიის პოპულარობისა და სიძლიერის გათვალისწინებით, განსაკუთრებულია მისი პასუხისმგებლობაც ევროკავშირის სამეზობლოში მყოფი იმ ქვეყნების მიმართ, ვინც დიდი იმედით და მოლოდინით შევყურებთ ჩვენი და ევროკავშირის დაახლოებას, ბარიერების დაძლევას და საბოლოოდ, დიდი ევროპული ოჯახის წევრობას“.**

პრემიერ-მინისტრი თავის წერილში 2004 წელს განხორციელებულ საკონსტიტუციო რეფორმაზე საუბრობს, რითაც **„პრეზიდენტმა კონსტიტუციური დიქტატორის როლი მოირგო, რაც ყველაზე კარგად იმ დებულებებში ჩანს, რომელიც მას აძლევს უფლებას, ერთპიროვნულად და უვადოდ, პარლამენტის თანხმობის გარეშე, დანიშნოს მთავრობა“.**

სწორედ ამ დებულების შეცვლას ისახავს მიზნად მმართველი კოალიცია კონსტიტუციაში იმ შესწორებების შეტანის შედეგად, რომელზეც კენჭისყრა პარლამენტში მომავალ კვირასაა დაგეგმილი.

**„იქნებ თქვენგან, დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსებისაგან მაინც მივიღოთ პასუხი, ნორმალურად და დემოკრატიასთან თავსებადად მიგაჩნიათ თუ არა, პრეზიდენტი მთავრობას ნიშნავდეს ისე, რომ პარლამენტს არაფერი ეკითხებოდეს? იცით კიდევ ერთი დემოკრატიული ქვეყანა, სადაც მსგავსი სისტემა მოქმედებს? და თუ ამ ორ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გაქვთ, ნორმალურად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ იდეის ავტორი და დამცველი პოლიტიკური გაერთიანება თქვენი პოლიტიკური ოჯახის წევრია?“,** — მიმართავს ივანიშვილი ევროპის სახალხო პარტიას.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი ხშირად აცხადებს, რომ არ გამოიყენებს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ ამ ძალაუფლებას და არ დაითხოვს ამჟამინდელ მთავრობას, მას **„მმართველობის 9 წლის მანძილზე არასოდეს უთქვამს უარი, უფრო მეტიც, ძალაუფლების კიდევ უფრო განმტკიცებისთვის რეგულარულად ცვლიდა კონსტიტუციას“,** რაზეც წერილში ივანიშვილს კონკრეტული მაგალითები მოჰყავს, მათ შორის 2006 წლის ბოლოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება, რომელიც „საშუალებას აძლევს, 5-წლიანი ვადით არჩეულ პრეზიდენტს პოზიციაზე 10 თვით მეტი ხნის განმავლობაში“ იმყოფებოდეს.

წერილში ივანიშვილი იმ ფაქტებსა და მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას, რასაც ადგილი ჰქონდა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის წლებში მართლმსაჯულების, მედიის, არჩევნების, კორუფციის, ადამიანის უფლებების სფეროებსა და ძალადობის კუთხით.

**„დიახ, მთავრობა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. მემკვიდრეობა სახარბიელო არ მიგვიღია“,** — აცხადებს ივანიშვილი.

ის ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ არსებული მოლოდინი ხშირად განსხვავებულია: **„ქვეყნის შიგნით საზოგადოება წლების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის სწრაფ და უკომპრომისო გამოძიებას ითხოვს. ქვეყნის გარეთ კი, პირიქით, „სუფთა ფურცლიდან“ დაწყებისკენ მოგვიწოდებენ, რაც, ჩემი აზრით, მხოლოდ დაუსჯელობას წაახალისებს. ჩვენი ამოცანაა, ბეწვის ხიდზე გავიაროთ და ისეთი შუალედი ვიპოვოთ, რაც არც სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის იდეას დააზარალებს და არც პოლიტიკური დევნის შთაბეჭდილებას შეუქმნის ვინმეს. მერწმუნეთ, ეს ძალიან რთული ამოცანაა, მით უფრო ისეთ ქვეყანაში, სადაც პარტია და სახელმწიფო სისტემა აბსოლუტურად შეზრდილი იყო ერთმანეთთან“.**

*„სივილ.ჯე“*

## ვერსიანიუსი

### პრეზიდენტი ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება. სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ პრეზიდენტის ოფიციალურ გვერდზე გავრცელებული განცხადების მიხედვით, მიხეილ სააკაშვილი „ევროპის სახალხო პარტიის“ პრეზიდენტის, ვილფრედ მარტენსის პირადი მოწვევით EPP-ის სამიტის მუშაობაში მონაწილეობს.

**„სამიტის მთავარი თემაა ის ევროპული ფასეულობები და მისწრაფებები, რომლებიც ევროპელ ლიდერებს აერთიანებთ“,** — ნათქვამია განცხადებაში.

ევროპის სახალხო პარტიის სამიტს ევროპელი ლიდერები, სახელმწიფოთა მეთაურები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის, ესპანეთის, გერმანიის, პოლონეთის, რუმინეთის, მოლდოვის, სომხეთისა და სხვა ქვეყნების პირველი პირები ესწრებიან.

*„ინტერპრესნიუსი“*

### IRI-ის გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ხელისუფლებას ჩავარდნები არ აქვს

2013 წლის 18-27 თებერვალს, „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ IRI-ის დაკვეთით და USAID-ის დაფინანსებით გამოკითხვა ჩაატარა. პირისპირ ინტერვიუს მეთოდით 18 წლის ზემოთ 1 500 ქართველი რესპოდენტი გამოიკითხა. ცდომილება 2,5%-ს არ აღემატება.

კვლევა რამდენიმე საკითხს ეხებოდა. ერთ-ერთი მთავარი კითხვა იყო, მხარს უჭერთ თუ არა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა დაპატიმრებებს. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსნის დაპატიმრებას მხარს უჭერს. 51% ზოგიერთი მათგანის დაპატიმრებას ემხრობა, 30% — ყველას დაპატიმრებას, 12% — არც ერთის, ხოლო 7% კითხვას არ პასუხობს ან ამბობს, რომ არ იცის.

IRI-ის კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 51% ახალი მთავრობის ჩავარდნას ვერ ასახელებს. 20% მიიჩნევს, რომ ახალ მთავრობას ჩავარდნა არ აქვს.

სხვა მხრივ, მთავრობის ჩავარდნებზე პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად ნაწილდება: საყოველთაო ამნისტია — 5%, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი დაპირისპირება — 3%, დაპირებების შეუსრულებლობა — 3%, კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება — 2%, დაკავებები — 2%, ოპოზიციასთან დაძაბული ურთიერთობა — 2%, ნაციონალური მოძრაობისადმი ლოიალურობა — 2%, დასაქმების პოლიტიკა — 2%, შიდა კონფრონტაცია — 2%.

ინსტიტუციების მიმართ ნდობის რეიტინგში კი, პირველ ადგილზე, 95%-ით, კვლავ ეკლესიაა. მას 91%-ით მოჰყვება ჯარი, ხოლო მესამე ადგილზეა პოლიცია — 89%-ით. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ნდობის რეიტინგებში მე-15 პოზიციაზეა. მას 39% ენდობა, 49% კი — არა.

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ ბოლო კვლევის შედეგად, ინსტიტუციებისადმი ნდობის რეიტინგის მაჩვენებელი, პოლიციის შემდეგ, შემდეგნაირად გრძელდება: ქართული მედია — 84%, პარლამენტი — 82%, მთავრობა — 81%, პროკურატურა — 75%, საგანმანათლებლო სისტემა — 63%, სასამართლო — 62%, ეროვნული ბანკი — 54%, ომბუდსმენი — 49%, პოლიტიკური პარტიები — 43%, ცენტრალური საარჩევნო კომისია — 42%, ადგილობრივი ხელისუფლება — 42%.

ადგილობრივ თვითმმართველობებს მოჰყვება პრეზიდენტის ადმინისტრაცია — მას 39% ენდობა. ამის შემდეგ მოდის რწმუნებულები, რომელსაც 33% ენდობა. ბოლო პოზიციაზე კი, სავაჭრო კავშირებია 21%-იანი ნდობით.

*„ვერსიანიუსი“*

# „ჯერ დიდი ბიძინა რას აკეთებს, რომ პატარამ ასეთი რამ დაიბრალოს?!“

**14 მარტს ბიძინა ივანიშვილი, პრემიერ-მინისტრის რანგში, რეგიონული მედიის წარმომადგენლებს პირველად შეხვდა. პრემიერის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა მასმედიასთან, დაახლოებით, სამსაათნახევრს გაგრძელდა და როგორც ივანიშვილი ჟურნალისტებს შეხვედრის დასაწყისში დაპირდა, თითოეულ მათგანს კითხვის დაფიქსირების საშუალება მართლაც მისცა. „ვერსია“ მცირე შემოკლებით გთავაზობთ ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციას, რომელიც პრემიერმა ერთგვარი ანგარიშით დაიწყო.**



პრემიერის პირველი შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან

— საუბარი თვითმმართველობის შესახებ კანონით მინდა დავიწყო — ხალხი დღემდე ვერ ახერხებს, აკონტროლოს ხელისუფლება. ჩვენ საკუთარი ქვეყნის მართვა ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ და ბოლო წლების ყველა პრობლემა სწორედ ამითაა გამოწვეული. ეს თემა მთავრობის სხდომაზეც განვიხილეთ, მუშავდება კონკრეტული სტრატეგია ამ რეფორმასთან დაკავშირებით, შედეგად, ჩამოყალიბდება ორდონიანი მუნიციპალური და რეგიონული თვითმმართველობა, ხოლო სოფლებში გვექნება თემები, რომელთა მმართველი რგოლები არჩევითი იქნება. გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რიცხვიც და შეიქმნება საზოგადოებრივი თვითმმართველობის საბჭოები. რაც შეეხება ჩვენს შედეგებს: 2013 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის 200 მლნ ლარია გამოყოფილი, რეგიონული განვითარების ფონდის ბიუჯეტი 140 000 ლარითაა გაზრდილი. ინვესტიციების გაზრდისთვის, ბუნებრივია, დრო გვჭირდება და ამისთვის ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შექმნა უნდა მოვახერხოთ, რაც დღეს შესაშური არაა. ჩვენ ვერ ვახერხებთ სრულფასოვან კოჰაბიტაციას, ეს ახალი სიტყვა მეც ვისწავლე. მახსოვს, როცა ბრიუსელში პირველ შეხვედრას ვაპირებდი, რამდენიმე მეგობარ ელჩთან გავიარე კონსულტაცია და გამაფრთხილეს, იქ აბსოლუტურ ფიასკოს განიცდი, თუ ამ თემებზე ასე ისაუბრებ, რადგან ჯერ ევროპა მზად არ არისო. გავიდა 4 თვე, ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ ევროპასა და ამერიკასთან. იქ შესაძლოა, ჯერ კიდევაა იმის განცდა, რომ საქართველოში ყველაფერი სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოს და არავინ დაისაჯოს, თუმცა ეს ასე ვერ იქნება!

**— ხშირად ამბობთ, რომ ადამიანურად, არ გესიამოვნებათ, თუ საპარლამენტო ოპოზიცია მხარს არ დაუჭერს საკანონმდებლო ცვლილებას პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცის შესახებ, მაგრამ პოლიტიკურად, ეს თქვენთვის უფრო მისაღებია. აგვიხსენით ეს პოზიცია?**

— მიხეილ სააკაშვილი იანვარშივე იყო მზად, ამ უფლებით ესარგებლა. ახალი წლის შემდეგ, ეს თემა არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც წამოვწიეთ და დასავლური სამყაროს ინფორმირებაც მაქსიმალურად მოვახერხეთ — ეს უპრეცედენტო ნორმა, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ 2004 წლიდან შემოიღო, ყველას გავაცანით. ახლა რჩება ერთი კვირა, ამ ცვლილების პარლამენტში კენჭისყრაზე გადასატანად და თამაში მთლიანად „ნაციონალების“ ველზე გადადის — მათი ხმები მხოლოდ მათვე მოუტანს ზიანს ან სარგებელს. თუმცა დიდი ალბათობით, საკმარისი ხმების რაოდენობა ამ საკონსტიტუციო ცვლილებას კიდეც ექნება. როგორ წარმოგიდგენიათ, „ნაციონალებმა“ ამ კანონის შენარჩუნება დღეს, 2013 წელს მოახერხონ?! ეს მათთვისვე იქნება კატასტროფა! „ევროპის სახალხო პარტიაში“ „ნაციონალების“ რეალური სახე მხოლოდ რამდენიმე დეპუტატმა ვერ დაინახა. იქაც დიდი სამუშაო ჩავატარეთ ლიდერებთან, ცნობილ პირებთან და დარჩა რამდენიმე დეპუტატი, ვინც სააკაშვილის საყრდენია. საპასუხო წერილიც გავგზავნე და მგონი, მალე, სააკაშვილს ეს ბასტიონიც დაერღვევა! 2013 წელს სააკაშვილის ადგილი არცერთ ევროპულ პარტიაში აღარ ექნება! „ნაციონალებს“ თუ ოპონენტებად განვიხილავ, ჩემთვის სასარგებლოცაა, საკუთარი თავი გაინადგურონ, თუმცა ამით სახეს საბოლოოდ დაკარგავენ, ამიტომ ვფიქრობ, სააკაშვილი მთავრობის დათხოვნას ვერ გაბედავს!

**— მაშინ ის ვარიანტიც ავიღოთ, სააკაშვილმა ეს მაინც რომ გაბედოს?**

— თუ გაბედავს, ის ჯერ მიიღებს ღიმილს და ამაზე მთელი საქართველო სიცილით მოკვდება, თუმცა მანამდე, საკონსტიტუციო ცვლილებები უნდა ჩავარდეს, რაზეც, არა მგონია, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთმუშტად შეკვრა მოხერხდეს. გარწმუნებთ, ეს თემა, უკაცრავად და, იმ დონეზე აყროლდება, რომ ვერცერთი მათგანი თავს მაღლა ვერ აწევს! მაინც განვიხილოთ ვარიანტი, რომ სააკაშვილმა შეინარჩუნა ეს დიქტატორული უფლებები, გადის ერთი თვე, ითხოვს მთავრობას და ალბათ, ახალს მერაბიშვილით, უგულავათი, ადეიშვილით დააკომპლექტებს, ამ უკანასკნელს თუ მოძებნის და ჩამოიყვანს საერთოდ. თავიდანვე გასაგებია, 3-ჯერ კი არა, 60-ჯერ რომ წარუდგინოს მისი კაბინეტი, რა თქმა უნდა, პარლამენტი არ დაუმტკიცებს. თუ ეს მაინც გაბედა, პირველ ეტაპზე, ჩვენგანაც და ქართველი ხალხისგანაც მიიღებს ღიმილს, ხოლო მეორე ეტაპზე, საოცარ რისხვას. ამიტომ მივმართავ საზოგადოებას — ნუ იძაბებით! ადამიანურად, ჩემი სურვილი სულაც არაა ნაციონალური მოძრაობის განადგურება, რასაც სააკაშვილი ხშირად მაბრალებს ხოლმე. ჩვენ არავითარი საჭიროება არ გვაქვს „ნაციონალების“ მხრიდან ამ საკონსტიტუციო ცვლილებაზე მხარდაჭერისა. თუ ეს ცვლილება ჩავარდა, გამოდის, სააკაშვილი საკუთარი პარტიის წინააღმდეგ ყოფილა! ეს მხოლოდ მათი თამაშია, თორემ ხმის არმიცემით გოკა გაბაშვილს მხოლოდ გოკა გაბაშვილის დაზიანება შეუძლია. მე და ჩვენს უმრავლესობას გოკა გაბაშვილის ხმა არც არაფერში გვჭირდება. ჩემი სურვილია, დეპუტატების უმრავლესობამ, რომელთა შორის, ბევრია გამოცდილი, სწორი პოზიცია დაიჭიროს!

**— სტალინის პერიოდშიც კი მეტი გამამართლებელი განაჩენი გამოდიოდა, ვიდრე 2005 წლიდან დღემდე. თქვენი და კოტე კუბლაშვილის შეხვედრა კოჰაბიტაციის მაგალითი იყო ან რას ნიშნავდა თქვენი ციტატა — მას აქვს ისეთი ავტობიოგრაფია, რაც საშუალებას აძლევს, უფლებამოსილების ვადა ბოლომდე მიიყვანოსო?**

— ზუსტად ჩამიჭირეთ! ამაზე კარგი პასუხი არ მაქვს, მაგრამ მაინც ვეცდები, გიპასუხოთ. ცოტა მერიდება, ვიცი, კუბლაშვილს სერიოზული დაავადება ჰქონდა და მას დაეხმარა პირადად სააკაშვილი, ამიტომ სერიოზული ვალდებულების გრძნობა ჰქონდა მის მიმართ. ვგრძნობდი, რომ სასამართლოში რაც ხდებოდა, ბევრი რამ მხოლოდ სააკაშვილის იდეოლოგიის ბრალი იყო. თუ გნებავთ, ვიტყვი, რომ მეც სააკაშვილის სისტემის მსხვერპლი ვიყავი ორნახევარი წლის მანძილზე და ვერ ვაცნობიერებდი, ვისთან მქონდა საქმე. რაც შეეხება კუბლაშვილს, მასზე არ გამიგია, ის დიდი მექრთამე, ან ძალიან მდიდარი ადამიანია. ისიც სააკაშვილის იდეოლოგიის მსხვერპლია და ვერ ახერხებდა ამ ერთი კაცის სისტემიდან ამოვარდნას. სასამართლოს იმ ნაწილში, რომელიც პოლიტიკას არ ეხებოდა, ძალიან ბევრი კარგი რამ გაკეთდა. მიმაჩნია, რომ კუბლაშვილი პროფესიონალია, მას აქვს დიდი გამოცდილება და ბევრი კარგიც აქვს გაკეთებული, ამიტომ ჩემი დიდი სურვილია, დაასრულოს უფლებამოსილების ვადა და ჩვენი ნიჭიერი კადრები მაქსიმალურად შევინარჩუნოთ. ნაციონალურ მოძრაობაში ბევრი ინტელექტუალი, გამოცდილი ადამიანია, გვყავს უმრავლესობა პარლამენტში, რომელსაც საპარლამენტო მუშაობის გამოცდილება არ აქვს. ახლაც სამი დეპუტატი უნდა ავირჩიოთ დამატებით და პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი ყოველდღე მახსენებს, არ გაბედო და ვინმე ცნობილი მსახიობი არ შემოიყვანოო. ისეთი ადამიანი გვჭირდება, ვისაც კანონებთან მუშაობა შეუძლია. ჩვენი გუნდიდან სამი კაციც ვერ მეხმარებაო, ასეთი პოზიცია აქვს უსუფაშვილს. მართალია, ჩვენთვის საყვარელი ხალხი შევიყვანეთ პარლამენტში და არჩევნები მოვიგეთ, მაგრამ პროცედურების ცოდნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს!

**— როცა თვითმმართველობის განვითარებაზე ვსაუბრობთ, მინდა, ფოთის მაგალითზე გკითხოთ — ფოთის მაჟორიტარი ეკა ბესელია შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობს, ის აკონტროლებს საკრებულოს, ნიშნავს თანამდებობის პირებს და ერევა საბიუჯეტო პროცესებში. ბესელიამ სატელეფონო საუბარში ფრიდონ კვარაცხელიას ისიც განუცხადა, ყველაფერი მე უნდა შემითანხმოთ, რადგან ივანიშვილმა ფოთი მე ჩამაბარაო. ეს მართლაც ასეა?**

— ასეთი რამ თუ მოხდა, ეს ძალიან ცუდია. როგორ ვიკადრებ, ვთქვა, რომ მას ჩავაბარე ის, რაც ჩემი არაა?!



*დასასრული მე-4 გვერდზე*

# „ჯერ დიდი ბიძინა რას აკეთებს, რომ პატარამ ასეთი რამ დაიბრალოს?!“



*მე-3 გვერდიდან*

თუ თქვენ გაქვთ ფაქტები, როგორ ამბობს ამას ბესელია, მაშინ ეს საკმარისი იქნება იმისთვის, რათა იგი პარტიიდან და ჩვენი გუნდიდან გაირიცხოს მხოლოდ ამ განცხადების გამო! ეს ამაზრზენია! თუ არსებობს ამის დამადასტურებელი მასალა, მაშინ რეაგირებას აუცილებლად მოვახდენ. რაც შეეხება გადაადგილებებს საკრებულოებში, ამ პროცესებში შეგნებულად არ ჩავრეულვარ. არჩევნების მერე ეს ყველაფერი ქაოტურად მოხდა და თეორიულად, გეთანხმებით, ცდომილებებიც აუცილებლად იქნებოდა, თუმცა სხვა რაიონებში მეტი ხმაური იყო, ვიდრე ფოთში. ისიც დასაშვებად მიმაჩნია, რომ ახალ გამგებლებად ისეთი ხალხი არ მოვიდა, როგორიც საჭირო იყო, არც ესაა ჩემთვის გასაოცარი. არც იმას გამოვრიცხავ, ზოგიერთმა მაჟორიტარმა ზედმეტად იაქტიურა პროცესებში, თუმცა არ მსმენია კონკრეტულად ბესელიას ჩარევების შესახებ და ესეც თეორიულად გიპასუხეთ.

**— როცა ზოგიერთი დეპუტატის ზედმეტ ჩარევაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება თუ არა აქ მურმან დუმბაძე და ხელვაჩაურის გამგებლისა და მისი მოადგილის მოხსნასთან დაკავშირებული მოვლენები და მისაღებია თუ არა მათი დაკავების ფორმა?**

— პირადად, მურმან დუმბაძე არ მქონია მხედველობაში, მაგრამ ალბათ, ჩემთვის მისაღები და სამართლიანი დაკავების ეს ფორმა არ ყოფილა. თუმცა ჩვენ ყველას გვჭირდება სწავლა, მათ შორის, მურმან დუმბაძესაც — აჭარა ერთ და ორ კაცს არ ეკუთვნის და ერთი კაცი არ მართავს იქ პოლიტიკას! პოლიტიკოსების ვალია, მათ კი არ აიღონ ხელში მაქსიმალური ძალაუფლება, არამედ საზოგადოებას დაეხმარონ მაქსიმალურ ჩართულობაში! საკადრო პრობლემები კი, ფაქტია, ყველა სფეროშია!

**— გადაცდენის კიდევ ერთ მაგალითზე გკითხავთ — ლუკა კურტანიძე ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტისა და სპორტსმენის ფიზიკური შეურაცხყოფაშია ეჭვმიტანილი, ირაკლი ღარიბაშვილმა კი ამ საკითხს პირადი კონფლიქტი უწოდა და გამოძიება შეწყვიტა. კურტანიძემ ერთ-ერთ გაზეთში მუქარის შემცველი მძიმე განცხადებებიც გააკეთა, რის შემდეგაც, პრემიის სახით, 4 375 ლარი აიღო — ხომ არაა ეს აგრესიის წახალისება თქვენი მხრიდან?**

— ლუკა კურტანიძეს პირადად ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ. ამას არ დავმალავ. მიუხედავად ამისა, ვაღიარებ, მას გამონათქვამებში ცდომილებები ჰქონდა და ახლაც აქვს და არა მარტო მას, მის სამეგრობროშიც შეიძლება არაკორექტული ადამიანები დავასახელოთ. ეს, რა თქმა უნდა, ცუდია და მათვე აზიანებს. კურტანიძეს თავშეკავება და კორექტულობა აკლია საუბარში, მაგრამ ცუდი კაცი არ არის. ხშირად ემოციებს ვერ ვიკავებთ და ისეთ რამეს ვამბობთ, რაც არ უნდა ვთქვათ. რაც შეეხება ინციდენტს, რაც მოხდა სამინისტროში, ყურმოკრულად მეც ვიცოდი ამ კონფლიქტის შესახებ და დიახ, რაღაც კითხვები მართლაც არის. გეთანხმებით, ვინც უნდა მონაწილეობდეს და რაც უნდა ხდებოდეს, საქმე ბოლომდე უნდა იყოს გამოძიებული, თუმცა მგონი, კანონის ფარგლებში გარიგებებიც ხდება და ორივე მხარე მორიგდა. რაც შეეხება სიძულვილის ენას, იგი საერთოდ არ უნდა გამოვიყენოთ. ამას, ხშირად, ჩვენი პრეზიდენტიც ვერ ახერხებს და მგონი, ჩემგან მსგავსი ფრაზები თქვენ არ მოგისმენიათ! ვცდილობ და თავს ძალიან ვაკონტროლებ. რაც შეეხება კურტანიძის პრემიას, ეს არანაირ კავშირში არაა მის საუბართან, შესაძლოა, მან რაიმე არასწორი გამონათქვამი მართლაც თქვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, სამსახურში წარმატებული არ არის!

**— საგარეო პოლიტიკაზეც ვისაუბროთ — ერევანში ვიზიტისას განაცხადეთ, ქართულ-სომხური ურთიერთობების გაუმჯობესების მომხრე ვარო. კონკრეტულად, რა არის შესაცვლელი ორი ქვეყნის ურთიერთობებში?**

— გუშინ მქონდა შეხვედრა ჩვენს მაჟორიტართან, რუსლან პოღოსიანთან, სამცხე-ჯავახეთში. ვგეგმავთ, უახლოეს მომავალში დიდი შეხვედრა გავმართოთ სომხების ბიზნეს-ელიტასთან, რომლებიც მოღვაწეობენ როგორც სომხეთში, ისე საზღვარგარეთ. აუცილებელია, სომხურ დიასპორას მეტი ყურადღება მივაქციოთ. მათ უკეთესი ინტეგრაცია უნდა მოახერხონ ჩვენს ქვეყანაში. ორი დღის წინ სატელეფონო საუბარი მქონდა სომხეთის პრემიერ-მინისტრთანაც, აქტიურად ვმუშაობთ საზღვრების დემარკაციაზე და დადებით შედეგებსაც ველოდებით!

**— შეგახსენებთ, არჩევნებამდე თქვით, აფხაზეთის დაბრუნებას საძირკველი ზუგდიდში უნდა ჩაეყაროსო — რა მზაობა აქვს ამისთვის მთავრობას?**

— პოლიტიკური ნება არსებობს, მაგრამ აქ სიჩქარემ შეიძლება დაგვაზიანოს. ჩემი აზრით, მდგომარეობა, რომელიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაშია, რუსეთისთვისაც მიუღებელია. კრემლის ჩინოვნიკებთან იატაკქვეშა ურთიერთობები ნამდვილად არ მაქვს, თუმცა ანალიზის საფუძველზე, შემიძლია ვთქვა, რომ შექმნილი ვითარება რუსეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობის უსაფრთხოებისთვის დადებითი სულაც არაა. ხვალ სურვილიც რომ გაუჩნდეს რუსეთის მთავრობას, ყველაფერი დააბრუნოს, პოლიტიკურადაც და ტექნიკურადაც, ასე იოლად არ გამოვა და გარკვეულ დროსაც მოითხოვს.

**— სამეგრელოსი არ იყოს, ყველა რეგიონს, სოფლებს ხალხი მასობრივად ტოვებს. რა შეიძლება გაკეთდეს ამ პროცესის შესაჩერებლად?**

— ისევ და ისევ ეკონომიკის განვითარება, რაც გარკვეულ დროსთანაა დაკავშირებული. მაგალითად, არაეფექტურია ქუთაისში პარლამენტი. სააკაშვილს ჰქონდა განცდა, რომ ასე ქუთაისს ააყვავებდა, მაგრამ ნამდვილად არაფერი აყვავებულა. ქუთაისი დაცლილია, კორპუსებში, ფაქტობრივად, ერთი-ორი ნათურა ანთია, ასეა ყველგან და ჩვენ ეს პროცესები უნდა შემოვაბრუნოთ!

**— ისე, რეგიონებსა და რაიონებში თქვენი სახელით ბევრი სარგებლობს, მაგალითად, კასპის გამგებელმა ოლეგ იაძემ განაცხადა, მე პატარა ბიძინა ვარო...**

— ოლეგ იაძე კარგი პიროვნებაა. მან ეს ნამდვილად განაცხადა, მაგრამ ჯერ დიდი რას აკეთებს, რომ პატარამ ასეთი რამ დაიბრალოს?! მე მას ვიცნობ და კარგ პიროვნებად მიმაჩნია, ძალიან კაცურად მოიქცა არჩევნების პროცესში. უბრალოდ, მას პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს და ალბათ, მსგავსი საკითხები უახლოეს მომავალში დარეგულირდება.

**— რეგიონებს კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა აქვს — სასწრაფო დახმარების პუნქტებში, ფაქტობრივად, თითო მანქანა ჰყავთ და სასწრაფოს მანქანებს ხალხი ხან ხელით მიაგორებს, ხან ხარსაც კი აბამს. თუ გაქვთ ეს ინფორმაცია და მდგომარეობის გამოსწორებას როგორ აპირებთ?**

— ის, რაც ჯანდაცვაში მოვახერხეთ, ანუ დამატებით 800 მლნ ლარი ბიუჯეტში, საკმარისი არაა. ესეც ვერ გამართავს წელში მთელ სისტემას, მაგრამ ბიუჯეტი კიდევ უნდა გაიზარდოს და უნდა გაიზარდოს შემოსავალი ოჯახებში. ჩვენი ეკონომიკური ჯგუფი მუშაობს საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიაზე, რათა უფრო კონკრეტული გეგმა მივიღოთ სამოქმედოდ. შეიძლება, შედეგი 2-3 თვეშიც ნახოთ, რასაც დიდ ყურადღებას ვუთმობ და დავუთმობ.

**— მთელ საქართველოს უნდა, ყველა სოფელი ჭორვილას ჰგავდეს, ოღონდ არა მეცენატობითა და ბიზნესმენების კეთილი ნებით, არამედ სახელმწიფოს განვითარების დონით — ამას როდის შევძლებთ?**

— ვერც ერთი და ვერც 10 კაცი ვერ ააშენებს ქართულ სოფელს! ჭორვილაში სამასამდე სახლი ავაშენე და გავარემონტე, საჩხერეში სახურავები შევაკეთე, მაგრამ ასე არ შეიძლება. ქართულ სოფელში სიტუაციის გაუმჯობესების გასაღები მხოლოდ ეკონომიკაშია, რაზეც ჩემი ყურადღების 80% მაქვს გადატანილი. ჩვენ შევქმნით დაფინანსების ისეთ სისტემას, ლოკალური პრობლემები ადგილზე განიხილებოდეს და ადგილობრივები თბილისს აღარ ეკითხებოდნენ, სოფელში ხიდი სად ავაშენოთო! ასე აშენდება ჭორვილაზე უკეთესი სოფლებიცა და მრავალი ჭორვილაც!

**— აჭარის რეგიონზეც გკითხავთ და პირველ რიგში, მეჩეთის შესახებ — ბოლო ბოლო, აშენდება თუ არა მეჩეთი ბათუმში?**

— ბათუმელების დამოკიდებულება ვიცი, ისიც ვიცი, საერთოდ, რა ხდება აჭარაში. წარმატებული შეხვედრა გვქონდა და, ფაქტობრივად, დავმეგობრდით ბატონ ერდოღანთან. ის, რომ აზიზიეს მეჩეთის თემა საერთოდ ჩაიხსნა პროგრამიდან, მისი დამსახურებაა და ბატონი ერდოღანის მადლობელი ვარ, ის ბევრ საკითხს გაგებით მოეკიდა. დღეს მეჩეთის საკითხი მარტივად დგას — აჭარაში საქართველოს მუსლიმი მოსახლეობა ცხოვრობს და ის მეჩეთი, რაც დღეს ბათუმშია, მათ ვერ იტევს, ამიტომ ვერ ვხვდები, რატომაა ამხელა აქცენტი ამ მეჩეთზე გაკეთებული, როცა საქართველოში 200 მეჩეთზე მეტია აშენებული? სხვა რელიგიების მიმართ ჩვენ შეუწყნარებლები ვართ და ამას სააკაშვილი ნერგავდა, არადა, ისტორიულად ასე არ ყოფილა. სააკაშვილს ამაზე ყურადღების გადატანა სურდა ქვეყნის შიგნით, ხოლო გარეთ, სურდა ეჩვენებინა, ნახეთ, როგორ ექცევიან მუსლიმებს ახალ ხელისუფლებაშიო.

**— დგას თუ არა აჭარაში და ზოგადად, საკადრო პოლიტიკის პრობლემა?**

— ეს პრობლემა დღეს ძალიან რეალურად დგას! ჩვენ კადრები გვაკლია ყველა მიმართულებით, ყველა სფეროში, გვაკლია პოლიტიკოსებიც, თუმცა ერთში გარწმუნებთ — საქართველო სამაგალითო იქნება ამ კუთხით, მაგრამ „ნაციონალების“ მიერ გაბანალურებულ სიტყვებს აღარ გამოვიყენებ!

**— დასასრულს, დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით — რამდენად სამართლიანად შეუჩერდა ამ უნივერსიტეტს ავტორიზაცია?**

— კანონი ყველასთვის კანონია და მას ანგარიში ყველამ უნდა გაუწიოს. მართალია, წინა ხელისუფლებამ საშუალო და მცირე დონეზე კორუფცია მოსპო და ამას არც უარვყოფ, მაგრამ მაინც დარჩა პრივილეგირებული კლანი, რომლის წევრიც კახა ბენდუქიძეა. მისთვის კანონები ცალკე იწერებოდა. პირდაპირ ვიტყვი — ერთ ლარად აქვს ნაჩუქარი ბენდუქიძეს 200-მილიონიანი ქონება, ხოლო რატომ, ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს და არც ამ ქონების ტოლფასი ინვესტიციები ეტყობა ამ აგრარულ უნივერსიტეტს! ბენდუქიძე პირველი იდეოლოგი იყო, რომლის მიდგომების შედეგადაც განადგურდა ქართული სოფელი და საინტერესოა, ვის უზრდის კადრებს ბენდუქიძე?! რამდენადაც ვიცი, აგრარული სექტორი ამ უნივერსიტეტში ძალიან დაკნინდა. და კიდევ ერთი — ყველაზე ძნელად გიორგი მარგველაშვილი დავითანხმე, რომ მინისტრი გამხდარიყო. დღეს მას სტუდენტების ნაწილი უზრდელურად მოექცა — როცა განა-



თლების მინისტრი მათთან შესახვედრად ჩავიდა, უსტვენდნენ და ეძახდნენ, გადადექიო. ეს მათი პოზიცია არაა და იმედია, ეს სტუდენტები შეძლებენ, ვიღაცების იდეოლოგიის მსახურებას თავი დაანებონ. ყველას პირობას მივცემ, არცერთი სტუდენტი არ დაზარალდება ამ შემთხვევით — ჩვენ არ გვეშინია არცერთი მიტინგის, მით უმეტეს, სტუდენტების რადგან სუფთა ხელებით ვართ. მიტიგნებისა სააკაშვილს ცეცხლივით ეშინია! და კიდევ — ძალიან არ მომეწონა უმრავლესობის გუნდის წევრების პასიურობა ამ პროცესში და ვფიქრობ, მარგველაშვილიც სამართლიანად იყო ნაწყენი ამ თემასთან დაკავშირებით. ასეთ დროს, „ნაციონალები“ ერთმუშტად იკვრებიან ხოლმე. გამოსავალი ისაა, რომ კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს, კანონის ჩარჩოდან გასულმა ხალხმა კი, კეთილი უნდა ინებოს და, კანონს პატივი სცეს!





რუსუდან შელია
557-100-768

# „გია ბარამიამ იცის, რომ სტრუქტურაში მისი დარჩენა შეუძლებელია!“



## რატომ ჰგონია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადადგება და აქვს თუ არა ბარამიას ჩანაცვლების სურვილი ადა მარშანიას

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შენობასთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, გიორგი ბარამიას თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით, 15-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ, დევნილებთან ერთად, საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეების განცხადებით, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატიც უკვე შერჩეული ჰყავთ. გადადგება თუ არა გიორგი ბარამია თანამდებობიდან, რა მოლოდინი აქვთ აფხაზებს და რა შეიცვალა ახალი ხელისუფლების პირობებში? „ვერსიის“ კითხვებს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ადა მარშანია პასუხობს.**

— სამწუხაროდ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევის საკითხი გვიანდება, არადა, ეს მხოლოდ ადმინისტრაციული თანამდებობა არ არის — დევნილებისა და პირადად ჩემთვის, ამ ფიგურას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სათანადოდ შერჩეული, ქარიზმატული თავმჯდომარე, პრაქტიკულად, აფხაზეთიდან დევნილების ლიდერი უნდა გახდეს. უკვე ხუთი თვეა, ხელისუფლება ამ მიმართულებით არ დაფიქრებულა და თანამდებობაზე კვლავ ძველი კადრი რჩება.

**— რატომ ვერ მოიცალა ხელისუფლებამ ამ საკითხის მოსაგვარებლად, მით უმეტეს, ამბობენ, გიორგი ბარამია ბაჩო ახალაიას კადრია. უზენაესი საბჭოს დეპუტატებს არ გაქვთ იურიდიული უფლება, თავმჯდომარის გადაყენების პროცედურა თავად დაიწყოთ?**

— ჩემი ინფორმაციით, ბარამია ვანო მერაბიშვილის კადრია, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ახალაია, მერაბიშვილი და სააკაშვილი ჩემთვის ერთი და იგივეა. იურიდიულად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს, რომელსაც შემდეგ საბჭო ამტკიცებს. ბუნებრივია, ჩვენ შეგვიძლია, ამ საკითხის აქტივიზაცია დავიწყოთ, მაგრამ ეს ხელისუფლებასთანაც უნდა შეთანხმდეს. ჯერჯერობით, ვფიქრობ, მმართველ გუნდს არ სურს სააკაშვილთან ამ საკითხზე ვაჭრობა. ამასობაში კი, პროცესი გაჯანჯლდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გიორგი ბარამია 19 მარტამდე შვებულებაში იმყოფება, ამიტომ მისი თანამდებობიდან გათავისუფლება არ შეიძლება. კარგი იქნება, თუ სამსახურში დაბრუნების შემდეგ, თანამდებობიდან თავად გადადგება. ვიცი, მასაც ესმის — სტრუქტურაში მისი დარჩენა შეუძლებელია.

როცა აფხაზეთში გაიგებენ, რომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ მათთვის ავტორიტეტული პიროვნება დასახელდა, ეს ურთიერთობის აღდგენის პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. სხვათა შორის, თავმჯდომარეობაზე პრეტენზია ნამდვილად არასახარბიელო კანდიდატებმა გამოთქვეს.

**— კონკრეტულად, შეგიძლიათ დაასახელოთ, ვინ არიან არასახარბიელო კანდიდატები? ამბობენ, რომ საბჭოს თავმჯდომარეობის სურვილი თქვენც გაქვთ.**

— მაგალითად, გაუგებარია, რა მიზნით სურს აბესალომ მიქელაძეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა ან როგორ შეუძლია მას ამ სტრუქტურის ხელმძღვანელობა! ამასთან, არის კიდევ ერთი კანდიდატი დავით ფაცაცია, რომელიც მართალია, მებრძოლი ბიჭია, სააკაშვილის რეჟიმს არ ურიგდებოდა, მაგრამ ჩემი აზრით, მას სათანადო გამოცდილება აკლია და დასაღვინებელია. რაც შეეხება ჩემ კანდიდატურას, პირადად, ამის სურვილი არასოდეს გამომითქვამს, მხოლოდ დევნილები მაძალებენ. მეტიც, თითქმის ყველა შეხვედრაზე მეკითხებიან და ტერორზეც კი გადადიან — რატომ არ მაქვს თავმჯდომარეობის სურვილი.

პაატა ზაქარეიშვილი და გია ვოლსკი დაგვპირდნენ, რომ ეს საკითხი უახლოეს მომავალში მოწესრიგდება, თუმცა როგორც გითხარით, მაინც იმედი გვაქვს, რომ ბარამია გადადგომის გადაწყვეტილებამდე თავად მივა. პირველი ოქტომბრის ისტორიული ცვლილებების ფონზე, ხალხიც იმის მოლოდინშია, რომ ყველა დარგში არნახული სიახლეები დაიწყება.

**— 5-თვიანი მმართველობის პერიოდში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლებისთვის კონფლიქტური რეგიონები პრიორიტეტული საკითხია?**

— სამწუხაროდ, ასე არ ვფიქრობ. კონფლიქტურ რეგიონებში პრობლემების მოსაგვარებლად ქართული საზოგადოებაც არაა მზად. მესმის, წინა ხელისუფლების პირობებში მოსახლეობა ტერორში იმყოფებოდა, იყო სიდუხჭირეც, მაგრამ ეს ჩემთვის სოხუმის დასავიწყებლად გამართლებული არგუმენტი არ არის. ამ საქმეში, დევნილების გარდა, ყველამ თავისი როლი და ფუნქცია უნდა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სავალალო შედეგს მივიღებთ. ეს იმდენად რთული საკითხია, რაც უნდა არაჩვეულებრივი ხელისუფლება გვყავდეს, მხოლოდ მმართველი ძალა ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. აუცილებელია, საზოგადოებრივი განწყობა ბევრი მიმართულებით მომზადდეს. სამწუხაროდ, ტელევიზიებში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, არც ერთი თოქ-შოუ არ მომზადებულა. წელიწადში ერთხელ თუ გაახსენდება ვინმეს აფხაზეთის კონფლიქტი და ისიც არაკვალიფიციურად, მხოლოდ ზოგადი ფრაზებით. პარალელურად, აუცილებელია ტაბუდადებული თემების გახსნა. კერძოდ, აფხაზებს ჯერ კიდევ სტკივათ, სეპარატისტები კი თავის მხრივ, დღემდე თითზე იხვევენ აფხაზეთში რაჭველების ძალადობრივი ჩასახლების საკითხს. ამაზე საუბარი ჩვენ უნდა დავიწყოთ. ვიმეორებ, ეს კვანძები ნელ-ნელა უნდა გავხსნათ და აფხაზებიც სხვა თვალით შემოგვხედავენ, მათაც აქვთ სამართლიანობის აღდგენის სურვილი. სამწუხაროდ, აფხაზები დღეს, ფაქტობრივად, განადგურების პირას იმყოფებიან — რამდენიმე დღის წინ, საშინელი სტატისტიკა მივიღე, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთში წელიწადში 3 300 ადამიანი კვდება, ხოლო 800 იბადება. ეს უზარმაზარი პრობლემაა, რომლის მოგვარებაზე დღესვე უნდა ვიზრუნოთ. ამაში მნიშვნელოვანი როლის თამაში მედიას შეუძლია. მეტიც, მოვითხოვ აფხაზეთში არსებულ სასიცოცხლო საკითხებზე ქართულ ტელევიზიებში საინტერესო თოქ-შოუები მომზადდეს!

**— პაატა დავითაიას განცხადებით, აფხაზები ახალ ხელისუფლებას, კერძოდ, პაატა ზაქარეიშვილს დასცინიან. თქვენი ინფორმაციით, კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას ახალი ხელისუფლებისგან რა მოლოდინი აქვს?**

— ბუნებრივია, დღეს აფხაზური საზოგადოება ძალიან გაღიზიანებულია, ისინი მიიჩნევენ, რომ ყველა ატყუებს. პაატა ზაქარეიშვილს აფხაზეთში საკმაოდ კარგად იცნობენ. იგი ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს ვაჟკაცურად იქცეოდა და ბევრ კარგ საქმესაც აკეთებდა, რის გამოც, კონფლიქტურ რეგიონში უყვართ და ენდობიან კიდეც. პრობლემა მხოლოდ მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ზაქარეიშვილი ოფიციალური ჩინოვნიკი გახდა და აფხაზების მისამართით განაცხადა — ყველაფერი, დამოუკიდებლობის გარდაო, მისი ნათქვამი სეპარატისტულად განწყობილ ადამიანებს აღარ მოეწონათ. რა თქმა უნდა, აფხაზებს აქვთ იმის მოლოდინი, რომ საქართველოში დაიწყება ბუნებრივი პროცესი და ქართველები აფხაზეთის კონფლიქტზე, ომსა და ურთიერთობების ისტორიაზე, გულწრფელ საუბრებს დაიწყებენ. მათ ისიც უნდა დაინახონ, რომ ქართული საზოგადოება პირუთვნელად ეძებს მათთან ურთიერთობის გზებს.

**— რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დათბობა პროცესზე რა გავლენას მოახდენს?**

— რა თქმა უნდა, ეს დადებითი პროცესია, რადგან აფხაზეთის გასაღები, მეტნაკლებად, მაინც რუსეთში უნდა ვეძებოთ. მართალია, იმპერიები, მათ შორის, რუსეთი დაყავი და იბატონეს პრინციპით მოქმედებს, მაგრამ ყველაფერში მხოლოდ კრემლი არ უნდა დავადანაშაულოთ. ქართველებმაც ბევრი შეცდომა დავუშვით! საბედნიეროდ, საერთაშორისო ურთიერთობების დასარეგულირებლად საქართველოს მძლავრი იარაღი აქვს — კულტურა. ახლა, როცა ამას გეუბნებით, მეტირება. როგორ შეიძლება, ამით არ ვისარგებლოთ? იცით, როგორ უყვართ აფხაზებს ქართული სიმღერები? გიჟდებიან! წარმოიდგინეთ, იმ პერიოდში, როცა აფხაზეთში ქართული სიტყვის თქმასაც კი ვერავინ ბედავდა, აფხაზი ახალგაზრდები ქართულ სიმღერებს უსმენდნენ. ვიცი სცენები, როცა მათ ამას უშლიდნენ და აფხაზი ახალგაზრდები საკმაოდ ხმამაღლა გამოთქვამდნენ პროტესტს — როგორ ბედავთ, იმ მუსიკის მოსმენის აკრძალვას, რომელიც მოგვწონსო. სამწუხაროდ, ჩვენ შორის ურთიერთობები იმდენად ჩიხში შევიდა, რომ წინ მძიმე შრომა გველის, თუმცა შრომას არავინ ჩივის, თუ რეალურ შედეგამდე მივალთ. მჯერა, სადაც გულწრფელი სურვილი არსებობს, ყველაფერი გამოვა. ახლა სწორედ ეს სურვილი უნდა გავაღვივოთ, რადგან აფხაზები რეალურ ნაბიჯებს გაფაციცებით ელოდებიან. მოგეხსენებათ, რუსული იმპერია იქ „ნაჯახის პოლიტიკას“ ატარებს, რამაც აფხაზეთში რუსეთის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება გამოიწვია. უკვე არავის სჯერა, რომ რუსეთმა აფხაზები ქართველებისგან იხსნა, ახლა ჯერი ჩვენზეა და ეს ვითარება სწორად უნდა გამოვიყენოთ.

**— საქართველოში მყოფი დევნილებისთვის რა შეიცვალა, რამდენად კმაყოფილები არიან ისინი სამინისტროს მუშაობით?**

— სხვათა შორის, ხელისუფლებისგან დევნილების მიმართ დამოკიდებულება დადებითადაა შეცვლილი. მართალია, ჩვენ გვინდა, დევნილთა მინისტრი ბევრად მებრძოლი იყოს, მაგრამ მთავარია, იგი არ გვემალება, პირიქით, საკმაოდ ღიად გვესაუბრება და გვისმენს, რაც ცოტა ნამდვილად არ არის. კობა სუბელიანი არათუ დევნილებს, მე, დევნილების დეპუტატსაც კი არ მხვდებოდა და სამინისტროში უკანა შესასვლელიდან შედიოდა. ახალი მინისტრისგან მივიღეთ პირობა, რომ დევნილთა მიმართ არსებული სტრატეგია შეიცვლება, ამასთან, თავიდან გაიწერება დევნილთა მინიმალური ფართით დაკმაყოფილების საკითხი. პარალელურად, ამ მიმართულებით კანონიც თავიდან გასააზრებელია. მინისტრი დაგვპირდა, რომ დევნილების გარეშე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს არ მიიღებს, ჩვენც ისღა დაგვრჩენია, პროცესი გავაკონტროლოთ.


## თიბისი ბანკში ინტერნეტ და მობაილ ბანკის საგაზაფხულო აქცია დაიწყო

თიბისი ბანკში ინტერნეტ და მობაილ ბანკის მომხმარებლებისათვის საგაზაფხულო აქცია დაიწყო. მათთვის, ვინც 31 მაისის ჩათვლით დარეგისტრირდება თიბისი ბანკის ინტერნეტ და მობაილ ბანკზე და შეასრულებს ნებისმიერი 2 ტიპის ტრანზაქციას, მიიღებს 30 წუთ სასაუბრო დროს. აქციაში ჩართული ყოველი მე-100 მომხმარებელი დასაჩუქრდება iPod Shuffle-ით, ხოლო ყოველი მე-1000 iPad Mini-თ.

აქციაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, დარეგისტრირდეთ თიბისი ბანკის ინტერნეტ ან მობაილ ბანკზე. ინტერნეტ ბანკზე დარეგისტრირება შესაძლებელია ვებ გვერდზე: www.tbconline.ge; ხოლო მობაილ ბანკის აპლიკაციის ჩამოტვირთვა შესაძლებელია App Store-დან ან Google Play-დან. იმ შემთხვევაში, თუ უკვე ხართ რეგისტრირებული ამ სერვისებზე და არ სარგებლობთ მომსახურებით, საჭიროა განაახლოთ პაროლი და განახორციელოთ ნებისმიერი ტიპის 2 ტრანზაქცია თვის განმავლობაში.




თიბისი ბანკის ინტერნეტ და მობაილ ბანკის მოხმარებით თქვენ შეძლებთ, გაიმარტივოთ ცხოვრება, განახორციელოთ თქვენთვის სასურველი საბანკო ოპერაცია სახლიდან გაუსვლელად, 24 საათის განმავლობაში და მოიგოთ სასიამოვნო პრიზები საგაზაფხულო აქციის ფარგლებში.

გახსოვდეთ, რომ თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკი ყველაზე სწრაფი, კომფორტული, თანამედროვე და მარტივად მოხმარებადი დისტანციური საბანკო სერვისია.

თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკი საუკეთესოა რეგიონშიც. სულ ცოტა ხნის წინ, მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტულმა ფინანსურმა გამოცემამ Global Finance თიბისი ბანკი დააჯილდოვა „საუკეთესო ინტეგრირებული სამომხმარებლო ინტერნეტ ბანკისათვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მასშტაბით“. თიბისი ბანკი ერთადერთი ქართული ბანკია, რომელიც ამ ნომინაციაში დაჯილდოვდა და მიიღო რეგიონული აღიარება.

ასე რომ, იჩქარეთ, ისარგებლეთ რეგიონში საუკეთესო თანამედროვე ტექნოლოგიური სერვისით, ჩაერთეთ ინტერნეტ და მობაილ ბანკის საგაზაფხულო აქციაში და მოიგეთ სასიამოვნო პრიზები თიბისი ბანკისგან!



# რატომ ბლოკავს „ოცნება“ მამუკა კაციტაძის საარჩევნო შეთავაზებებს, რასაც 2012 წელს თავად ითხოვდა?



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**დაჭერა-დაკითხვების კვალდაკვალ, პოლიტიკოსთა უმრავლესობა ქვეყანაში მიმდინარე სამ პოლიტიკურ თემას გამოყოფს — საკონსტიტუციო ცვლილებები, თვითმმართველობის კანონი და საარჩევნო კოდექსი. როგორც ჩანს, დახურულ კარსმიღმა და ჩაკეტილ ფორმატში, ამ სამივე თემაზე მსჯელობა უმრავლესობა-უმცირესობას შორის მაინც მიმდინარეობს. ცოტა ხნის წინ, პარლამენტში ინტერფრაქციული ჯგუფიც შეიქმნა და წინ, ალბათ, კოჰაბიტაციურ შეთანხმებათა მთელი სერიალიც გველის, თუმცა შესაძლოა, ამ პროცესს ხელი არასაპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელმა შეუშალოს, რომელსაც პარლამენტმა სათათბირო ხმის უფლება მისცა და ე.წ. მუშა პროცესში ჩართო. მათ შორის, ერთ-ერთი, ახალი მემარჯვენეების პოლიტიკური მდივანი მამუკა კაციტაძეა, რომელმაც საკრებულოში დავით საგანელიძე ჩაანაცვლა და პოლიტიკურად გააქტიურდა. მამუკა კაციტაძე „ვერსიას“ ვრცელ შეფასებით ინტერვიუს აძლევს, საკუთარი პარტიის პოზიციას აფიქსირებს და იმ დახურულ თემებზე საუბრობს, რასაც საპარლამენტო ფორმატში „ოცნება-ნაციონალები“ განიხილავენ.**

**— ახალი მემარჯვენეები აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნდით?**

— ნელი ტემპით... ისე, არც არსად წავსულვართ, უბრალოდ, 1 ოქტომბრის მერე, ცვლილებებისა და ანალიზისთვის რაღაც დრო გვჭირდებოდა. ისიც ფაქტია, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის დრო მოახლოვდა საქართველოში, რაშიც „მემარჯვენეები“ აქტიურად ჩავებმებით.

**— საარჩევნო კოდექსი, საკონსტიტუციო ცვლილებები და თვითმმართველობა... ბევრისთვის გაუგებარი იქნება, სად ჩანს აქტიურობა ამ თემებზე?**

— ეს თემები, მართლაც, ნაკლებად აინტერესებს ფართო საზოგადოებას, რადგან ყველას პირადად, მასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემები აწუხებს. არადა, ეს სამივე თემა ისეთია, ხალხის უდიდეს ჩართულობასა და პოლიტიკურ კონსენსუსს მოითხოვს. ვერც საკონსტიტუციო ცვლილებებს მიიღებს მარტო მმართველი პოლიტიკური ძალა და თუ ამას გააკეთებს, „ნაციონალებივით“ უკან ცუდად მოუბრუნდება. მარტო საკუთარ თავზე ამ სამი საკითხიდან ვერავინ მოირგებს ვერც ერთს — მოირგო წინა ხელისუფლებამ და შედეგიც მოიმკა.

**— ახლახან ინტერფრაქციული ჯგუფი შეიქმნა, ჩურჩულით, მალულად, და თქვენ მისი წევრი ხართ არასაპარლამენტო ოპოზიციის კვოტით. ვინ ხელმძღვანელობს ამ პროცესს და რა კონკრეტულ თემებზე მუშაობს ჯგუფი?**

— ეს ინტერფრაქციული ჯგუფი საარჩევნო კოდექსის შეცვლას აპირებს. ასეთივე ჯგუფები 2006, 2009 და 2011 წლებშიც არსებობდა, ოღონდ ახლანდელისგან განსხვავებით, სამივე პროექტი პარლამენტსგარეთ შედგა. გეთანხმებით, ეს მართლაც, ჩურჩულით შექმნილი ჯგუფია, რადგან პროცესი პარლამენტსშიგნით განხორციელდა, რაც, სხვათა შორის, უმრავლესობა-უმცირესობის ერთობლივი სურვილი იყო. ფართო და ღია ფორმატს, მათ არჩიეს დახურულ რეჟიმში მუშაობა — ასე უფრო პროდუქტიულები ვიქნებითო. კითხვა მეც დავსვი და სწორედ ეს პასუხი მივიღე, თუმცა ყველას შევახსენებ, რომ 2006 წელს ჯგუფში ღია დისკუსიების შედეგად, პარტიებმა ბიუჯეტიდან დაფინანსება მიიღეს, 2009 წელს დედაქალაქის მერის პირდაპირი წესით არჩევაზე შევთანხმდით, 2011 წელს კი, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არჩევნების შემდეგ კომპენსაციის სახით მილიონები ჩამორიგდა. სხვათა შორის, ეს ის მილიონებია, რომლებზეც, ვითომ, ჩვენ გავიყიდეთ, მაგრამ ფული სხვებმა აიღეს! კი, ბატონო, რაკი ფორმატი დახურულია, აღარც ჩვენ გავიპრანჭეთ და ამ პროცესს არ გავემიჯნეთ. რაკი ჯგუფი საპარლამენტოა, მასში არ არის არადეპუტატი სრულფასოვანი წევრი ანუ ჩვენ მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით ვსარგებლობთ, თუმცა კიდევ უარესადაა საქმე — არანაირ ხმებს არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, რადგან თუ ნებისმიერი საკითხი ხელისუფლებასთან არ შეათანხმე, შედეგი მაინც არ დადგება. ჯგუფს „ოცნების“ ფრაქციის ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილი ხელმძღვანელობს!

**— დახურულ ფორმატში მაინც რის შეცვლას აპირებთ საარჩევნო კოდექსში?**

— 8 ძირითადი მიმართულებაა გამოკვეთილი: ამომრჩეველთა სიები, პარტიათა დაფინანსება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვა, მედიათანაბრობა, კენჭისყრის პროცედურები, საარჩევნო დავების საკითხი, საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი.

**— გადმოგიტანიათ ვენეციის კომისიის ბოლო რეკომენდაციები...**

— ეს ისეთი თემებია, „მამაო ჩვენოსავით“ რომ იტყვის ნებისმიერი, ვინც ამ საკითხშია ჩახედული.

**— სხვათა შორის, სწორედ ზაქარია ქუცნაშვილი ამბობდა, კაციტაძემ 5 მილიონი ლარი შეჭამა, ამომრჩეველთა სიები არ ვარგა, ამ საკითხს შევისწავლითო და ხმებიც ისმოდა იმის თაობაზე, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს „კაციტაძის სიებით“ როგორ ჩავატარებთო. თქვენც მიაღწიეთ კოჰაბიტაციას?**

— პირველ რიგში, იმას გეტყვით, რომ შუალედური არჩევნები სამივე ოლქში ზუსტად ჩვენ მიერ გასწორებული სიებით ჩატარდება და იმის ალბათობაც ძალიან მაღალია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებიც სწორედ ამავე სიებით ჩატარდეს! სხვაგვარად, ვერაფერს მოასწრებენ და ეს ინფორმაცია სამოქალაქო რეესტრიდან და სახელისუფლო წრეებიდანაც მაქვს. აი, რა იქნება 2014 წლის არჩევნებზე, ეს სხვა თემაა. რაც შეეხება ჩემს ლანძღვას, ჩვენს წინააღმდეგ წარმოებული კამპანია მხოლოდ ანტიპიარი იყო და სხვა არაფერი. ამაში ყველა დარწმუნდა და ვფიქრობ, მათ შორის, ზაქარია ქუცნაშვილიც! თავად ამ ინტერფრაქციულ ჯგუფში კი საკითხები ორად გაიყო — საარჩევნო სისტემისა და ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესზე შემოდგომით ვიმსჯელებთ, დანარჩენ თემებზე უკვე გაზაფხულის ბოლოს რაღაც შედეგი გამოიკვეთება.

**— მანამდე, ის იკვეთება, რა შთაბეჭდილებაც დაგრჩენიათ ქუთაისში ყოფნისას: „ოცნება“ და „ნაციონალები“ მშვენიერ კოჰაბიტაციაში არიან და ერთმანეთს სულაც არ უშლიან ხელს საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებაშიო. ასეთი აზრი რატომ გაგიჩნდათ და როგორ აფასებთ ამ ახალ პაკეტს?**

— ასეთი შთაბეჭდილება მხოლოდ ქუთაისში ნანახით არ შემქმნია, ამას ყოველდღე ვხედავთ, თუნდაც პრეზიდენტისა და პრემიერის ურთიერთობაში, პრემიერის შეხვედრისას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან — ეს ყველაფერი იმის თქმის უფლებას მაძლევს, რომ მათ შორის რეალური თანაცხოვრება მიმდინარეობს. პლუს, იმ ორი საკონსტიტუციო ცვლილების დამტკიცებაც, რაზეც ამდენი ხანია საუბრობენ, მგონი, პრობლემა აღარ იქნება, ბევრი სხვადასხვა მიზეზის გამო, ოღონდ, პირდაპირ ვიტყვი, ამაში ცუდი არაფერია.

**— ცუდი ისაა, რომ სააკაშვილისთვის უფლებამოსილების შეკვეცის თემა ორივე მხარემ ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად აქცია და ორმხრივი მუქარის ფონზე, მოსახლეობა 2 თვე ტერორში ამყოფა!**

— ეს საკითხი ორივე მხარემ მართლა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა — აქაოდა, გამარჯვებული მთავრობა პრეზიდენტის ხუშტურს არ შეეწიროსო. ამ თემისა და 2 პოლიტიკური ძალის გარშემო ისე ტრიალებდა პროცესი, სხვას არაფერს ეკითხებოდნენ, დაწყებული საგარეო პოლიტიკით, დასრულებული „ერისიონის“ ცეკვით!

**ვფიქრობ, „ნაციონალებს“ ამ ფორმით ტიკტიკი აწყობთ, ვითომდა უნიკალურები არიან ოპოზიციურ ფლანგზე.**

**ივანიშვილს კი აწყობს ოპოზიცია, რომელიც ათასგზის გალანძღულია და უცუდესი ბეგრაუნდი აქვს! რა ჯობია ასეთ ოპოზიციას და ეს მდგომარეობაც კომფორტია ორივე ძალისთვის. რაც შეეხება უშუალოდ, ცვლილებების შინაარსს, კი ბატონო, არ უნდა შეეძლოს პრეზიდენტს მთავრობის გაშვება და მერე დანიშვნა, მაგრამ ეს არც პრემიერს უნდა შეეძლოს. მეტიც, დღეს საქართველოს კონსტიტუციის 79-ე და 81-ე პრიმა მუხლებში წერია, რომ პრემიერს ერთპიროვნულად შეუძლია ნებისმიერი მინისტრის გაშვება ანუ იმაზე ცოტა მეტი, ვიდრე პრეზიდენტს. სააკაშვილს შეეძლო, მინისტრთა კაბინეტის მხოლოდ მესამედის შეცვლა პარლამენტის უკითხავად, ამის შემდეგ კი, უკვე პარლამენტში უნდა წარედგინა ახალი კაბინეტი დასამტკიცებლად. პრემიერს კი ოქტომბრიდან ყველაფრის გაკეთება თავიდან ბოლომდე პარლამენტის გვერდისავლით შეუძლია.**

ხოლო რაც შეეხება თვითმმართველობის შესახებ კანონს, კონსტიტუციაში დღემდე ამ თემაზე არც ერთი თავი არ დაწერილა. მე თუ მკითხავს ვინმე, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაზე მუშაობას, ინსტიტუციურად უფრო მაღლა და სახელმწიფო კომისიას პრემიერის დონეზე ავიყვანდი.

**— თვითმმართველობის რეფორმაზე საკრებულოს რამე პოზიცია თუ აქვს და თქვენ თუ აქტიურობთ?**

— მე პირადად, კონკრეტული ინიციატივაც დავაყენე, რომლის პასუხს ამ თვის ბოლოს ველოდები:

**თბილისის საკრებულოში უნდა შეიქმნას კონკრეტული სამართლებრივი ფორმატის მქონე დროებითი კომისია ან რაღაც მსგავსი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით იმუშავებს. აბა, უგულავამ რომ გამოაცხო ინიციატივები და 6 რაიონი 10-ად გადააკეთა, 20 მუნიციპალიტეტი კი — 33-ად, ასე ჭრა-კერვა სადაა? თან, ქვეყანაში თვითმმართველობის დიდი რეფორმა იწყება და თუ არა თბილისის საკრებულომ, მაშინ ამ თემაზე ვინ უნდა თქვას სათქმელი?! საკითხი უკვე დაყენებული მაქვს და ყველა ფრაქცია, როგორც „ნაციონალური“ უმრავლესობა, ისე „ოცნების“ უმცირესობა, მხარს უჭერს. შესაბამისად, თვის ბოლოს კონკრეტულ შედეგს ველოდები, როცა ეს ინიციატივა დამტკიცდება!**

**— შუალედურ არჩევნებში რა შედეგს ელოდებით? პარტია დაგირეგისტრირებიათ, ესე იგი, მასში მონაწილეობას აპირებთ.**

— „ახლებისთვის“ პრინციპული საკითხია მრავალპარტიულობა. ყველა შანსს გამოვიყენებთ, რომ პარლამენტში მესამე ძალის, თუნდაც ერთი წარმომადგენელი შევიდეს. ერთი წლის წინ, მთელი ოპოზიცია ვამბობდით, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული უნდა იყოს ის, ვინც 50 და არა 30%-იან ბარიერს გადალახავს. სამწუხაროა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს არჩევნები ისე დანიშნა, ისევ 30%-იანი ბარიერი დატოვა ძალაში. არადა, ახლაც ვამბობ, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება თვენახევარში მოსწრებადია და საკმაოდ პოზიტიური იმპულსი იქნებოდა იმის დასანახად, თითქოს, რამე შეიცვალა! არის მეორე თემაც — წინა ხელისუფლებამ 2012 წლის არჩევნებზე იურიდიულ პირებს პარტიების დაფინანსება აუკრძალა. ყველას გავახსენე, ეს აკრძალვა მოვხსნათ-მეთქი და დიდ ენთუზიაზმს ვერც აქ ვხედავ!

**— გუშინდელ ოპოზიციას, რომელიც დღეს „ოცნებაშია“, ფული აღარ სჭირდება.**

— იყო ასეთი არგუმენტი, უკვე დანიშნულია არჩევნები და შუა გზაში წესების შეცვლა არაა მიზანშეწონილიო, თუმცა შუალედური არჩევნები „ოცნებამ“, ოქტომბრის ნაცვლად, აპრილში დანიშნა, ასე რომ, პოლიტიკური ნება თუ გაქვს, ამ ორი თემის შეცვლაც შეგიძლია! ასე რომ მომხდარიყო, კიდევ იტყოდა კაცი, ახალმა ხელისუფლებამ საარჩევნოდ უკეთესი გარემო შექმნაო, ახლა კი დაახლოებით, იმ სიტუაციაში ვართ, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე!

## ვერსიანიუსი

### პაატა ზაქარეიშვილი ვლადიმერ სანაკოევთან საუბრის აზრს ვერ ხედავს



რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კამპანია „კოკოითი ფანდარასტის“ ერთ-ერთ ავტორთან, ვლადიმერ სანაკოევთან საუბრის აზრს ვერ ხედავს: **„ღია ეთერში შეიძლება, ვესაუბრო ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ფიგურებს, მათ შორის ოპონენტებს. როცა საუბარი შეიძლებოდა, იგი რაღაც ფიგურას წარმოადგენდა და მე კი არანაირი თანამდებობა არ მეკავა, სანაკოევი ჩემთან საუბარს არ მიიჩნევდა საჭიროდ. ახლა, როცა მე მინისტრის თანამდებობაზე ვარ და ის თავისუფალი მოთამაშეა, ჩემთან ღია ეთერში საუბრის სურვილი გაუჩნდა. როგორც სანაკოევი ვერ ხედავდა ჩემთან საუბრის აზრს „კოკოითი ფანდარასტის“ ეპოქაში, ისე დღეს მე ვერ ვხედავ მასთან საუბრის საჭიროებას, თუმცა როგორც კი ამას დავინახავ, შევხვდები“.**

სახელმწიფო მინისტრის შეფასებით, „კოკოითი ფანდარასტის“ კამპანია შეცდომა იყო: **„მიმაჩნდა, რომ ეს იყო მიუღებელი ნაბიჯები სანაკოევის მხრიდან. იგი სააკაშვილის იმ თამაშს თამაშობდა, რომელმაც ომამდე მიგვიყვანა. ვისაც ამ ყველაფერში მონაწილეობა აქვს მიღებული, მორალურად მაინც უნდა აგოს პასუხი საზოგადოების წინაშე“.**

„კოკოითი ფანდარასტის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ვლადიმერ სანაკოევმა გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილთან კონფლიქტების მოგვარებაზე ღია ეთერში საუბარი სურს.

***„პირველი“***

### სამართალდამცველებმა ხათუნა ხოფერიას ვაჟი დააკავეს



სამართალდამცველებმა ყოფილი პარლამენტარის, ხათუნა ხოფერიას ვაჟი, ბექა ხოფერია დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის, ნინო გიორგობიანის განცხადებით, ხოფერიას დაკავება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით მოხდა: **„ბექა ხოფერია და კიდევ რამდენიმე პირი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევრის გამოა დაკავებული. დეტალებთან დაკავშირებით შსს განცხადებას დღეს, 15 მარტს გაავრცელებს“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

მერაბ ბერიძე

**კოჰაბიტაცია ვერ შედგა და ალბათ, არც იქნება. „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი საზოგადოებას 19 აპრილის აქციაში მონაწილეობისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს. როგორც მან განაცხადა, საგანგაშოა ევროპარლამენტის ჯგუფის მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილის შინაარსი, რომელსაც ხელს აწერენ სხვადასხვა ქვეყნისა და ფრაქციის წარმომადგენლები.**

# „მეეჭვება, სამართლიანობის ზეიმმა ხალხი დააპუროს!“



## მივლენ თუ არა მოქალაქეები 19 აპრილს „ნაციონალების“ მიტინგზე

**ვანო მერაბიშვილის** განცხადებით, პირველი შემთხვევაა ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც ევროპარლამენტის წევრები შეშფოთებას გამოთქვამენ ქვეყნის ევროპულ გზასთან დაკავშირებით:

**„ზუსტად ამიტომ, ნაციონალური მოძრაობა კიდევ ერთხელ მოუწოდებს საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებს, მიუხედავად მათი პარტიული პოლიტიკური ორიენტაციისა, მოვიდნენ 19 აპრილს, 16:00 საათზე, რუსთაველზე და კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ქართველი ხალხის პოლიტიკური ნება, რომ საქართველოს მომავალი არის ნატო-ში, ევროკავშირში და საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების გზა გადის მხოლოდ ევროპაზე“.**

მისივე თქმით, აქციასთან დაკავშირებით განაცხადი უკვე შეტანილია. აქცია იქნება მშვიდობიანი და კიდევ ერთხელ აჩვენებენ ხელისუფლებასა და ევროპას — ქართველი ხალხის ნება არის ურყევი.

ყოფილი პრემიერის თქმით, ამ აქციას შეუერთდება ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური და სამოქალაქო ჯგუფები:

**„ყველანი ერთად დავანახებთ როგორც ხელისუფლებას, ისევე მეზობლებსა და ევროპას, რომ ქართველი ხალხის ნება მტკიცეა და ის არ იცვლება. ეს აქცია არ არის რომელიმე ჩვენი მეზობლის წინააღმდეგ მიმართული, ჩვენ პატივს ვცემთ მეზობლების პოლიტიკურ ნებასა და მათ მიერ არჩეულ გზას, მაგრამ ჩვენი გზა არის საქართველოსი და საქართველოს გზა სწორედ ევროპული გზაა“.**

მერაბიშვილის თქმით, ნაციონალური მოძრაობა აქციაზე ელოდება იმ რაოდენობის ხალხს, რაც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ დარწმუნდეს საქართველოს ხელისუფლება — არიან ადამიანები, ვისთვისაც ქვეყნის მომავალი სულ ერთი არ არის. მისივე აზრით, ყოველდღიური ქმედებაა საჭირო, რათა ევროპამ არ დაკარგოს ინტერესი საქართველოს მიმართ და ცუდი იქნება, თუ ევროპა და დასავლეთი საქართველოზე ხელს ჩაიქნევენ, როგორც არშემდგარ ქვეყანაზე.

ყოფილი პრემიერი დასავლეთ საქართველოში მიემგზავრება, სამცხე-ჯავახეთში კი უკვე იმყოფებოდა. ყოფილმა პრემიერმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, ყველა კუთხის წარმომადგენლებს ჰქონდეთ საშუალება, საკუთარი მოსაზრება და პოზიცია დააფიქსიროს.

რაც შეეხება აქციის გამართვის აუცილებლობას, როცა პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ქვეყნის ევრატლანტიკური კურსის შეუქცევადობის თაობაზე, მერაბიშვილის თქმით, საქართველოს ევროპული გზა არ ნიშნავს მხოლოდ დეკლარაციას.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი** ვანო მერაბიშვილის აქტიურობას გირგვლიანის გამოძიების დასასრულს უკავშირებს. მისივე თქმით, **„მერაბიშვილის მოწოდებები იუმორისტულია“: „მესმის რეალურად, რა სურს ვანოს, მაგრამ გარწმუნებთ, ამ პროცესში არ ვერევი. გირგვლიანის საქმის გამოძიება ჩქარდება და ვანოს ძალიან უჭირს, რაღაც უნდა მოიფიქროს. თურმე მისთვის სულ ერთი არ არის ჩვენი სტრატეგია და ევროპაზე უარს ვამბობთ. არც ერთი სიტყვა ევროპაზე არსად გვითქვამს და ვანო ამტვრევს ღია კარს, რამეთუ დახურვის თავი აღარ აქვს. მას ცუდად, ძალიან მძიმედ აქვს საქმე, თვითონ იცის, ბევრი კითხვა აქვს პროკურატურას და ცდილობს, არაფრისგან რაღაც მითები შექმნას“.**

თავის მხრივ, მთავარი პროკურორის, **არჩილ კბილაშვილის** განცხადებით, სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, ვანო მერაბიშვილის „გარკვეული კავშირი, შემხებლობა და ინფორმირებულობა იკვეთება“. მისივე თქმით, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მერაბიშვილი, სავარაუდოდ, დაკითხვაზე იქნება დაბარებული:

**„სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დასასრულისკენ მიდის. ვანო მერაბიშვილის გარკვეული კავშირი, შემხებლობა და ინფორმირებულობა იკვეთება და შესაბამისად ამ საკითხზე პროკურატურა თავის დროზე ისაუბრებს. მისი დაკითხვა, სავარაუდოდ, მოხდება, კონკრეტული დრო კი გამოძიებიდან გამომდინარე განისაზღვრება. ამ ეტაპზე მხოლოდ ის შემიძლია ზოგადად გითხრათ“.**

ამასთან, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმაც განაცხადა, რომ არ გამორიცხავს, გირგვლიანის საქმეზე პროკურატურას ვანო მერაბიშვილთან კითხვები ჰქონდეს.

ჟურნალისტი **ია ანთაძე** მიიჩნევს, რომ 19 აპრილის „პროპაგანდისტული კლიპების ავტორებმა“ ღიად უნდა თქვან, რომ პარლამენტის რეზოლუცია მათთვის ფარატინა ქაღალდია: **„გამოხატვის თავისუფლებას დიდად ვაფასებ, მაგრამ არა კრიტიკული აზროვნების ხარჯზე. პარლამენტმა ხომ მიიღო ერთობლივი რეზოლუცია ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით? 19 აპრილის პროპაგანდისტული კლიპების ავტორებმა ღიად უნდა თქვან, რომ რეზოლუცია მათთვის ფარატინა ქაღალდია, რადგან ამ დოკუმენტში შავით თეთრზე წერია: „საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმყოფებოდეს სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. საქართველო არ გაწევრდება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა პოლიტიკაც ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრიორიტეტს. განათლებული ადამიანისთვის ამ დოკუმენტის არშემჩნევა ძალიან უხერხულია“.**

„ვერსია“, 19 აპრილის დაანონსებულ აქციასთან დაკავშირებით, მოქალაქეებს აზრით დაინტერესდა. ძირითადი პათოსი ისაა, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი სადავო არაა და ამაზე აპელირება ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკურ დივიდენდებს არ მოუტანს. თუმცა ასევე მიუღებელია მთავრობის წარმომადგენლების აგრესიული რიტორიკა და საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაში ჩარევის მცდელობა.

**ნუგზარ მამაგეიშვილის** აზრით, „ნაციონალები“ და მისი მხარდამჭერები 19 აპრილს 400-500 კაცს ვერ ასცდებიან და „ამით ლეგიტიმურ ადგილს დაიკავებენ შალვა ლეიბორისტის გვერდით“. მეორე მხრივ, ის ამბობს, რომ მთავრობამ ამას ყურადღება არ უნდა მაქციოს და თავის გასაკეთებელ საქმეს მიხედოს:

**„აქცია არ ვიცი, მაგრამ არსად არაფერი იყიდება. ბიზნესი გაჩერდა, გაყიდვები კატასტროფულად შემცირდა. სადაც გაიხედავ, ყველა ამაზე ლაპარაკობს. წვრილი ბიზნესის, პატარა მაღაზიების მფლობელები ცუდ დღეში არიან. ელიავაზე დავდივარ ეს რამდენიმე ხანია და ყველაფერი ნახევარ და უფრო ნაკლებ ფასად იყიდება. „ნაციონალები“ რას და რისთვის აკეთებენ, არ ვიცი და სიმართლე გითხრათ, დიდად არც მაინტერესებს, მაგრამ ეს სტაგნაცია თუ გაგრძელდა, მეეჭვება, სამართლიანობის ზეიმმა ხალხი დააპუროს. ბანკები პროცენტს ითხოვენ, გაყიდვები კი სერიოზულად ჩავარდნილია. ამ კატეგორიას ნაცი-ვაცი არ სჭირდება, სიმშვიდე და ხალხის მსყიდველუნარიანობა უნდათ“.**

**გოჩა ლოზჟანიძე** ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და პირიქით, სავაჭრო ბრუნვის ზრდაზე საუბრობს: **„ჩემი ინფორმაციით, ბრუნვა გაზრდილია წინა წლების მონაცემებთან შედარებით. გაუგებარია, რატომ უნდა შემცირებულიყო, როცა ხელფასი და სოციალური დახმარება გაიზარდა. ერთადერთი, ალბათ, ნაციონალების მსყიდველობითი უნარი შემცირდა, რადგან ბიზნესს თავისუფლად ველარ აკონტროლებენ“.**

**უჩა ბერიძე** 19 აპრილის აქციასთან დაკავშირებით, პოლიტიკური ოპოზიციის შორსმიმავალ ჩანაფიქრზე საუბრობს: **„20 აპრილიდან 30 აპრილამდე პერიოდში, პრეზიდენტს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის დაშლა შეუძლია. 19 აპრილს დიდი პროვოკაციისთვის ემზადებიან. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ეს მთავრობა არაქმედითია და გადააყენებს მას; პარლამენტი არ დაუმტკიცებს ახალ მთავრობას; პრეზიდენტი მესამე წარდგინების შემდეგ დანიშნავს ახალ მთავრობას; დაშლის პარლამენტს და ახალ მთავრობას ჩაატარებინებს არჩევნებს. ეს არის და ეს“.**

**ნიკა ვერულიძის** შეფასებით, მოქალაქეებს ნებისმიერ თემაზე პროტესტის გამოხატვის უფლება აქვთ და ქვეყნის პრემიერმა და მთავრობის სხვა პირებმა მთავარი პროკურორის უფლებამოსილებაში შეჭრისგან თავი უნდა შეიკავოს: **„ივანიშვილს კბილაშვილის რიტორიკა გადაედო, რაც კარგის მანიშნებელი არ არის. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. დღემდე ყველაფერი ერთმანეთში აღრეული რომ გვქონდა, ამიტომ ვართ ასეთ მდგომარეობაში. შს მინისტრი ქალაქებს აშენებდა, პროკურორი რთველს უძღვებოდა და ა.შ. რა გახდა ეს მუდმივი შეპირებები დაჭერებზე? ჩემი აზრით, ასეთი მიდგომის გაგრძელება, მთავრობის წინააღმდეგ იმუშავებს. ან რას ნიშნავს განცხადებები, რომ გამოძიების პროცესში იყურებიან და საქმის კურსში არიან“.**

კიდევ ერთი რესპოდენტი ვინაობას არც ასახელებს და ქართული ბანკების „გაუმაძღრობაზე“ ჩივის: **„წარმოუდგენელია, სხვა ქვეყნებში ბანკები ასე ძარცვავდნენ საკუთარ მოსახლეობას. ბოლომდე აღატაკებენ ისედაც არაფრის მქონე ხალხს. უნდა შეისწავლონ ერთი, რამდენად კანონიერია ასეთ ასტრონომიულ პროცენტებში კრედიტების გაცემა. ჩვენ გარშემო ძალიან ბევრია ასეთი ადამიანი. გარწმუნებთ, 19 აპრილის აქციაზე ბევრი არ მივა, მაგრამ მთავრობამ ასეთ საკითხებს ყურადღება უნდა მიაქციოს და გაუმაძღარ ბანკებს როგორმე ლაგამი ამოსდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკმაყოფილოთა რიცხვი გაიზრდება“.**

„ნაციონალები“ 19 აპრილისთვის ემზადებიან და დაჩაგრული პოლიტიკური ძალის მანტიას აფრიალებენ. მათ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები „ძველ ცოდვებს“ ახსენებენ და კონსტრუქციულობისკენ მოუწოდებენ. მოქალაქეებს სამართლიანობის აღდგენის პროცესის მიმართ საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, თუმცა რთული სოციალური ყოფაც აღელვებთ და ამ თვალსაზრისით, მთავრობას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებენ.

## ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტში 18 მარტს მივა



შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტს 18 მარტს ესტუმრება. ამის შესახებ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ გაავრცელა.

შს მინისტრი საკანონმდებლო ორგანოში უმცირესობამ გასულ კვირას დაიბარა. საპარლამენტო უმცირესობაში აცხადებენ, რომ ღარიბაშვილთან ბევრი კითხვა აქვთ, მათ შორის, 8 თებერვლის მოვლენებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

*„პირველი“*

## დავითაშვილი „ნაცმოძრაობის“ ზონდერებისგან სამინისტროების გაწმენდას მოითხოვს



**„ეს ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა. ამ ადამიანებს ერთი დღეც არ უვლიათ სამსახურში და ხელფასს იღებდნენ. მათ აქციების დასარბევად იყენებდნენ. ეს ხალხი დღესაც მუშაობს“,** — აღნიშნა დავითაშვილმა და უმრავლესობაც გააკრიტიკა, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების პროცესის გაჭიანურების გამო: **„საკონსტიტუციო უმრავლესობა ამ ცვლილებების მისაღებად ჩვენ კარგა ხნის შეგროვილი გვაქვს. ამის გამო ვაკრიტიკებ კიდეც უმრავლესობას — რას ველოლიავებით ამ ხალხს, რომელსაც აღარაფრის უნარი არ აქვს. ცვლილებების მიღება ჩვენ იანვარშიც შეგვეძლო“.** მისივე თქმით, საქართველოში არსებობს მაჟორიტარების მახინჯი სისტემა და მაჟორიტარი დეპუტატები ყოველთვის მთავრობის მომხრეები არიან.

დავითაშვილი „ნაციონალების“ მიერ დაანონსებულ აქციასაც გამოეხმაურა: **„19 აპრილს, შესაძლოა, ეჭვმიტანილთა დიდი შეკრება გაიმართოს. რამდენადაც ვიცი, ბევრ მათგანთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს და, შესაძლოა, ეჭვმიტანილთა დიდი შეკრება იყოს. მერაბიშვილი დიდ ხანია, ციხეში უნდა იჯდეს. 7 ნოემბერს მან ხალხის წინააღმდეგ გამოიყენა რეზინის ტყვიები, რაც პოლიციის შესახებ კანონში არ წერია. ეს არის გადამეტება და ეს გააკეთა მერაბიშვილმა. დღეს ის გამოვა და იტყვის, რომ დიდი პოლიტიკოსია და ეჭვმიტანილთა შეკრებას მოაწყობს“,** — განაცხადა დავითაშვილმა და აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებს „მოუწოდა“, სურვილის შემთხვევაში, 19 აპრილის აქციას შეუერთდნენ და „ჩაიცვან მაისურები წარწერით „მეც ბაჩო ახალაია ვარ“.

*„ვერსიანიუსი“*

## გარდაცვლილი უგო ჩავესის ცხედრის ბალზამირება ველარ მოხდება

ვენესუელას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნიკოლას მადუროს განცხადებით, გარდაცვლილი უგო ჩავესის ცხედრის ბალზამირება ველარ მოხდება. ვენესუელაში ჩასული რუსი ექსპერტები ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ცხედარი დროულად არ დამუშავდა და არ ჩაუტარდა საჭირო პროცედურები.

**„რუსი და გერმანელი ექსპერტები ვენესუელაში ჩავესის ცხედრის ბალზამირებისთვის ჩამოვიდნენ, თუმცა ისინი აცხადებენ, რომ ეს რთული იქნება, რადგან პროცესი მაშინვე უნდა დაწყებულიყო, ახლა კი შეუძლებელია“,** — ამცნო მადურომ ვენესუელელებს.

უგო ჩავესი 5 მარტს გარდაიცვალა რამდენიმეთვიანი ავადმყოფობის შემდეგ. ქვეყანაში მისი გარდაცვალების გამო, 7-დღიანი გლოვა გამოცხადდა, თუმცა ვენესუელას ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საყოველთაო გლოვა 15 მარტამდე გაგრძელდა. ახალი პრეზიდენტის არჩევნები ვენესუელაში 14 აპრილს გაიმართება, მანამდე პრეზიდენტის მოვალეობას ნიკოლას მადურო შეასრულებს.

*„პირველი“*

ნელი თორდია
593-61-07-72

# ვაკე-საბურთალოს გზატკეცილის პროექტის ავტორი გზის მშენებლობის დროს დაშვებულ ხარვეზებზე და მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს

**2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ, სააკაშვილი-უგულავას ტანდემის მიერ ზარ-ზეიმით გახსნილ ესტაკადაზე, 13 მარტს, დღის საათებში კლდის მასივი ჩამოიშალა. მომხდარიდან უმოკლეს დროში, გზატკეცილზე საავტომობილო მოძრაობა ორმხრივად გადაიკეტა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სახანძრო დახმარების მანქანებმა სახიფათო კლდის ჩამორეცხვა წყლის ჭავლით დაიწყეს, პარალელურად, ჩამოშლილი კლდოვანი მასალა ადგილიდან გაჰქონდათ. დღის ბოლომდე გზის აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრაობა აღდგა.**

**ეს ის გზაა, ადგილობრივი არჩევნების წინა პერიოდში პომპეზურად რომ გახსნეს და გზატკეცილის პირველი მგზავრები ქვეყნის პრეზიდენტი და ქალაქის მერი რომ იყვნენ. სააკაშვილმა და უგულავამ ახალი ესტაკადა „ფორმულა-3"-ის მანქანით გაიარეს, მიხეილ სააკაშვილი ბედნიერებისგან ემოციებს ვერ ფარავდა და აცხადებდა, რომ ახალი გზა უკეთესი ხარისხისაა, ვიდრე გორის მაგისტრალი: „ეს არის უკეთესი ხარისხის გზა, ვიდრე გორის გზა. „ფორმულა-3" ძალიან მგრძნობიარე მანქანაა და პატარა დაბრკოლებებზეც რეაგირებს, თუმცა ჩვენ ეს გზა, ფაქტობრივად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადავლახეთ". სამწუხაროდ, იგივეს ვერ დაიკვეხნიან კლდოვანი მასივიდან მოწყვეტილი ლოდის ქვეშ მოყოლილი მანქანების მგზავრები. მაშინ საავადმყოფოდან სახლში მიმავალი ექიმები სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ.**

**13 მარტს მომხდარი ინციდენტის შემდეგ დავინტერესდით და გავარკვიეთ, რომ ახალი გზის პროექტირება განახორციელა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია საგზაო ინსტიტუტმა „საქგზამეცნიერებამ", მშენებლობას კი წინა ხელისუფლების დასაქმების მინისტრის, პაატა ტრაპაიძის ფირმა „კავკაზუს პროჯექტი" აწარმოებდა. „ვერსია" დაინტერესდა რატომ არ მოხდა გრუნტის სპეციფიკის გათვალისწინება და საშიში მონაკვეთების დამცავი ბადეებით შემოღობვა? ამის გასარკვევად, ვაკე-საბურთალოს გზატკეცილის პროექტის ავტორს, საგზაო ინსტიტუტის „საქგზამეცნიერებას" დირექტორს, თამაზ შილაკაძეს დავუკავშირდით.**

— ზოგადად, გრუნტები თბილისი-წყნეთის, თბილისი-მანგლისის გზებსა და თბილისში ვაკე-საბურთალოს გზაზე ყოველთვის მოდის და საჭიროა, ბადეში ჩაისვას. გრუნტის ზედა მასა მშრალ მდგომარეობაში ძალიან მტკიცეა, მაგრამ მზისა და წვიმის ზემოქმედების შედეგად, იშლება და ცვივა.

**— პროექტის შედგენის დროს, მზისა და წვიმის ზემოქმედება გათვალისწინებული არ უნდა ყოფილიყო?**

— ყველაფერი გათვალისწინებულია. შემოიტანეს ბადეები, დააყენეს, უბრალოდ, დარჩა ზედა მონაკვეთი, საიდანაც, სავარაუდოდ, ჩამოცვივდა ქვა. 12 მარტს მზე იყო, 13 მარტს წვიმა დაემატა და ინციდენტი ამან გამოიწვია.

**— დამცავი ბადეები ვის უნდა დაეყენებინა?**

— ალბათ, მშენებელ კომპანიას.

**— ანუ „როჯერ-პროექტს", რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლების დასაქმების მინისტრი და პროფესიით გინეკოლოგი პაატა ტრაპაიძე ხელმძღვანელობდა?**

**— დიახ, პაატა ტრაპაიძე ექიმია, მაგრამ კომპანიაში მენეჯერად მუშაობდა. კომპანიას ჰყავდა მეგზევეები და მეხიდე ინჟინრები, რომლებიც ასრულებდნენ საინჟინრო სამუშაოებს. სხვათა შორის, ვაკე-საბურთალოს ახალი მაგისტრალი განსაკუთრებით გვირაბისა და ესტაკადების ნაწილში ძალიან კარგად გამოუვიდათ და დამცავი ბადეები რატომ დარჩათ, არ ვიცი... მეც მიკვირს...**

**— ახალ გზატკეცილზე ბადეები მხოლოდ მას შემდეგ გაიკრა, რაც კლდეს ლოდი მოწყდა და გზაზე მოძრავ ავტომობილს დაეცა.**

— ამ შემთხვევის შესახებ პირველად მესმის, თუმცა გეთანხმებით, დამცავი ბადეები აკლია და დამატება სჭირდება. ვიცი, მშენებლებს საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანათ და დამკვეთი ანუ მერიის კეთილმოწყობის სამსახური ამის წინააღმდეგი არ იქნებოდა.



რა კავშირი აქვს ექსმინისტრს, პროფესიით გინეკოლოგ პაატა ტრაპაიძეს გზის მშენებლობასთან და ადგება თუ არა, ვაკე-საბურთალოს გზაზე გრუნტის ჩამოშლის გამო უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი

ჩემი აზრით, ერთადერთი პრობლემა ის იყო, ბადეები სასწრაფოდ უნდა გაეკეთებინათ და დააგვიანეს, რადგან აქ ვერ იშოვეს და საზღვარგარეთიდან ჩამოჰქონდათ. ეს პროცესი ძალიან გაჭიანურდა და 2009 წელს დაწყებული კომპლექსი, ფაქტობრივად, შარშან დამთავრდა. ზოგადად, გზის მშენებლობა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რადგან ვერეს ხევში საშინელი მდგომარეობა იყო. წარმოიდგინეთ, 30 წლის ნაგავი დაგვხვდა და ფეკალური მასების 12 წერტილი ჩამოდიოდა. თბილისში დავიბადე, გავიზარდე და ქალაქში ასეთი მიგდებული ადგილი თუ არსებობდა, არ მეგონა. ამიტომ ვეცადეთ, მაქსიმალურად მოგვეყვანა წესრიგში კანალიზაცია, წყლები, არხი, რომ ვერეს ხეობა სუფთა ყოფილიყო. ეს ძალიან საშიში გრუნტებია და აუცილებლად, ყველგან დამცავი ბადეებია გასაკრავი. პავლოვის ქუჩიდან რომ მოდიხართ, ყვავილები რომ იყიდება და სასაფლაოსკენ ადის გზა, იმ ტერიტორიაზე სისტემატურად მოდის წყალი და იქაც ბადეა გასაკრავი. დიდი ქვა შეიძლება სულ არ იყოს ისეთი საშიში, როგორც პატარა, რომელიც დიდი სიჩქარით მოდის და მანქანას ხვდება. მე რამდენჯერმე დავაყენე ეს საკითხი და იმედია, ეს პრობლემა მალე მოგვარდება.

ბუნებრივია, შეუძლებელია იმის პროგნოზირება, დაუცდის თუ არა პრობლემის მოგვარებას ამინდის ჭირვეულობა და შეიწირავს თუ არა გრუნტიდან მზისა და წვიმის ზემოქმედების შედეგად მოწყვეტილი მასები ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა იმის გარკვევა, რატომ არ მოხდა გზის საშიში მონაკვეთების დამცავი ბადეებით უზრუნველყოფა, სრულიად შესაძლებელია და იმედია, ამ საკითხით შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან. სხვა თუ არაფერი, ეს ფაქტი, ნამდვილად კარგი საკბილოა ქალაქის მერის პოლიტიკური მტრებისთვის, რომლებიც ბოლო პერიოდში, ძირითადად, მისი „საქმენი საგმირონის" გამომზეურებით არიან დაკავებულები. ასე რომ, გასაკვირი სულაც არ იქნება, მხოლოდ ორი თვით ნამინისტრალ პაატა ტრაპაიძესთან ერთად, შესაბამისი ორგანოების „უხერხულ კითხვებზე" პასუხის გაცემა გიგი უგულავასაც თუ მოუწევს.

„ვერსია" მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა პაატა ტრაპაიძესთან დაკავშირებას და იმის გარკვევას, რატომ არ გაუკეთდა გზას დამცავი ბადეები, მაგრამ ექსმინისტრს, მობილური ტელეფონი, გამორთული ჰქონდა.

გადაწყვეტილება

# მინისტრების ხელფასები 12%-ით შემცირების ნაცვლად, გაიზარდა?!



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, მინისტრების ხელფასი 12%-ით შემცირდა და 6 300 ლარით განისაზღვრა. პრემიერ-მინისტრის აპარატში განმარტავენ, რომ ამიერიდან, სახელმწიფო ჩინოვნიკების ხელფასებზე, გასულ წლებთან შედარებით, ბიუჯეტიდან გაცილებით ნაკლები თანხა დაიხარჯება. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები პრემიერ-მინისტრის ამ გადაწყვეტილებას ირონიად აღიქვამენ და ამბობენ, რომ მინისტრების ხელფასი 12%-ით კი არ შემცირდა, პირიქით — გაიზარდა.**



ახალი გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილის მთავრობა უარს ამბობს ნაციონალური მოძრაობის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, როდესაც მინისტრები ყოველ თვეში, ან თვეში რამდენჯერმე, თვითონვე იწერდნენ პრემიებს. ბიძინა ივანიშვილმა მინისტრების ყოველთვიური ხელფასი, ყოველგვარი სახელფასო დანამატის ჩათვლით, მკაცრად განსაზღვრა. შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკები, ხელზე 6 300 ლარს აიღებენ. ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, მინისტრები პრემიას წელიწადში მხოლოდ ერთხელ მიიღებენ.

ეს ოფიციალური ინფორმაციაა, მაგრამ პარალელურად, ახალი მმართველი გუნდი, ერთი მხრივ, ნაციონალურ მოძრაობას ბრალს სდებს მახინჯი პრაქტიკის დამკვიდრებაში, მეორე მხრივ, ამ „სიმახინჯეზე" უარს რატომღაც არ ამბობს. ამის მაგალითია ის, რომ 2012 წლის დეკემბერში ანუ ხელისუფლებაში მოსვლიდან ზუსტად ორ თვეში, ბიძინა ივანიშვილის მინისტრებმა საკმაოდ მაღალი პრემიები გამოიწერეს. 4 335-ლარიანი პრემიები მიიღეს პრემიერ-მინისტრის აპარატისა და სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლებმაც.

ცხადია, ახალი მინისტრების პრემიებს საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება მოჰყვა. მეტიც, ამ ფაქტს სხვადასხვა სოციალურ ქსელებშიც გამოეხმაურნენ და ნაახალწლევს, მინისტრების პრემიები აქტიური განხილვის საგნად გადააქციეს. როგორც ჩანს, ამ თემით ბიძინა ივანიშვილიც შეწუხდა და ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო — მინისტრების ხელფასი 12%-ით შეამცირა და პრემიაც წელიწადში ერთხელ განსაზღვრა.

განსხვავებული პოზიცია აქვთ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს. „ვერსია" ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ წევრს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, გიორგი ვაშაძეს დაუკავშირდა, რომელმაც ბიძინა ივანიშვილის ამ გადაწყვეტილებას მტკნარი ტყუილი უწოდა:

**„პირდაპირ ვთქვათ, დეკემბერში მიღებული პრემიების გადასაფარად, ახლა თითქოს ხელფასი შეიმცირეს. ამოვიღოთ ოფიციალური დოკუმენტები და ვნახოთ, რომ ჩვენი მმართველობის დროს, არც ერთ მინისტრს არ ჰქონია 6 300-ლარიანი ხელფასი. შესაბამისად, ჩვეულებრივ, მარტივ ტყუილთან გვაქვს საქმე, თითქოს ხელფასი შეამცირეს, მაგრამ სინამდვილეში, 6 300 ლარამდე გაზარდეს. მართლაც სამარცხვინოა, როდესაც სხვების პრემიებზე საუბრობენ, რადგან 25 000-ლარიანი პრემია, არც ერთ თანამდებობაზე ყოფნის დროს, არ ამიღია. მეტიც, ჩვენი მმართველობის დროს, არც ერთი მინისტრი ან მინისტრის მოადგილე არ მეგულება, რომელსაც ამ რაოდენობის პრემია მიეღია.**

**მინისტრების ხელფასი შეამცირეს, მაგრამ პრემიები ხომ მაინც ჩამოურიგეს, საინტერესოა, რატომ? გამოვიდეს თითოეული მინისტრი და თქვას, რა გააკეთა და რისთვის მიიღო პრემია. ვერსად, ვერც მთავრობაში და ვერც პარლამენტში ვერ ვხედავ ამ ხელისუფლების ყოველდღიური საქმიანობის შედეგს. ამიტომ ვამბობ, რა გააკეთა კანცელარიის უფროსმა, თითოეული მოქალაქის ხარჯზე, ამხელა პრემია რომ მიიღო. იმასაც გეტყვით, რომ ზოგადად, ხელფასის შემცირების წინააღმდეგი ვარ, ხელფასი უნდა იზრდებოდეს, რადგან დღითი დღე, ადამიანს უფრო მეტი შემოსავალი და მეტი მოტივაცია სჭირდება იმისთვის, რომ ეფექტურად იმუშაოს. თითქოს ხელფასი შემცირდა, სინამდვილეში კი 6 300 ლარი გამოიწერეს, მაგრამ მგონი, საქართველოს მასშტაბით, ამ ტყუილს არც ერთი მოქალაქე არ „შეჭამს". მართლა მაინტერესებს, რა გააკეთა ჯანდაცვის მინისტრმა, გვიპასუხებენ, რომ მოსახლეობა 5 ლარით დააზღვია, მაგრამ ამ დაზღვევით, არავის არაფერი ეკუთვნის. რა გააკეთა, მაგალითად, განათლების მინისტრმა, რომელმაც აგრარული უნივერსიტეტი გააუქმა და თურმე, ახლა მაღალი ხელფასიც უნდა ჰქონდეს? მისი დამსახურება ის არის, რომ საქართველოში ერთ-ერთი, საუკეთესო უნივერსიტეტი გააუქმა და თან ამხელა ხელფასი, პრემიის ჩათვლით უნდა მიიღოს? გიმეორებთ, მინისტრების ხელფასი არ შემცირებულა, ეს მტკნარი ტყუილია და სინამდვილეში გაიზარდა, რადგან ჩვენი მმართველობის დროს, 6 300-ლარიანი ხელფასი არავის გვქონია!"**

გიორგი ვაშაძემ „ვერსიას" განუცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, მინისტრის ხელფასი 3 000-დან 4 000 ლარამდე იყო, მაგრამ იმის გამო, რომ თვითონ მინისტრის მოადგილე იყო, ამ რაოდენობის ხელფასიც კი არ ჰქონია: **„რაც შეეხება პრემიებს, კონკრეტული საქმიანობიდან გამომდინარე განისაზღვრებოდა. ვერავინ იტყვის, ჩვენი მმართველობის პირობებში, საქართველოში მინისტრები ისე უსაქმურად იყვნენ, როგორც დღეს არიან. მიბრძანდით სამინისტროებში და ნახეთ, რომ 17:00 საათის შემდეგ, შენობაში არც ერთი მინისტრი და თანამშრომელი აღარ არის. საინტერესოა, სად არიან და სად დადიან, მაგრამ როგორც წესი, ფეხბურთს თამაშობენ და ხან ხელ-ფეხს იტეხენ, ხან — არ ვიცი, რა მდგომარეობაში არიან. გიმეორებთ, თითოეული ადამიანის შემოსავალი, მისი რეალური საქმიანობიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს. თუ ადამიანი კარგ საქმეს გააკეთებს, პირადად მე, დავუჭერ მხარს, რომ 10 000 და 20 000-ლარიანი პრემია მიიღოს".**



# საგადასახადო ომბუდსმენი გადასახადის გადამხდელთა უფლებებს დაიცავს

## შეძლებს თუ არა ბიზნესის დაცვას პრემიერის მიერ დანიშნული კადრი და რატომ შეცვალა ივანიშვილმა ომბუდსმენის სტატუსი




მაია მიშელაძე
593-51-90-12


**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა 20 თებერვალს, ბიზნესმენებთან გამართულ მეორე შეხვედრაზე, დამსწრე საზოგადოებას ახალი ბიზნესომბუდსმენი, გიორგი გახარია წარუდგინა და იქვე დააზუსტა, რომ მის სტატუსს მოგვიანებით განსაზღვრავდა. სტატუსიც განისაზღვრა — ამიერიდან, ბიზნესის ინტერესებს საგადასახადო ომბუდსმენი დაიცავს. მართალია, გიორგი გახარიას ფუნქციები მოგვიანებით დაზუსტდება, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ახალი ომბუდსმენი ბიზნესს, ძირითადად, საგადასახადო დავების დროს გაუწევს ლობირებას.**

საგადასახადო ომბუდსმენის უფლება-მოვალეობა, საგადასახადო კოდექსით განისაზღვრება. 2013 წელს, კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, 042-ე მუხლი, რომელიც საგადასახადო ომბუდსმენის უფლება-მოვალეობას განსაზღვრავს, ასეთი რედაქციით ჩამოყალიბდა:

**„საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას; საგადასახადო ომბუდსმენი განიხილავს პირთა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ, გადასახადის გადამხდელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს ეხება; საგადასახადო ომბუდსმენი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სხვა კანონებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით; საგადასახადო ომბუდსმენს უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოდან მიიღოს განმარტება გადასახადის გადამხდელის განცხადებასთან ან/და საჩივართან დაკავშირებულ საკითხზე; გადასახადის გადამხდელის უფლებების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, საგადასახადო ომბუდსმენი მიმართავს შესაბამის ორგანოს და აძლევს რეკომენდაციას ამ უფლებების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ; საგადასახადო ომბუდსმენს უფლება აქვს, არ გასცეს ინფორმაცია იმ ფაქტზე, რომელიც მას გაანდეს, როგორც გადასახადის გადამხდელთა უფლებების დამცველს; წელიწადში ერთხელ, საგადასახადო ომბუდსმენი, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, ანგარიშს წარუდგენს; საგადასახადო ომბუდსმენის ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, საგადასახადო ომბუდსმენს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი; საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილება, მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“.**

მას შემდეგ, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში, ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა, ბიზნეს-წრეებში აქტიურად განიხილებოდა არა მარტო ბიზნესომბუდსმენის შემცვლელის, არამედ — ზოგადად, ამ ინსტიტუტის ყოფნა-არყოფნის საკითხიც. ცალკეული მინისტრები, თუ სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები, სხვადასხვა ექსპერტები კოალიციის შიგნით თუ გარეთ, მათ შორის, ზოგიერთი ბიზნესმენიც კი, ერთხმად აღნიშნავდა, რომ ბიზნესომბუდსმენი საჭირო არ არის. 2013 წლის 20 თებერვალს, მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა ბიზნეს-ელიტას გიორგი გახარია წარუდგინა, ერი მიხვდა, რომ ბიზნესს საკუთარი ლობისტი მართლაც სჭირდება. ოღონდ, თუ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, გახარიას წინამორბედზე — გიორგი პერტაიაზე ამბობდნენ, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ნიკა გილაურის კადრია, პერტაია ბიზნესს როგორ დაიცავს, ოფისი სახელმწიფო კანცელარიაში აქვსო, ამ მხრივ, არც გიორგი გახარიაა დიდად განსხვავებული კანდიდატი. ისიც ბიძინა ივანიშვილმა წარადგინა და მისი ოფისიც სახელმწიფო კანცელარიაშია. განსხვავება ის არის, რომ გიორგი პერტაიამ, ამ თანამდებობაზე დანიშვნიდან მეორე დღესვე მისცა „ვერსიას“ ექსკლუზიური ინტერვიუ და საკმაოდ მწვავე კითხვებსაც

> **ლევან კალანდაძე: „ბიზნესს ხშირად აქვს პრეტენზიები სახელმწიფოსთან, რის გამოც საქმე სასამართლომდე მიდის, ამიტომ ბიზნესის თუ საგადასახადო ომბუდსმენი, სასამართლო დავებშიც კი ბიზნესის ინტერესების დამცველი უნდა იყოს!“**

გასცა პასუხი. გიორგი გახარია კი ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს, ფუნქციები მთავრობამ უნდა განუსაზღვროს და მერე პრესასთანაც გაიხსნება — ბიზნესს იმ მთავრობისგან დაიცავს, რომელმაც ამ თანამდებობაზე დანიშნა!

გიორგი გახარიას დამოუკიდებლობაში ეჭვი ეკონომიკის ექსპერტს, ირაკლი ლექვინაძესაც ეპარება, რომელმაც „ვერსიას“ განუცხადა, რომ პრემიერ-მინისტრის დანიშნული ომბუდსმენი ბიზნესის ინტერესებს ვერ დაიცავს და ვერც მთავრობას გაუწევს ოპონირებას. ირაკლი ლექვინაძე ამბობს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ბიზნესომბუდსმენი, რომელსაც ამიერიდან საგადასახადო ომბუდსმენი უნდა ვუწოდოთ, საქართველოს პარლამენტს აერჩია ზუსტად ისე, როგორც სახალხო დამცველს ირჩევს.

„ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან კალანდაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ მნიშვნელოვანია, რა უფლება და რა კომპეტენცია აქვს საგადასახადო ომბუდსმენს, რაც კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს:

**„მარტივ მაგალითს გეტყვით, საგადასახადო ომბუდსმენი, კანონით უნდა იყოს ვალდებული, გადასახადის გადამხდელის ინტერესები დაიცვას და სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელს შორის წარმოშობილი დავის დარეგულირებაში მიიღოს მონაწილეობა. ეს უნდა იყოს ვალდებულება და არა უფლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და პოლიტიკური საკითხია. მთავარია, საგადასახადო ომბუდსმენის დამოუკიდებლობის ხარისხიც, რადგან ვინ არის ომბუდსმენი — მთავრობის დანამატი, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურის ნაწილი, თუ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ინსტიტუცია, რომელიც ორიენტირებულია გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვაზე. პარადოქსულია და ამავდროულად, ძნელიცაა, პრემიერ-მინისტრის დანიშნული ომბუდსმენი მიუკერძოებელი იყოს, რომელიც გარკვეულ პრეტენზიას ან შენიშვნას გამოთქვამს თუნდაც შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომელიც ასევე პრემიერს ექვემდებარება. ეს ინსტიტუცია მთავრობისგან გამიჯნული და სრულიად დამოუკიდებელი სტრუქტურა უნდა იყოს, თუმცა დამოუკიდებელი ინსტიტუციის მართვა საქართველოში, საკმაოდ რთულია. უცხოეთში არის პრაქტიკა, როდესაც ბიზნესომბუდსმენს ბიზნეს-წრეები და სამოქალაქო საზოგადოება ირჩევს, რაც ჩვენთან წარმოუდგენელია. არსებობს ისეთი პრაქტიკაც, როდესაც საგადასახადო ომბუდსმენს საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტი ირჩევს“.**

რატომ შეცვალა ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესომბუდსმენის სტატუსი, საგადასახადო ომბუდსმენით ან რას ნიშნავს ამ ტიპის ცვლილება? ლევან კალანდაძე განმარტავს, რომ საგადასახადო ომბუდსმენი, ძირითადად, საგადასახადო დავებს არეგულირებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბიზნესს პრობლემები მხოლოდ საგადასახადო მიმართულებით არ ექმნება:

**„ბიზნესომბუდსმენი, კლასიკური გაგებით, ბიზნეს-წრეების ინტერესების დამცველს წარმოადგენს, რომელიც ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, ბიზნესის ლობისტია. რაც შეეხება საგადასახადო ომბუდსმენს, ის საგადასახადო დავებს არეგულირებს, მაგრამ ბიზნესს მხოლოდ საგადასახადო ორგანოსთან არ უჩნდება პრობლემები, ხშირად ბიზნესს პრობლემები აქვს ლიცენზირების საკითხში, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან ურთიერთობაში. თუ გვინდა, რომ მაინც და მაინც, საგადასახადო ომბუდსმენი გვყავდეს, არც ესაა პრობლემა, გვყავდეს, მაგრამ ამით ბიზნესის პრობლემები მხოლოდ ნაწილობრივ მოგვარდება. ბიზნესის ლობისტი, ბიზნესის ინტერესების გამტარებელი უნდა იყოს და არა, ფორმალური დამცველი, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ, საგადასახადო დავებში მონაწილეობს. ბიზნესს ხშირად აქვს პრეტენზიები სახელმწიფოსთან, რის გამოც საქმე სასამართლომდე მიდის, ამიტომ ბიზნესის, თუ საგადასახადო ომბუდსმენი, სასამართლო დავებშიც კი ბიზნესის ინტერესების დამცველი უნდა იყოს!“**

## აშშ-სთვის მნიშვნელოვანი ბევრი საკითხი მოგვარებულია




პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, კონგრესის ორივე პალატაში 13 მარტს გამართული შეხვედრების მთავარი თემა საგარეო და სავაჭრო ურთიერთობები იყო. უსუფაშვილის თქმით, შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა ქვეყნებს შორის სამხედრო ურთიერთობების პერსპექტივებზე: **„ჩვენ ვისაუბრეთ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე, მათ შორის, სამხედრო თანამშრომლობის სფეროში. მისასალმებელია, რომ ჩვენი პარტნიორები აპირებენ, უფრო გააუმჯობესონ ჩვენთან ურთიერთობა ინტესივობისა და მოცულობის თვალსაზრისითაც“.**

პარლამენტის თავმჯდომარისვე განცხადებით, მოლაპარაკებების დროს ქართულმა მხარემ ყურადღება გაამახვილა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლის აუცილებლობაზე: **„ჩვენ ვსაუბრობთ იმის შესაძლებლობაზე, რომ დაიწყოს სერიოზული მოლაპარაკებები თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების თაობაზე შეთანხმების შესახებ, ვინაიდან ჩვენ ევროკავშირის მიმართულებით გვაქვს სერიოზული პროგრესი და ველოდებით მალე ხელშეკრულების ხელმოწერას. ძალიან ბევრი საკითხი, რომელიც აშშ-სთვის მნიშვნელოვანია, ქვეყანაში მოგვარებული იქნება. კონგრესშიც და სენატშიც ფრიად გაოცებულნი დარჩნენ, რომ დღეისთვის აშშ-ს კერძო ბიზნესი ქართულ ბაზარზე ნაკლებადაა წარმოდგენილი“.**

უსუფაშვილის აზრით, შესაძლოა, ყოფილიყო ქვეყანაში კანონის უზენაესობის პრობლემა, ასევე არასტაბილურობა, ომი და ომის შემდგომი პერიოდი, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში არანაკლები სირთულეებია სტაბილურობის თვალსაზრისით, მაგრამ ამერიკული ბიზნესი იქ გზას იკვალავს: **„ამიტომ ჩვენი საუბრების ერთ-ერთი მთავარი თემა არის ის, რომ გავაუმჯობესოთ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, რათა საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავზე იგრძნოს ამ სტრატეგიული პარტნიორობის კონკრეტული შედეგები“.**

პარლამენტის თავმჯდომარემ ასევე აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობის გეგმებზეც ისაუბრა.

*„პირველი“*

## ვერსიანიუსი

### ახალგაზრდა პარლამენტარების შერჩევა დაიწყო



2013 წლის მოწვევის ახალგაზრდული პარლამენტის წევრების შერჩევა იწყება და მათი ასაკი 18-დან 25 წლამდე განისაზღვრება.

ახალგაზრდა პარლამენტართა მანდატი 1 წელია, რომლის ფარგლებშიც მათი საქმიანობა მოიცავს მიმდინარე კანონპროექტების განხილვას, რეკომენდაციების შემუშავებას, საკანონმდებლო ინიციატივების მიწოდებას პარლამენტისთვის, არსებული პრობლემების წარმოჩენას, განხილვასა და მიწოდებას შესაბამის ორგანოებამდე, ახალგაზრდული პარლამენტის პოზიციის დაფიქსირებას მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, კვლევების ჩატარებას მოსახლეობაში არსებული პრობლემატიკის შესწავლის მიზნით.

*„პირველი“*

### გოგი თოფაძის აზრით, „ნაცმოძრაობა“ იძულებული გახდება, ტონი შეცვალოს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გოგი თოფაძის განცხადებით, 19 აპრილამდე ბევრი რამ გამოაშკარავდება, რაც „ნაცმოძრაობას“ ტონს შეაცვლევინებს: **„მიმაჩნია, რომ ეს არის ბაქი-ბუქი, ისინი ვერაფერს გააკეთებენ. მსგავსი აქციების მცდელობა რამდენჯერმე ჰქონდათ, მაგრამ 200-300 კაცზე მეტი ვერ მოაგროვეს. 19 აპრილამდე ბევრი რამ გამოაშკარავდება და მათ ტონი შეეცვლებათ“.**

*„პირველი“*

# კანონი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, საბჭოთა ანაბრები გაისტუმროს



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ" (აფბა), 90-იან წლებში განვითარებული ჰიპერინფლაციური პროცესების გამომწვევი მიზეზების შესწავლა დაიწყო. „ვერსიაში" უკვე ვწერდით, რომ ამ მიზნით, აფბა-მ საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრი შექმნა. ამის შემდეგ, დეტალურად მიმოვიხილეთ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პრაქტიკა — სად და როგორ გაისტუმრეს, ან ისტუმრებენ საბჭოთა დავალიანებას. საქართველოში ეს პროცესი 1998 წელს დაიწყო, როდესაც პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ" და სხვა ვალდებულებებთან ერთად, საბჭოთა ანაბრებიც შიდა ვალში აიღო. „ვერსიას" ეკონომიკის ექსპერტი, მიხეილ ჯიბუტი ესაუბრება, რომელმაც 1998 წლის 5 მარტს, ეს კანონი პარლამენტში წარადგინა.**



## რა პერსპექტივები უძლოდა წინ საბჭოთა ანაბრების გაუფასურებას, რატომ გაიწელა პროცესი დროში და როგორ შეიცვალა ფაქტები მითებით?

„სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონით, საქართველოს სახელმწიფო შიდა ვალად აღიარებს: მოსახლეობის მიერ, ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილ დავალიანებას; ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილ დავალიანებას; რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ, ამ ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშებზე რიცხული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილ დავალიანებას; თურქმენეთიდან 1995 წლის ჩათვლით მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის სანაცვლოდ. საქართველოს მთავრობის დავალებით, ქვეყნის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დატვირთული პროდუქციის ანაზღაურებაში არსებულ დავალიანებას; საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილ დავალიანებას; ყოფილი საბჭოთა კავშირის 1990 წლის სახელმწიფო, უპროცენტო, მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულებას; კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებას; მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში", ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობის გამო წარმოქმნილ დავალიანებას; მოსახლეობის მიერ, სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით წარმოქმნილ დავალიანებას; ყოფილი საბჭოთა კავშირის „ინდუსტრიაბანკის" მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილ დავალიანებას.

მიხეილ ჯიბუტმა „ვერსიასთან" საუბრისას აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ საბჭოთა მეანაბრეების ვალი აღიარა, რაც პოლიტიკურად გამართლებული ნაბიჯი იყო, დღის წესრიგში არანაკლებ აქტუალური საკითხი დადგა — როგორ და რა მექანიზმებით გადაიხდიდა სახელმწიფო ამ ვალს:

**„ეს საკმაოდ რთული საკითხია და სხვადასხვა რესპუბლიკაში, სხვადასხვანაირად წყდება. საბჭოთა ანაბრების დაბრუნების პროცესი ახლაც მიმდინარეობს უკრაინაში, სადაც პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა. ეს პროცესი აზერბაიჯანშიც მიმდინარეობს, რუსეთი კი 15 წელია, აბრუნებს ამ ვალს და სირთულეები მასაც აქვს. საქართველოს სახელმწიფოს 1998 წლამდე, ვიდრე ამ კანონს არ მიიღებდა, არ უთქვამს, რომ საბჭოთა ანაბრები შიდა ვალია, რაც 1990 წლიდან, ეს იყო 8-წლიანი უპატივცემულობა საკუთარი ხალხის მიმართ. 1998 წლიდან, 2013 წლამდე, 15 წელი გავიდა და არც ამ პერიოდში უთქვამს რომელიმე ხელისუფალს, როგორ უნდა გადაეწყვიტა ეს საკითხი, რაც ხალხის მიმართ უპასუხისმგებლობის კიდევ 15 წელი იყო".**

საინტერესოა, როგორ უნდა გადაჭრას სახელმწიფომ შიდა ვალად აღიარებული, ერთ-ერთი, ყველაზე უფრო მეტად მტკივნეული — საბჭოთა ანაბრების პრობლემა. რა მექანიზმი არსებობს ქვეყანაში, რომლითაც ხელისუფლება ამ ვალს დაფარავს. მიხეილ ჯიბუტი „ვერსიას" რამდენიმე ვარიანტს სთავაზობს, ოღონდ ციფრები, რომლებსაც ექსპერტი ასახელებს, რა თქმა უნდა, პირობითია:

**„როდესაც ხელისუფლებაში ხარ, ზუსტად იცი, რა შემოსავალს ფლობს ქვეყანა და რა ვალდებულება აქვს საკუთარი ხალხის მიმართ. სასურველია, რამდენიმე ვარიანტი არსებობდეს, მაგალითად, თუ ადამიანს სურვილი აქვს, რომ საბჭოთა ანაბარზე დარიცხული თანხა იმავე წელს მიიღოს, მაშინ სახელმწიფო სთავაზობს, რომ პირველ 1 000 რუბლში, 100 ლარს გადაუხდის. თუ ადამიანს უნდა, რომ ეს თანხა 5 წლის შემდეგ მიიღოს, მაშინ ყოველ 1 000 რუბლში, 150 ლარს მიიღებს, თუ უნდა, რომ თანხა 30 წლის შემდეგ მიიღოს, სახელმწიფო 30-წლიან ობლიგაციას შესთავაზებს და 30 წლის შემდეგ, საბჭოთა მეანაბრე ყოველ 1 000 რუბლში, 900 ლარს მიიღებს, მაგრამ თუ ადამიანს სურვილი აქვს, თანხა მთლიანად გაინაღდოს, მაშინ სახელმწიფო 50-წლიან ობლიგაციას შესთავაზებს. მეორე მიმართულება ის არის, როდესაც სახელმწიფო, თანხის ნაცვლად, საბჭოთა მეანაბრეს აქტივებს სთავაზობს, რაც შედარებით რთული პროცესია".**

მიხეილ ჯიბუტი იმ პერიპეტიებზეც საუბრობს, რის გამოც საბჭოთა ანაბრების საკითხი დროში გაიწელა, ემოციებით დაიტვირთა და სხვადასხვა დონის მსჯელობებში, ფაქტები უკვე მითებმა ჩაანაცვლა. მითოლოგიაში რომ არ გადავიჭრათ, ექსპერტი ანაბრებთან დაკავშირებით, ორ თარიღს უსვამს ხაზს — 1991 წლის 26 დეკემბერი, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ბუნებრივია, ამის შემდეგ, საბჭოთა ანაბარი არ წარმოიშობოდა და 1992 წლის 1 იანვარი, როდესაც საბჭოთა საბანკო სისტემამ, ანუ „სბერბანკმა" არსებობა შეწყვიტა. რაც მთავარია, 1992 წლის 1 იანვარს საქართველოს დედაქალაქში უკვე სამოქალაქო ომია გაჩაღებული, რასაც სამხედრო გადატრიალება მოჰყვა, ცალკე უნდა აღინიშნოს ომი ცხინვალსა და აფხაზეთში — მოკლედ, ეს არის დრო, როდესაც საბჭოთა ანაბრებისთვის არავის ეცალა!

რა ხდება 1992 წლის 1 იანვრის შემდეგ? მიხეილ ჯიბუტი განმარტავს, რომ „სბერბანკმა", როგორც საბჭოთა ბანკმა, ლიკვიდაცია გამოაცხადა, მაგრამ სამაგიეროდ, დამოუკიდებელ, კომერციულ სტრუქტურად გადაკეთდა და ასე განაგრძო არსებობა. მთავარი ის არის, რომ საბჭოთა ანაბარი, როგორც ფულადი თანხა, „სბერბანკშიც" კი არ იყო. ექსპერტი ამბობს, რომ ფულადი თანხა ცენტრალიზებული იყო და სახელმწიფო ბანკში, ანუ „გოსბანკში" იყრიდა თავს. მიხეილ ჯიბუტის თქმით, ფულს ვერც საქართველო გასცემდა, რადგან მართალია, ქვეყანა დამოუკიდებელი იყო, მაგრამ ფინანსური დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული.

**„საინტერესოა „სბერბანკის" ისტორია, რომელიც 1841 წლიდან არსებობს. ამ ბანკმა ჯერ 1917 წელი, შემდეგ კი 1918-1921 წლები, მართლაც ღირსეულად გაიარა და დეპოზიტებთან დაკავშირებით, პრობლემები არასდროს შექმნია. საბჭოთა კავშირის დროს, „სბერბანკი" სოციალისტურ იდეოლოგიას მოერგო, შეიქმნა სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები, რომლებიც კომერციული ბანკები კი არა, მხოლოდ და მხოლოდ შემნახველი სალაროები იყო, სადაც მოსახლეობას საკუთარი შრომითი დანაზოგი ანუ ხელფასი შეჰქონდა. შემნახველი სალაროების ზედამხედველი „გოსბანკი" იყო, დანარჩენ 14 რესპუბლიკაში არსებული შემნახველი სალაროები კი ცენტრალური „სბერბანკის" ფილიალები იყო და დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ გააჩნდათ".**

მიხეილ ჯიბუტი „ვერსიასთან" საუბრისას კიდევ ერთ, მნიშვნელოვან და მტკივნეულ პროცესს იხსენებს, რამაც საბჭოთა კავშირის 15-ვე რესპუბლიკაში სერიოზული გარდატეხა შეიტანა და საბჭოთა ანაბრები, როგორც ფულადი თანხა, გააუფასურა: **„ეს არის 1991 წლის იანვრის სამი დღე, როდესაც რუსეთის პრემიერ-მინისტრმა პავლოვმა, მსხვილი კუპიურების გადაცვლის სამდღიანი რეფორმა გამოაცხადა. ამ პროცესს, „პავლოვის რეფორმა" უწოდეს და ეს ის პავლოვია, რომელიც 1991 წლის აგვისტოში, ГКЧП-ს ხელმძღვანელობდა. მსხვილი კუპიურების გადაცვლის სამდღიან რეფორმას, საქართველოშიც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, მაშინდელი საქმოსნები ფულის ტომრებით დარბოდნენ, მაგრამ თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამ პროცესს სამი დღე არ ეყოფოდა. „პავლოვის რეფორმის" არსი ის იყო, რომ საქმოსნები, რომლებსაც საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდათ, მაგრამ შემნახველ სალაროებში დიდ თანხას ვერ შეიტანდნენ, რის გამოც დიდი ფული გარეთ იყო, სამი დღის მანძილზე, 15-ვე რესპუბლიკის მასშტაბით, შემნახველ სალაროებს მიაწყდნენ. საქართველოში, ნაღდი ფულის სახით, დაახლოებით, 14 მილიარდი რუბლი ამოიღეს, რასაც ჩვენს ქვეყანაში 300%-იანი ინფლაცია მოჰყვა, თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა არ ყოფილა, სიტუაცია მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აირია და ნაღდი ფული, ანაბრების წიგნაკში დაფიქსირებულ ციფრებს დაშორდა. როგორც უკვე გითხარით, საქართველოში არსებულ შემნახველ სალაროში ნაღდი ფული არ იყო და რეალურად, ფული მხოლოდ საბჭოთა მეანაბრის წიგნაკში, ჩანაწერის სახით არსებობდა".**

## საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის სურვილი 35-მა კანდიდატმა გამოთქვა



საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის სურვილი 35-მა კანდიდატმა გამოთქვა. მაუწყებლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში სწორედ 35 პირი დარეგისტრირდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის მსურველები არიან: დოდო შონავა, დავით კიკვაძე, ლუკა ჯღარკავა, თორნიკე კაციტაძე, სანდრო ბერაძე, ქეთო სადღობელაშვილი, დავით არველაძე, სოფიო ფრუიძე, ანა გოგობერიშვილი, მაკა ჯანაშია, რამაზ ბრულაშვილი, ბაკურ სვანიძე, ოთარ ლომთაძე, აკაკი ჩარგეიშვილი, გიორგი ჟორჟოლიანი, არსენ გოგოხია, ალექსანდრე ბედოიძე, ირაკლი თაბაგარი, მამუკა ფორჩხიძე, გიორგი ციხისელი, არჩილ ჭყოიძე, მალხაზ ჟვანია, თამაზ ბიბილური, მეგი თავდუმაძე, მალხაზ ჭანკოტაძე, ბესარიონ ორმოცაძე, არჩილ ყიფიანი, გოჩა ბაშალეიშვილი, გია კობაური, კობა ცხაკაია, რევაზ შალიბაშვილი, იაგო წიკლაური, სანდრო ვახტანგოვი, არჩილ ბუბუტეიშვილი და ალექსანდრე ლომოური.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ ღია კონკურსთან დაკავშირებით საბუთების მიღება 5 მარტიდან დაიწყო და 14 მარტს დასრულდა.

კონკურსი ორ ტურად ჩატარდება. კანდიდატების მიერ წარდგენილი CV-ის შესწავლისა და შერჩევის საფუძველზე გამოვლინდებიან მე-2 ტურში გასული კანდიდატები, რომლებთანაც უკვე გასაუბრება გაიმართება და გამარჯვებული გამოვლინდება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობა ვაკანტური რამდენიმე დღის წინ, მას შემდეგ გახდა, რაც გიორგი ბარათაშვილს სამეურვეო საბჭომ უფლებამოსილება შეუწყვიტა.

*„ინტერპრესნიუსი"*

**ვერსიანიუსი**

## European Voice: „შტეფან ფულე მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის ორ ცეცხლს შუაა"



European Voice შტეფან ფულეს მიერ საქართველოში თომას ჰამარბერგის წარგზავნას ეხმაურება და სტატიას აქვეყნებს სათაურით — „საქართველო მის ფიქრებში".

გამოცემა აღნიშნავს, რომ ევროკომისარი შტეფან ფულე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შორის ორ ცეცხლს შუაა: **„როგორც ჩანს, ევროკომისარი სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა დააბნიეს. ორივეს ბრძოლა აქვს გამართული გაზეთებისა და თუ ტელეეთერის მეშვეობით. სააკაშვილის შემთხვევაში კი, ევროპის პარლამენტის მეგობარი წევრების მეშვეობითაც".**

წერილის მიხედვით, ფულე უკვე აშკარად დაიღალა ორ ცეცხლსშუა ყოფნით. European Voice წერს, რომ მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ, ფულემ ისე სწრაფად დატოვა სააკაშვილთან ერთობლივი პრესკონფერენცია, თითქოს ეს პროტესტის ნიშნად გააკეთა: **„ახლა კი, ფულემ საქართველოში მიავლინა სპეციალური მრჩეველი, რომელიც ხელისუფლებას კონსულტაციებს გაუწევს სასამართლო და საკონსტიტუციო რეფორმებსა და ადამიანთა უფლებების საკითხებში. „დასაწყისისთვის" ევროკომისარმა მას ოთხთვიანი მანდატი მისცა, რათა „საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუციები დამოუკიდებელი, ობიექტური რჩევებით უზრუნველყოს". ეს საწყალი კაცი, ვინც ეს სამუშაო უნდა შეასრულოს, თომას ჰამარბერგია, ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების ყოფილი კომისარი".**

*„ინტერპრესნიუსი"*



რუსუდან შელია
557-100-768

**„საქართველო სოჭის ოლიმპიადაზე გაემგზავრება. აბა, როგორ უნდა დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა?!“, — პრემიერ-მინისტრის ამ განცხადების შემდეგ, სოჭის ოლიმპიადის პოლიტიკურ-სპორტულ რაკურსში განხილვასთან დაკავშირებით, „ვერსიაში“ მასალა მომზადდა, სადაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი აცხადებს, რომ ოლიმპიადებზე გამგზავრება პოლიტიკოსების პრეროგატივას არ წარმოადგენს და მსგავსი საკითხები მხოლოდ კომიტეტში, ფარულ კენჭისყრაზე წყდება. მასალის გასვლის შემდეგ, „ვერსიას“ ოლიმპიური კომიტეტიდან დაუკავშირდნენ და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება სთხოვეს. გთავაზობთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახლადარჩეულ პრეზიდენტთან, ლერი ხაბელოვთან ინტერვიუს.**



# ლერი ხაბელოვი: „გვინდა თუ არა, ჩვენც ამ პოლიტიკის ნაწილი ვართ!“

**— პრემიერის პოლიტიკური ნება უკვე დაფიქსირებულია. საინტერესოა, რა გადაწყვეტილებამდე მივიდა ოლიმპიური კომიტეტი ქართველი სპორტსმენების სოჭში გამგზავრებასთან დაკავშირებით?**

— ოლიმპიადაზე გამგზავრებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია, პირველ რიგში, სახელმწიფომ და მთავრობამ უნდა დააფიქსიროს. ოლიმპიური კომიტეტი მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, რადგან გვინდა თუ არა, ჩვენც ამ პოლიტიკის ნაწილი ვართ. შესაბამისად, წარმოუდგენლად მეჩვენება, მმართველი გუნდი ერთ აზრზე იყოს, ოლიმპიური კომიტეტი კი სხვა პოზიციას აფიქსირებდეს. დღეს პოლიტიკურ ნაწილში ყველაფერი გადაწყვეტილია, რაც შეეხება სპორტულ ნაწილს, ჩვენ ოლიმპიური ოჯახის წევრები ვართ, ოლიმპიური ქარტიის წესდებით ვხელმძღვანელობთ. შესაბამისად, ქართველებმა „სოჭი 2014“-ში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მივიღოთ.

**— კი, მაგრამ პროცედურულად აღნიშნული საკითხი ხომ დახურულ კენჭისყრაზე უნდა გადაწყდეს. წინასწარ როგორ შეგვიძლია ვთქვათ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საბჭო?**

— დიახ, უახლოეს მომავალში, სოჭში გამგზავრების საკითხს ალმასკომზე დავაყენებთ. ამასთან, სპორტულ საზოგადოებასაც ვკითხავთ, რამდენად მიზანშეწონილია ქართველი სპორტსმენების ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობა, რის შემდეგაც სესიაზე ყველა ოლიმპიური სახეობის სპორტული ფედერაციების პრეზიდენტებს მოვიწვევთ. სწორედ მათ უნდა მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც შემდეგ ხელს მე მოვაწერ და ოლიმპიურ კომიტეტში გავგზავნი. ჩვენი მხრიდან ოლიმპიადაში მონაწილეობის მზადყოფნა უკვე არსებობს.

**— საინტერესოა, რატომ შეიცვალა კომიტეტმა პოზიცია, როცა არც ისე დიდი ხნის წინ, გამართლებულად არ მიაჩნდა ოკუპანტ ქვეყანაში, სოხუმიდან 120 კილომეტრში გამართულ ოლიმპიადაზე ქართველების გამგზავრება?**

— საერთოდ, მსგავსი შეფასებები არასწორია. მეტიც, გაუმართლებელია იმის თქმა, რომ რუსეთი ცუდია და ამიტომ ქართველები ოლიმპიადაზე არ უნდა გავემგზავროთ. ჩვენ ოლიმპიური ოჯახის წევრები ვართ, შესაბამისად, ოლიმპიურ ქარტიას ვაღიარებთ! ამასთანავე, ზამთრის ოლიმპიადა საქართველოში დიდად განვითარებული არ არის. ოლიმპიადაზე უარის თქმით ჩვენს სპორტსმენებს, რომლებიც ზამთრის თამაშებში, სამწუხაროდ, მაღალ დონეზე ვერ ასპარეზობენ და, შესაძლოა, მათგან დიდ შედეგებსაც არ უნდა ველოდოთ, განვითარების შანსს ვუსპობთ. თუ სოჭში გამგზავრებაზე უარს ვიტყვით, ვის რას დავაკლდებით ან რა შედეგს მივიღებთ? არავის არაფერს და, არც რეალურ შედეგამდე მივალთ. მხოლოდ სპორტს დავაზარალებთ! მით უმეტეს, თუ ვამბობთ, რომ რუსეთთან საუბარი ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე აუცილებელია, არ მესმის, რატომ უნდა ვთქვათ ოლიმპიადაზე უარი?

**— იყო საუბრები „მოსკოვი 80-ის“ პრეცედენტის გამეორებაზეც, როცა 50-მა სახელმწიფომ რუსეთში დაგეგმილ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი თქვა. ანუ, ბოიკოტის განმეორების შესაძლებლობა ამ შემთხვევაში არ არსებობს?**

— რა თქმა უნდა, 1980 წლის პრეცედენტი ვერ განმეორდება. დიდი ხანია სპორტში ვარ, შესაბამისად, კარგად მახსოვს „მოსკოვი 80“-ის ოლიმპიადა, როცა მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა ავღანეთში საბჭოთა კავშირის ჯარების შესვლა გააპროტესტეს და ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. მაშინ, მართალია, რუსეთმა ოლიმპიური თამაშები ჩაატარა, თუმცა არა იმ დონით, რაც ამ გრანდიოზულ ღონისძიებას შეეფერება. პასუხად, ლოს-ანჯელესში, 1984 წლის ოლიმპიადაზე, საბჭოთა კავშირის სპორტული ბანაკი აღარ გაემგზავრა, თუმცა, გარწმუნებთ, პოლიტიკური გაუგებრობის პროცესში მხოლოდ სპორტი დაზარალდა. აღსანიშნავია, რომ სულ რამდენიმე დღის წინ, საქართველოს რაგბის ნაკრები სოჭში იმყოფებოდა, სადაც რუსი მეტოქეები დაამარცხა. ეს ხომ ქართველი გულშემატკივრისთვის დღესასწაულია?! წინა ხელისუფლება ამ თემით მხოლოდ სპეკულირებდა, რადგან რუსეთში გამართულ ფიგურულ სრიალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ქართული მხარე ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროსაც მონაწილეობდა. რატომ ჩავიდნენ ოკუპანტ რუსეთში? ვიმეორებ, თუ ბოიკოტი შედეგს მოგვცემს, კი ბატონო, პირველი მე ვიქნები მომხრე, რომ ქართველი სპორტსმენები სოჭში არ გაემგზავრონ, მაგრამ ასე არ მოხდება — დივიდენდი არ გვრჩება. წამყვანი ქვეყნები ჩვენ ბოიკოტს მხარს არ დაუჭერენ.

**— ცნობილია, რომ ზურა აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრაზე, სოჭის ოლიმპიადაში ქართველების მონაწილეობის საკითხიც განიხილეს. რუსეთისთვისაც მნიშვნელოვანია ოლიმპიადაში ქართველი სპორტსმენების ჩართვა?**

— ოლიმპიური თამაშები მასშტაბური შეჯიბრია, ამიტომ, ბუნებრივია, რუსულ მხარესაც აქვს სურვილი, რომ მის ტერიტორიაზე გამართულ მსოფლიო ღონისძიებაში ყველა ქვეყანა ჩაერთოს. ისიც ფაქტია, რომ ჩვენი ბოიკოტი რუსეთისთვის არაფერს შეცვლის. მსგავს საკითხებს ოლიმპიური ქარტიის კომიტეტი არეგულირებს და ოლიმპიადაში მონაწილეობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს თავად აწარმოებს. ჩვენც, ძირითადად, ამ კომიტეტთან ვურთიერთობთ.

**— ითქვა ისიც, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი „სოჭი 2014“-ში მონაწილეობის მიღებას გეგმავს. თიბილოვმა აღნიშნა, სპეციალური ჯგუფი იქმნება, რომელიც ოსი სპორტსმენების ოლიმპიადაში მონაწილეობაზე იზრუნებსო. ქართულ მხარეს ეს ფაქტი უხერხულობას არ უქმნის?**

— აბსურდია! იმისათვის, რომ დეფაქტო რესპუბლიკებმა შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება მიიღონ, საერთაშორისო ოლიმპიურმა საბჭომ ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად უნდა აღიაროს. თანაც მსგავსი საკითხების გადაწყვეტა რამდენიმე თვეში ან თუნდაც წელიწადში წარმოუდგენელია. ოლიმპიური მოძრაობა ამ მიმართულებით წლების განმავლობაში მუშაობს. 2020 წლის ოლიმპიური თამაშებიდან ჭიდაობის ამოღების საკითხის განხილვა ახლა დაიწყო. წარმოიდგინეთ, ქვეყნის აღიარებისა და ოლიმპიურ ოჯახში მიღების პროცესი რამდენად გაიწელება. ასე რომ, მსგავსი საუბრები გაუმართლებელია. რამდენიმე ექსპერტი, რომელიც ამ მიმართულებით კრიტიკას გამოთქვამს, ალბათ არ არის ინფორმირებული, რომ სპორტულ ნაწილში მსგავსი საკითხები მარტივად არ წყდება.

**— ამასობაში, პარლამენტი კობა დავითაშვილის ინიციატივას იხილავს, რომლის მიხედვითაც აზარტული თამაშების რეკლამირება იკრძალება. ეს კანონპროექტი იატაკქვეშა თამაშების ჩამოყალიბებას არ შეუწყობს ხელს?**

— სხვათა შორის, როცა კობა დავითაშვილის აღნიშნული ინიციატივის შესახებ შევიტყვე, გამიჩნდა კითხვა — რას გულისხმობს კობა დავითაშვილი აზარტულ თამაშებში? ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, დოლი, ჭადრაკი, ჭიდაობა, სხვადასხვა ტიპის ლატარიებიც აზარტული თამაშებია, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ მათ პოპულარიზაციას ხელი შევუშალოთ? ამიტომ ამ კანონის გადახედვა აუცილებელია, რათა დოკუმენტალურად ჩამოიწეროს, კონკრეტულად რა მიმართულებების რეკლამირება აიკრძალება. როცა კობა დავითაშვილმა თქვა, ოჯახები დაინგრა, ახალგაზრდებმა სახლები გაყიდეს, ზოგმა თავი მოიკლაო, სავარაუდოდ, მხოლოდ კაზინოში თამაშს გულისხმობდა, თუმცა, როცა კანონზე ვსაუბრობთ, მეტი დაკონკრეტებაა საჭირო, რადგან ყველა სპორტული სახეობა აზარტულ თამაშად ითვლება.

**— კობა დავითაშვილს თქვენი შენიშვნები უკვე გააცანით?**

— დიახ, მას ამ საკითხებზე უკვე ვესაუბრე და მითხრა, რომ პირიქით, მისი სურვილია აღნიშნული კანონპროექტით სპორტული, შემოსავლები გაიზარდოს. პარლამენტში ეს საკითხი ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია, ამიტომ ხარვეზების გამოსასწორებლად დრო არის. საკომიტეტო განხილვებში აუცილებლად ჩავერთვები და ვეცდები, ყველა კითხვაზე მივიღო პასუხი.

**დასამალი არაფერია, 7 თებერვალს, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი სოჭში, საერთაშორისო კონფერენციაზე გაემგზავრა, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგიც იმყოფებოდა. შეხვედრაზე საქართველოს დელეგაცია დიდი პატივით მიიღეს. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ ქართველ სპორტსმენებს ოლიმპიადაში მონაწილეობა არ მიეღოთ, მაგრამ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ ამ საკითხის მოსაწესრიგებლად, რაშიც წინააღმდეგობა საერთაშორისო ასპარეზზეც არავის გაუწევია. ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში ყველანი მხარში ამოგვიდგნენ.**

## საჩივრებზე დროული რეაგირების მიზნით, პროკურატურაში საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნა



პროკურატურაში შესულ ასეულობით საჩივარზე დროული და ობიექტური რეაგირების მიზნით, უწყებაში 12-კაციანი საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნა. მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის თქმით, ჯგუფი თავიდან ბოლომდე ახალგაზრდა პროკურორებით დაკომპლექტდა, რომლებმაც სტაჟირება წელს დაასრულეს. აღნიშნული გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ ამა თუ იმ საქმესთან მიმართებაში რომელიმე პროკურორის სუბიექტური პოზიცია გამოირიცხოს: **„ჩვენ შევქმენით 12-კაციანი ჯგუფი იმ მიზნით, რომ პროკურატურაში შემოსული უამრავი საჩივარი ჯეროვნად და სამართლიანად იყოს გამოძიებული და პირის მიმართ გადაწყვეტილება იყოს მიღებული არა ზოგადად გავრცელებული აზრის საფუძველზე, არამედ კონკრეტული შესწავლის შედეგად. ჯგუფი დავაკომპლექტეთ ახალგაზრდა პროკურორებით, რომლებმაც წელს დაასრულეს სტაჟირება და დაინიშნნენ პროკურატურის სისტემაში. ეს გადაწყვეტილება მივიღეთ იმის გამო, რომ გამოირიცხოს ეჭვი, რომ ისინიც მონაწილე არიან რომელიმე საქმეში“.**

აღნიშნულ ჯგუფს ექნება სრული ხელშეწყობა, რათა გამოძიება აწარმოონ რაც შეიძლება სწრაფად.

***„ინტერპრესნიუსი“***

## საქართველო ევროკავშირისგან 40 მილიონ ევროს მიიღებს



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა და საქართველოში ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, საქართველო ევროკავშირისგან 40 მილიონ ევროს მიიღებს.

დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოსთვის ევროკავშირის დახმარების ეროვნული ინდიკატური პროგრამის 2012 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებას.

მინისტრის განცხადებით, საფინანსო შეთანხმებით განსაზღვრული 40 მილიონი ევროდან 18 მილიონი პირდაპირ მიმართული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც საქართველო ტრანშად მიიღებს, ხოლო 22 მილიონი ევრო მოხმარდება სოფლის მეურნეობის სფეროში მცირე საგრანტო პროექტებისა და ექსპერტული დახმარების პროგრამის განხორციელებას, ასევე პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგს და განხორციელებული რეფორმების შეფასებას.

პროექტის ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდა სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე.

***„ინტერპრესნიუსი“***

## კიდევ 40 ამნისტირებული პატიმარი გათავისუფლდა



12 მარტს, ამნისტიის ფარგლებში, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან საპატიმრო სასჯელისგან გათავისუფლდა 40 პატიმარი.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ცნობით, 12 მარტის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად ციხეები დატოვა სულ 8 305-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, მათ შორის 175-მა პოლიტპატიმარმა, 358-მა ქალმა და 21-მა მამრობითი სქესის არასრულწლოვანმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## გენადი ონიშჩენკო რუსეთის ბაზარზე „ბორჯომის“ „შემოვლითი გზით“ მოხვედრით უკმაყოფილოა



რუსეთის მთავარი სანიტარი, გენადი ონიშჩენკო უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსეთში აკრძალული ქართული „ბორჯომი“ ქვეყნის ბაზარზე ბელორუსის გავლით მაინც ხვდება: **„ბორჯომი“ მოსკოვის მაღაზიებში – ეს არის უხეში დარღვევა, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ ბელორუსი არ იცავს ჩვენს მიერ მიღწეულ შეთანხმებას“.**

ონიშჩენკოს თქმით, „ბორჯომი“ აკრძალვის პერიოდშიც ხელმისაწვდომი იყო მოსკოვის ზოგიერთ ბაზრობაზე.

*„ინტერპრესნიუსი“*

## საქართველო-ისრაელს შორის სავიზო რეჟიმი გამარტივდება?



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“, საქართველო-ისრაელის ბიზნესფორუმს დაესწრო. პრემიერმა სიტყვით მიმართა ფორუმის მონაწილეებს. მან მადლობა გადაუხადა ებრაელ ბიზნესმენებს საქართველოსადმი გამოჩენილი ინტერესისთვის და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქართველ-ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების კულტურას: **„ებრაელები განსაკუთრებულები არიან ბიზნესაქტიურობით და ბიზნესში წარმატებითაც. თუ შევძლებთ, საქართველოში მრავლად იყოს წარმოდგენილი ბიზნესი ისრაელიდან, ეს იქნება ჯანსაღი გარემო, ლაკმუსის ქაღალდი... ჩვენი ეკონომიკა, პრაქტიკულად, აუთვისებელია და ეკონომიკის აღორძინება საქართველოში საწყის ეტაპზეა, ამიტომ ბიზნესმენმა აქ ბიზნესის დასაწყებად განსაკუთრებული სიიოლე შეიძლება მოიპოვოს. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მაქსიმალურად კარგი პირობები შეგიქმნათ“.**

საქართველოს პრემიერის ინფორმაციით, დაიწყება ზრუნვა ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე, ასევე მიმოსვლის ღირებულების შემცირებაზე. მანვე ბიზნესმენებს ინფორმაცია მიაწოდა იმ საინვესტიციო ფონდის შესახებ, რომელიც მისი ინიციატივით იქმნება.

*„პირველი“*

# „როგორ გაბედეს და თეატრი გამიყიდეს! თავს მოვაჭრი ყველას, ვინც ჩემს თეატრს შეეხება!“

ნათია ვასაძე
555-98-61-65

**საქართველოში ერთადერთ პანტომიმის თეატრის დასს ქუჩაში დარჩენა ემუქრება. რუსთაველის №37-ში მდებარე თეატრის შენობა, 2012 წლის 31 აგვისტოს ხელშეკრულებით გაიყიდა. ხელშეკრულების შესაბამისად, არსებულ შენობაში ყოფნის უფლება თეატრს 2014 წლის 31 დეკემბრამდე აქვს. ქალაქის მერიამ ალტერნატიული ფართიც გამოძებნა — 9 აპრილის ბაღში, 919 კვ/მ. მიწის ნაკვეთი. „ვერსიას“ საქართველოში პანტომიმის ფუძემდებელი და თეატრის დირექტორი ამირან შალიკაშვილი ესაუბრა.**

## რას ელოდება ბიძინა ივანიშვილისგან სააკაშვილის მიერ 1 ლარად გაყიდული პანტომიმის თეატრის ფუძემდებელი ამირან შალიკაშვილი




— არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა, პრეზიდენტს თეატრი გაეყიდა. ამ შენობაში დიდი ხნის განმავლობაში იყო მოზარდმაყურებელთა თეატრი, შემდეგ ჩვენ მოვედით და უკვე 30 წელია, აქ ვთამაშობთ. მანამდე მუშტაიდის ბაღში გვქონდა შენობა, რომელიც დაიწვა და იყო პერიოდი, 5 წელი ვაგონებში ვიყავით მთელი დასი. ჯუმბერ პატიაშვილის დროს, როგორც იქნა, მივიღეთ 3000 კვ/მ ფართი — ეს შენობა. აქ რომ მოვედით, ნანგრევები იყო და მეტი არაფერი. ყველაფერი საკუთარი ხელითა და ფინანსებით გავარემონტე, ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ძალისხმევა დამჭირდა აქაურობა რომ თეატრს დამსგავსებოდა.

— **როგორ გაიგეთ, თეატრი რომ გაყიდული იყო?**

— **რამდენიმე დღის წინ აღმოვაჩინე, რომ თეატრი სააკაშვილს გაუყიდია. ვისგან გავიგე, არ ვიტყვი. არ მინდა იმ ადამიანს პრობლემები შეექმნას, რადგან დღესაც თანამდებობაზეა. საბუთების მიხედვით, თეატრი აგვისტოში გაყიდულა. ნასყიდობის ხელშეკრულებაში წერია, რომ გადახდილია 2 მილიონი ლარი (თან მითითებულია, რომ საპრივატიზებო საფასური 1 ლარის ოდენობით განისაზღვრა). დაახლოებით ორი თვის წინ, 100 000 ლარი ჩაირიცხა ჩვენს ანგარიშზე. გადმომგზავნი გახლდათ შპს „ახალი ოფისი“, რომელიც აქვე, ჩვენს ზემოთაა განთავსებული. ავედით მათთან და ვიკითხეთ, რისთვის ჩაგვირიცხეს თანხა ანგარიშზე. გვიპასუხეს: დაგვავალეს და ჩაგირიცხეთო. ამ თანხისთვის ხელიც არ მიხლია, ისევ დევს ანგარიშზე. ჩემს ხელთ არსებულ საბუთში წერია: 100 000 ლარი გადაერიცხოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრს შენობის კეთილმოსაწყობადო.**

— **რომელ შენობაზეა საუბარი?**

— ეს არის სწორედ საოცარი. რეალურად, არანაირი შენობა არ არსებობს, 9 აპრილის ბაღში მხოლოდ 919 კვ/მ მიწის ნაკვეთია გამოყოფილი. რა გავარემონტო ამ 100 000 ლარით, მიწის ნაკვეთი? იცით, რამდენი უნდა თეატრის აშენებას და გამართვას? ამ ფულით სამოთახიან ბინას თუ ვიყიდი მხოლოდ.

— **ამ ადგილის ირგვლივ დიდი ხანია, ყველაფერი გაყიდულია. აქამდე არ გიფიქრიათ, რომ თქვენს თეატრსაც მოადგებოდნენ?**

— თეატრთან დაკავშირებით მხოლოდ ჭორის დონეზე იყო საუბარი. ჩემთან მოდიან ადამიანები, რომლებმაც ახლა გაიგეს, რომ თურმე მათი ობიექტებიც გაუყიდიათ. ახლომახლო რასაც ხელი დავადე, ყველაფერი შპს „ახალ ოფისს“ ჰქონია ნაყიდი — ივერიის ირგვლივ თითქმის ყველაფერი, თეატრის მიმდებარე ტერიტორია, აკადემია, ფოსტა... მაგრამ ეს ჩემთან არ იყო დაკავშირებული, მე ხელუხლებელი ვიყავი. როგორ გაბედეს და თეატრი როგორ გამიყიდეს! თეატრს ხელი როგორ ახლეს!

— **ხელუხლებელი თქვენ რატომ იყავით, როცა „ნაციონალური“ ხელისუფლება აქტიურად ერეოდა თეატრების შიდა საქმიანობაში?**

— სპეციფიკური ჟანრია თვითონ პანტომიმა და ამიტომ ნაკლებად ერეოდნენ ამ თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. მახსოვს, სწორედ აქ, ჩემს კაბინეტში იჯდა ერთი ცნობილი რეჟისორი, რომლის ვინაობასაც არ დავასახელებ და მითხრა: ამირან, ხელშეუხებელი კაცი ხარ და ეს ყველამ ვიცითო. როგორ მახლეს ხელი, როგორ გაბედეს!

**არის რაღაც, რასაც ხელს არ ახლებენ, იაპონელები ამას განძს ეძახიან. სტურუა ხომ განძია, ხალხო! ჩხეიძე განძია! შეიძლება ბევრს აღიზიანებს კიდეც ჩემი ხმამაღალი ნათქვამი, რომ გენიოსი ვარ. რატომ არ უნდა ვთქვა, რომ გენიოსი ვარ? ერთადერთი კაცი ვარ, ვინც პანტომიმის ჟანრი დააარსა საქართველოში. ეს ელიტური ხელოვნება მსოფლიოში 5 ადამიანს ეკუთვნის — მარსელ მარსოს, ჩარლზ ჩაპლინს, ვლადისლავ ფიალკას, ტომაშევსკის და ამირან შალიკაშვილს. პირველი ოთხი გარდაცვლილია, ისინი რომ ცოცხლები იყვნენ გადაუვლიდნენ სააკაშვილს. არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა მაგალითი პრეზიდენტს თეატრი გაეყიდოს და მსახიობები ქუჩაში დაეტოვებინოს. ეს ერის კატასტროფაა.**

შევარდნაძეზე რომ ლაპარაკობს, შევარდნაძე ყოველთვის მხარში ედგა ჩემს თეატრს. ერთხელ ვთხოვე, თეატრი მომყიდე-მეთქი და რა მიპასუხა, იცით? ამირან, თეატრს ვერ მოგყიდი ისე, როგორც ვერ გავყიდი ეკლესიას და სკოლასო. ვინ წარმოიდგენდა, რომ რომელიმე პრეზიდენტი თეატრს ერთ ლარად გაყიდდა. იცით, რომ მილიარდერი ვარ და ეს მილიარდი წამართვეს? ეს მილიარდის ქონებაა ჩემთვის. სახლი ახლაც სარემონტო მაქვს, „დაჩა“ არ მაქვს, მანქანა არ მყავს... ჩემთვის ყველაფერია ეს თეატრი.



— **კულტურის სამინისტროს მიმართეთ დახმარებისთვის?**

— პირადად შევხვდი კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას, რომელმაც გამომიცხადა, ეს საკითხი მე არ მეხება, რადგან თეატრი მერიის დაქვემდებარებაშიაო. კანონი არ არსებობს, რომ საქართველოში თეატრი იყოს ხელშეუხებელი. ვერ ეხმარები?! იურიდიულად მაინც მოაწესრიგე საკითხი. თეატრთან დაკავშირებით ახალ კანონპროექტს რომ იღებენ და მმართველისა და სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებებზე დავობენ, რად უნდა ამას ამდენი ლაპარაკი, ეს ხომ ადრეც ეგრე იყო — თეატრში პირველი პირი ყოველთვის იყო სამხატვრო ხელმძღვანელი.

— **ქალაქის მერიაში იცოდნენ თეატრის გასხვისების შესახებ?**

— 1993 წელს გადაგვიყვანეს მერიის დაქვემდებარებაში. ამის მიზეზიც არ ვიცი. ჩვენ ხომ მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთი სახელმწიფო პანტომიმის თეატრი ვიყავით. ქალაქის მერიასთან პრეტენზია არ მაქვს. ქაცარავა წლების მანძილზე ინახავს თეატრს, აქტიურად გვეხმარება გასტროლებზე წასვლაში, მისი წყალობით გაორმაგდა ხელფასები, გვიყიდა აპარატურა... სწორედ ახლახან, მერიის სამსახურის ხელშეწყობით და კულტურის სამინისტროს ეგიდით, ვიყავით სტრასბურგში. 1973 წელს გავედი პირველად ქვეყნიდან და მას შემდეგ ვმოგზაურობ. საბჭოთა კავშირის 150 ქალაქი და ევროპის 20 ქვეყანა მაქვს მოვლილი. 5-ჯერ ვარ ნამყოფი ესპანეთში. ახლაც საფრანგეთიდან გვაქვს შემოთავაზება და მალე წავალთ პარიზში.

— **რატომაა პანტომიმა საზღვარგარეთ უფრო აქტუალური?**

— ჩვენ არ გვაქვს ამის კულტურა. სიმღერის, ცეკვის, ლექსის წერის ნიჭით ქართველები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ. პანტომიმა კი უცხოა ჩვენთვის. ეს მე გავაკეთე, მე დავაარსე ერთადერთი პანტომიმის თეატრი საქართველოში. რომელმა შეძლო ჩემამდე, ხელის მტევანი ყურძნის მტევნად ექცია? ეს მე აღმოვაჩინე პირველად. ცხონებულმა ვერიკო ანჯაფარიძემ მითხრა: ამირან, როგორ მოახერხე, სანაგვე ყუთიდან ასეთი მარგალიტის ამოღებაო?! თბილისში რომ პანტომიმის თეატრი გაიხსნა, პანტომიმის რუსი მსახიობები შევიდნენ რუსული პანტომიმის ფუძემდებელ ილია რუტბერგთან და შესჩივლეს: ქართველებს აქვთ პანტომიმის თეატრი, ჩვენ კი არაო. ამაზე მან უპასუხა: ქართველებს ჰყავთ ამირან შალიკაშვილი, ჩამოიყვანეთ იგი და თქვენც გექნებათ პანტომიმის თეატრიო. მთხოვეს კიდეც რუსეთში მოღვაწეობის გაგრძელება, მაგრამ არ წავედი. ეს არ ნიშნავს ჩემს პატრიოტიზმს. მე წესიერი კაცი ვარ. წესიერება ღირსებაა. კაცი წესიერი უნდა იყოს, ქალის სიყვარულშიც, მეგობრობაშიც, სუფრასთანაც... შენი ერის, შენი კუთხის წესი უნდა დაიცვა და ამით უფრო მეტს გააკეთებ სამშობლოსთვის, ვიდრე ხმამაღლა ძახილით, რომ პატრიოტი ხარ.

— **პოლიტიკაში არასოდეს ჩარეულხართ. აქამდე პროტესტის გრძნობა არ გაგჩენიათ თუ ფიქრობთ, რომ ხელოვანი პოლიტიკურ პროცესებს უნდა გაემიჯნოს?**

— ხელისუფალთ აქვთ უფლება, დამიძახონ და აზრი მკითხონ, მაგრამ არ შევალ ზღვაში, სადაც „არ მებანავება“. ადრე ღონისძიება არ ჩატარდებოდა უჩემოდ. ჟიული შარტავა რომ იკითხავდა: შალიკაშვილი არ მოსულაო, თუ ეტყოდნენ არაო, ესე იგი პრობლემები არ გვაქვსო, უხაროდა. სააკაშვილმა კი „ჩარეცხილები“ გვიწოდა. ვაჟკაცობა მაკლია თუ ნიჭიერება? „ჩარეცხილიც“ თვითონაა და „გადარეცხილიც“. პლეხანოვზე გაზრდილი ვარო, რომ იძახის, პლეხანოვზე მე ეგ საერთოდ არ მინახავს. უამრავი რეცენზია დაწერილა ჩემსა და ჩემს თეატრზე. 5 წიგნის ავტორი ვარ. მსოფლიო მიცნობს. ამ უვიცმა კი თეატრი გამიყიდა. საზღვარგარეთ კარგად იციან რა ნიჭი მაქვს. უამრავი უცხოელი ნახულობს ჩემს სპექტაკლებს. იქ ასე უბრალოდ არ შეხედავენ ამ ფაქტს, მაგრამ ისედაც ძალიან „ჩასვრილები“ ვართ ქართველები და კიდევ ეს სირცხვილიც არ მინდა დავამატო. ერთი წერილი და თვითმფრინავი დადგება მთელი დასის წასაყვანად. ახლაც, საზღვარგარეთ მუშაობის უამრავი შანსი მაქვს და არ ვიცი, რატომ ვერ გადავდგი ეს ნაბიჯი. ადრე მოსკოვშიც შემომთავაზეს ოჯახით გადასვლა. თეატრსაც გაგიხსნით და ბინასაც მოგცემთო. უარი ვთქვი. დარჩენით ვერ დავრჩები, თუ გინდათ რამდენიმე თვით ჩამოვალ, ლექციებს ჩავატარებ და სპექტაკლებსაც გავმართავ-მეთქი.

*დასასრული მე-13 გვერდზე*

# საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის 700-მდე სტუდენტს სტატუსი შეუჩერეს



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**რამდენიმე დღის წინ, „ვერსიისთვის“ ცნობილი გახდა, რომ „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის“ ასეულობით სტუდენტს სტატუსი სულ ახლახან შეუჩერდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სტუდენტებს ხელშეკრულების პირობები შეუცვალა და სწავლის საფასურის ნაწილის გადახდა, მაისის ნაცვლად, თებერვალში დაავალდებულა. შესაბამისად, ვინც ეს პირობა ვერ შეასრულა, მას სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა.**
**„ვერსია“ დაინტერესდა, რატომ მიიღეს „ეროვნული უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელებმა ასეთი გადაწყვეტილება, რატომ შეცვალეს სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულების პირობები და რა ბედი ელის მათ, ვისაც სასწავლებელში სტატუსი შეუჩერეს. კომპეტენტური ინფორმაციის მისაღებად, ვერსია „სეუს“ იურისტს, ნატო მოსიაშვილს დაუკავშირდა:**




რატომ შეცვალა სასწავლებლის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულებების პირობები

— ჩვენ ხელშეკრულება არ დაგვირღვევია. ყველაფერი კანონიერად გავაკეთეთ და ყველაფერი მოწესრიგებულია.

**— კანონიერია ის, რომ შუა სასწავლო წელს გამოუცხადეთ სტუდენტებს, სტატუსს გიჩერებთ, რადგან ხელშეკრულების პირობები შეიცვალა და მაისის ნაცვლად, თანხა თებერვალში უნდა გადაგეხადათო?**

— თანხის გადახდა ჩვენთან ორ ეტაპად ხდება — პირველი და მეორე სემესტრის დასაწყისში. შესაბამისად, მეორე სემესტრი რომ დავიწყოთ, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ სტუდენტების რაოდენობა, რასაც ვადგენთ, გადახდის მიხედვით. თუკი სტუდენტმა გადახდის ქვითარი არ მაჩვენა, ვერ გავიგებ, ჩემი სტუდენტია თუ სხვა უნივერსიტეტში გადადის. ჯგუფებს ტყუილად ხომ არ შევქმნით? ვისაც არ აქვს გადახდილი თანხა, ყველას ვუჩერებთ სტატუსს. ეს ინდივიდუალურია. ჩვენი უნივერსიტეტი კერძოა და სტატუსის შეჩერება ხელშეკრულებაშია განსაზღვრული. ზოგს სტატუსი უჩერდება იმის გამო, რომ საგნები რჩებათ ჩასაბარებელი, ზოგს იმიტომ, რომ თანხა არ აქვს გადახდილი.

**— გასაგებია, მაგრამ სტუდენტებმა აქამდე ხომ იცოდნენ და ხელშეკრულებაშიც ეწერათ, რომ თანხის ნაწილი მაისამდე არ ჰქონდათ გადასახდელი.**

— ეს შარშანდელი პირობა იყო.

**— ანუ უნივერსიტეტში ხელშეკრულებების პირობები ყოველწლიურად იცვლება?**

— მაისამდე ჰქონდათ გადახდის უფლება იმ სტუდენტებს, ვისაც შარშან გავუფორმეთ ხელშეკრულება. ჩვენს უნივერსიტეტს ყოველ წელს აქვს თავისი პირობები. რაღაცებს ვცვლით კიდეც. ეს ხომ კერძო უნივერსიტეტია, ამიტომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, რა პირობებიც აწყობს, იმას ადგენს. ჩვენი წლევანდელი პირობა ასეთი იყო — სწავლის გადასახადის დაფარვის ვადა იყო თებერვალში და არა მაისში. შარშანდელი სტუდენტები, ვინც ხელშეკრულება არ დაარღვია, ისევ მაისში გადაიხდიან გადასახადს. მათ კი, ვინც დაარღვია გადახდის პირობები ან საგანი დარჩა ჩაუბარებელი, სტუდენტის სტატუსი შეუწყდათ. ამ სტუდენტებმა 2012 წლის სექტემბერში ხელშეკრულება დაგვირღვიეს, 5 სექტემბრამდე უნდა გადაეხადათ თანხის ნაწილი და არ გადაიხადეს, ამიტომ შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი და გაუუქმდათ ძველი ხელშეკრულება. შემდგომში ვინც დაწერა განცხადება და თანხაც გადაიხადა, ყველა სტუდენტს აღვუდგინეთ სტატუსი, ხელშეკრულება კი ახალი პირობებით გაუფორმეთ. ახლა მეორე სემესტრის გადასახადი ვინც არ გადაიხადა, სტატუსი შევუწყვიტეთ.

**— ასეთი რამდენი სტუდენტია. „ვერსიის“ ინფორმაციით, მათი რიცხვი 700-ს აღწევს?**

— 700-ს არა, მაგრამ არც ამაზე ნაკლებს — ახალი ხელშეკრულება რომ დავუდეთ სტუდენტებს, იქ ჩავწერეთ, რომ თანხა თებერვალში უნდა გადაეხადათ. მათ ხელშეკრულების პირობები გულდასმით უნდა წაეკითხათ და თუ კითხვა ეზარებათ, რა ჩემი ბრალია? ვის როგორც უწერია გადახდის პირობები ხელშეკრულებაში, იმის მიხედვით ვატარებთ სანქციებს. ზოგ უნივერსიტეტში ჯარიმაა ვადის გადაცილების გამო, ჩვენ კი მხოლოდ სტატუსი შევუჩერეთ. ვინც მოვა, მოიტანს გადახდის ქვითარს და დაწერს განცხადებას, სტატუსსაც აღვუდგენთ.

## ისანს ახალი გამგებელი ჰყავს



ისნის რაიონის გამგებლად მერიის ახალგაზრდული დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი თორნიკე ხუციშვილი დაინიშნა. თბილისის მერის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ახალი გამგებელი 14 მარტს, ადგილობრივ მოსახლეობას თბილისის მერმა გიგი უგულავამ წარუდგინა.

უგულავას აზრით, მნიშვნელოვანია ახალი ადამიანის წარმოჩენა, რომელიც უფრო მეტი ყურადღებით მოისმენს ყველა პრობლემას: **„ის ამ უბანში ცხოვრობს, იცნობს რაიონს და ახლა უფრო მეტს გაიგებს. მთავარია, იაროს, შეხვდეს ხალხს, დაეხმაროს პრობლემების გადაჭრაში. გამგებლის მთავარი საქმეა, დროულად მოახდინოს რეაგირება რაიონში არსებულ პრობლემებზე“.**

გიგი უგულავამ ისნის რაიონში მიმდინარე საგზაო სამუშაოებიც დაათვალიერა და იმის შესახებ ისაუბრა, რის გამოც ისნისა და სამგორის რაიონი დაიყო.

მისი თქმით, ისნის რაიონს სხვა სპეციფიკა აქვს, მასში შედის, როგორც კერძო, ისე კორპუსული ტიპის დასახლებები. ამასთან, ის საკმაოდ მრავალფეროვანი და ბევრი პრობლემის მქონე რაიონია: **„ამიტომ გადავწყვიტეთ, ცალ-ცალკე დაგვეყო და რაიონის ბიუჯეტიც განაწილებული იქნება ისე, რომ გამგეობამ მაქსიმალურად ბევრი პრობლემის მოგვარება შეძლოს და მოქალაქეს არ დასჭირდეს მერიისთვის მიმართვა“.**

გიგი უგულავას თქმით, ამ შემთხვევაში მერიას ზედამხედველის ფუნქცია დაეკისრება, ის გააკონტროლებს, რამდენად ოპერატიულად, სწორად და ადეკვატურად რეაგირებს გამგეობა კონკრეტულ რაიონში.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მაია ხასია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელად გადაიყვანეს

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მაია ხასია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელად გადაიყვანეს, — ამის შესახებ ინფორმაციას სასჯელაღსრულების მინისტრის პრესსპიკერი, ირაკლი კორძაია ადასტურებს. მისი თქმით, ჯერ არ არის ცნობილი, ვინ დაინიშნება სად-ის ხელმძღვანელად. რაც შეეხება მაია ხასიას სხვა თანამდებობაზე გადაყვანის მიზეზებს, კორძაიას განცხადებით, ხასიას გააჩნია მაღალი კვალიფიკაცია, როგორც ტრენერობის, ასევე არასამთავრობო სექტორში მუშაობის, შესაბამისად, მისი თქმით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს მასზე უკეთ ვერავინ უხელმძღვანელებდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## „აშშ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს“



საქართველოში აშშ-ის ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, აშშ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს.

ეს განცხადება ელჩმა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის, ალექსანდრე ანქვაბისა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მოსკოვში გამართული შეხვედრის შეფასებისას გააკეთა: **„აშშ არ აღიარებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობას, ამჟამად საგარეო საქმეთა სამინისტროში მიდის საუბარი ჟენევის მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდთან დაკავშირებით, რომელიც არის სწორი კონტექსტი საუბრებისა“.**

*„პირველი“*



# „როგორ გაბედეს და თეატრი გამიყიდეს! თავს მოვაჭრი ყველას, ვინც ჩემს თეატრს შეეხება!“

*მე-12 გვერდიდან*

**— აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კრემლში გამართულმა „ერისიონის“ კონცერტმა. თქვენ დათანხმდებოდით მსგავს შემოთავაზებას?**

— მოსკოვს 1996 წელს დავემშვიდობე და მას შემდეგ იქ აღარ ვყოფილვარ. არ მინდოდა პოლიტიკურ დაპირისპირებაში გავრეულიყავი და განვაცხადე, რომ სანამ ორ ქვეყანას შორის სიტუაცია არ დალაგდებოდა, იქ არ ჩავიდოდი, თუმცა, ხმამაღლა ვიტყვი, რომ მოსკოვის დაკარგვა არ შეიძლება, განსაკუთრებით კი პანტომიმის თეატრისათვის, რადგან პირველად მოსკოვმა გაგვითქვა სახელი. მოსკოვი ძალიან თეატრალური ქალაქია. მახსოვს, იქ „ელექტრა“ რომ დავდგი, თქვეს: მარსელ მარსო მუზეუმია, ამირან შალიკაშვილი კი პანტომიმის მომავალიო.

**— დიდი ხანია, ბიძინა ივანიშვილისგან იღებთ ფულად დახმარებას. შესაბამისად, მან თქვენი ფასიც უნდა იცოდეს. დაინტერესდა პრემიერი თქვენი თეატრის ბედით?**

— თქვენს წინ ზის კაცი, რომელიც 3 წელიწადია ბიძინა ივანიშვილის დახმარებას იღებს და ამით ინახავს თეატრს. აი, ახლა ვუშვებ ახალ სპექტაკლს „დონ-ჟუანს“, რომელშიც სწორედ ამ დახმარებიდან უნდა ჩავდო 1000 ლარი. სჭირდება სპექტაკლს და რა ვქნა?! მეტსაც გეტყვით,

**პირველივე 2000-ლარიანი დახმარებით, მთელი დასი წავიყვანე საჩხერეში და იქაური მოსახლეობისთვის „წმინდა გიორგი“ ვითამაშეთ. ეს იყო ჩემი საჩუქარიც და მადლიერების გამოხატულებაც ბატონი ბიძინას მიმართ. მითხრეს, ბიზნესცენტრთან დადექი და ბიძინა რომ გამოივლის, მიდი და პირადად უთხარი შენი პრობლემის შესახებო. მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემ მის პიროვნებას, ქუჩაში ვერ დავდგები, საკმაოდ ამაყი კაცი ვარ. წერილობით უკვე მივმართე და იმედით ველოდები მისგან დახმარებას.**

**— თუ ამანაც არ გაჭრა და შენობის დატოვება მოგიწიათ, რას მოიმოქმედებთ?**

— სხვადასხვა დროს მქონია ურთიერთობები ქვეყნის ხელმძღვანელობასთან და სააკაშვილისგან განსხვავებით, ყველას დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ თეატრთან. თეატრი დიდი ფენომენია. იყვნენ და აღარ არიან მსახიობები — რამაზ ჩხიკვაძე, ვასო გოძიაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე... განა შეიძლება, ასე წამოკრა ხელი ბუმბერაზ ადამიანებს? იქნებ დღესაც, ჩვენს შორის დადიან ასეთი ბუმბერაზი ადამიანები, შენ კი მათ „ჩარეცხილებს“ უწოდებ. სანაცვლოდ, დაადებ ხელს ვიღაც უნიჭოს და მისგან ცდილობ რაღაცის შექმნას. კი ბატონო, ლამაზი გოგოა ნიჟარაძე, მაგრამ არ შეიქმნა მისგან არაფერი და რას ვიზამთ.

**ზაარბრუკენში არის უკანასკნელი ტექნიკით აშენებული თეატრი. ეს თეატრი, თურმე ჰიტლერს თავისი საყვარლისთვის აუშენებია. გავაკეთოთ აქედან დასკვნა — ჰიტლერმა თეატრი ააშენა,**



**სააკაშვილმა კი საქართველოს ერთადერთი პანტომიმის თეატრი გაუყიდა. ამ ყველაფრის მერე ისე დადის, თითქოს არაფერი დაუშავებია. ჩემს წინაპრებს დიდი საქმე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის და ჩემშიც შალიკაშვილების გვარის ფენომენი დევს. მეფე ერეკლე ამბობდა: „ხუთითა შალიკაშვილითა ხუთას სპარსელს თავს მოვაჭრიო.“ ასე რომ, ჩვენც ხუთნი ვართ — მე და ჩემი ოთხი ბიჭი. თავს მოვაჭრი ყველას, ვინც ჩემს თეატრს შეეხება!**

ზურაბ გამრეკელი

**ენერგორესურსების კოლოსალური მარაგის გამო, კასპიის ზღვის რეგიონი, არაერთი ქვეყნის დაინტერესების საგანია. კერძოდ, ა/წლის მარტის დასაწყისიდან, ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში რუსული „კასპიის საზღვაო ფლოტილიის“ სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს მოსკოვი კასპიის ზღვის რეგიონში დისლოცირებულ ფლოტილიას მნიშვნელოვნად გააძლიერებს. დაგეგმილია 5 საბრძოლო ხომალდისა და 2 დამხმარე გემის ზღვის აკვატორიაში შეყვანა. გარდა ამისა, მიმდინარე წლის ზაფხულში, ფლოტს დაემატება მცირე ზომის სარაკეტო და სადესანტო ხომალდები – „გრად სვიაჟსკი“ და „უგლიჩი“. ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, ერთი მხრივ, რუსეთის მთავრობის მზარდ დაინტერესებას კასპიისპირეთისადმი, ხოლო მეორე მხრივ, პუტინის ჩანაფიქრს – წინ აღუდგეს კასპიის ზღვაზე, თურქმენეთ-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი, რუსეთის გვერდის ამქცევი „ტრანსკასპიური მილსადენის“ მშენებლობას. მოსკოვის მიზანია, მოახდინოს საკუთარი ძალების დემონსტრირება კასპიის რეგიონის მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით კი, აღნიშნული მილსადენის პროექტის მონაწილე – აზერბაიჯანის წინაშე. ბაქო, როგორც ცნობილია, კასპიის ზღვაზე საკუთარი საზღვრების დასაცავად საჭირო აღჭურვილობას აშშ-საგან იღებს, რაც მოსკოვის დამატებით გაღიზიანებას იწვევს.**

# „ტრანსკასპიური გაზსადენი“ კვლავ რეგიონული დაპირისპირების საგანია




## „ტრანსკასპიურ გაზსადენში“ მოსკოვმა თავისი „მეტოქე“ ამოიცნო

ევროპის რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით შექმნილი “სამხრეთის გაზის დერეფნის“ ფარგლებში დაგეგმილი პროექტებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას, კასპიის ზღვის ფსკერზე, 300 კმ-იანი „ტრანსკასპიური მილსადენის“ მშენებლობა წარმოადგენს. მისი მიზანია, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროების ურთიერთდაკავშირება. აღნიშნული პროექტის მნიშვნელობას განაპირობებს ევროპის ენერგორესურსებით მომარაგების ალტერნატიულ ინიციატივაში არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ თურქმენეთის ჩართვაც.

„ტრანსკასპიური მილსადენის“ მშენებლობა არა მხოლოდ ევროპის, არამედ დონორი და ტრანზიტორი ქვეყნებისთვის სარგებელსაც გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, საქართველოსათვის აღნიშნული პროექტის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კასპიისპირეთიდან გაზის ტრანსპორტირება ევროპისკენ სწორედ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი “სამხრეთ კავკასიის მილსადენით” (ბაქო-თბილისი-ერზერუმი) უნდა მოხდეს. ამჟამად საქართველო აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტის გასამრჯელოდ უფასოდ იღებს იმ გაზის მოცულობის 5%–ს, რომელიც ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენით მიეწოდება თურქეთს (დაახლოებით 330 მლნ კუბური მეტრი). ჩვენს ქვეყანას ასევე შეუძლია, ყოველწლიურად ფასდაკლებით 0,5 მილიარდი კუბური მეტრი აირი შეიძინოს.

„ტრანსკასპიური მილსადენის“ პროექტის განხორციელებისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა 2011 წლის სექტემბერში, ევროკავშირის საბჭოს მიერ ევროკომისიისათვის, აზერბაიჯანთან და თურქმენეთთან, გაზის კონტრაქტების გაფორმებისათვის მინიჭებული მანდატი. ამ მანდატით უკვე ერთი წლის მანძილზე მიმდინარეობს მხარეებს შორის მოლაპარაკებები, თუმცა, გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, აღნიშნული პროექტის განხორციელება პრობლემატურ საკითხებს ვერ გასცდა.

## აშხაბადი და ბრიუსელი

„ტრანსკასპიური მილსადენის“ პროექტის განხორციელებას, უპირველეს ყოვლისა, მონაწილე მხარეებთან დაკავშირებული პრობლემები უშლის ხელს. გასულ თვეში ევროკომისიის კომისარი ენერგეტიკის საკითხებში, გიუნტერ ეტინგერი თურქმენეთში იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი “კონსტრუქციულად” შეფასდა, აშხაბადი კვლავ ელის ევროკავშირისგან თურქმენულ გაზზე მოთხოვნის არსებობის გარანტიას (აღნიშნული მილსადენით თურქმენეთი ყოველწლიურად 30 მლრდ კუბ მეტრი გაზის გატარებას გეგმავს), ხოლო ევროპა, თავის მხრივ, თურქმენეთისაგან გაზის მიწოდების გარანტიის საჭიროებაზე საუბრობს. სწორედ ასეთი ორმხრივი გარანტიების არ არსებობა წარმოადგენს „ტრანსკასპიური მილსადენის“ პროექტის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას.

## რუსეთი

მოსკოვი აქტიურად ეწინააღმდეგება „სამხრეთის გაზის დერეფანს“ და აქედან გამომდინარე, „ტრანსკასპიური მილსადენის“ პროექტს. სწორედ ამით აიხსნება რუსეთის სამხედრო ფლოტილიის გაძლიერება კასპიის ზღვაში.

ცოტა ხნის წინ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მოსკოვი არ დაუშვებს „ტრანსკასპიური მილსადენის” მშენებლობას. მისი აგების დაბრკოლებას ის კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის გამოყენებით აპირებს. კერძოდ, მინისტრის აზრით, ზღვის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები ხუთივე საზღვაო ქვეყნის (აზერბაიჯანი, ირანი, ყაზახეთი, რუსეთი, თურქმენეთი) თანხმობის შედეგად უნდა გადაწყდეს.

მსგავსი პოზიცია გაახმოვანა რუსეთის ელჩმა თურქმენეთში, ალექსანდრე ბლოხინმაც, რომელმაც „ტრანსკასპიურ მილსადენს“ ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის „უსარგებლო პროექტი“ უწოდა. ელჩის აზრით, აღნიშნული ინიციატივა კასპიის რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობებს მხოლოდ დაძაბავს, ხოლო დაპირებულ 10 მლრდ კუბმეტრ გაზს ევროპისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება.

ამასთან, მოსკოვი დასავლეთსაც აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ევროპა და ამერიკა არ ითვალისწინებენ არც საერთაშორისო სამართალსა და არც გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, როდესაც „ტრანსკასპიური მილსადენის“ პროექტის განხორციელებას ასე აქტიურად უჭერენ მხარს.

თუმცა, აშშ აგრძელებს ევროკავშირის ენერგოდამოუკიდებლობის მხარდაჭერას. აღნიშნული პოზიცია გასულ თვეში აზერბაიჯანში აშშ-ს ელჩმა, რიჩარდ მორნინგსტარმაც დაადასტურა, რომელმაც აზერბაიჯანს, თურქეთსა და თურქმენეთს მილსადენის მშენებლობის საქმეში ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. ამავდროულად, აშშ გამოთქვამს მზაობას, კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნებს აღმოუჩინოს ფინანსური თუ ტექნიკური მხარდაჭერა იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების წვრთნისა და აღჭურვის საქმეში, რომლებიც რეგიონიდან ენერგორესურსების ექსპორტისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის დაცვას უზრუნველყოფენ.

## ირანი

მოსკოვის პოზიციას ირანიც იზიარებს და თვლის, რომ ტრანსკასპიური მილსადენის” პროექტი არარეალურია, ვინაიდან რუსეთი და ირანი ზღვის ფსკერზე ასეთი მილსადენის მშენებლობას არ დაუშვებენ, თუნდაც გარემოზე ზემოქმედების საკითხების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, თეირანს თურქმენული გაზის ევროპაში ტრანსპორტირების საკუთარი მოდელიც გააჩნია. კერძოდ, ირანის სახელმწიფო გაზის ექსპორტის კომპანიის (NIGEC) დირექტორის განცხადებით, აშხაბადიდან გაზის თურქეთის ტერიტორიაზე (ტრანსანატოლიურ მილსადენთან” დაკავშირება), იქიდან კი ევროპაში ტრანსპორტირება მხოლოდ ირანის ტერიტორიის გავლითაა შესაძლებელი. ეს, თავის მხრივ, რუსეთის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება, რომლისთვისაც ევროპისაკენ გაზის ყოველგვარი ალტერნატიული მარშრუტი დაუშვებელია.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ევროპასაც და აზერბაიჯანსაც საერთო პოზიცია აქვთ, რაც თეირანთან ყოველგვარ თანამშრომლობას გამორიცხავს. გასულ თვეში ბაქოში ოფიციალური განცხადება გაკეთდა, რომლის მიხედვითაც, „ტრანსანატოლიურ გაზსადენში” ირანული მხარის მონაწილეობა, მიუხედავად თეირანის მონდომების და დათმობებისა, დაუშვებელია.

## რა ვერ „გაიყო“ ორმა მეზობელმა

კასპიის ზღვის ფსკერზე მილსადენის მშენებლობის იდეა ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიბადა, თუმცა, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის არსებული უთანხმოების გამო, მაშინ მისი განხორციელება ვერ მოხდა. ბოლო წლების მანძილზე ევროკავშირმა აქტიური მცდელობის შედეგად, მოახერხა და აშხაბადი ბაქოსთან ისევ აღნიშნული თემის ირგვლივ გააერთიანა. თუმცა, ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა ისევ გრძელდება, რისი ნათელი მაგალითიც იყო, ბოლო პერიოდში, თურქმენეთის მიერ კასპიის ზღვაზე ჩატარებული სამხედრო წვრთნა – „ხაზარი 2012“. ეს მანევრები, ექსპერტთა აზრით, სხვა არაფერი იყო, თუ არა აშხაბადის მიერ ბაქოს წინაშე საკუთარი სამხედრო ძალის დემონსტრირება.

აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის დაპირისპირება პოსტსაბჭოურ პერიოდში დაიწყო – მას შემდეგ, რაც ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. კერძოდ, ბაქოსა და აშხაბადს შორის ურთიერთობები კასპიის ზღვის იმ რეგიონების გამო დაიძაბა, რომლებიც ენერგორესურსებით მდიდარია და რომლებზეც ორივე სახელმწიფო პრეტენზიას აცხადებს.

საუბარია „სერდარის“, „ჩირაგისა“ და „ომარის“ საბადოებზე. ორი მათგანი – „ჩირაგი“ და “ომარი”, აზერბაიჯანის მიერ მუშავდება. ეს კი თურქმენეთის უკმაყოფილებას იწვევს. „სერდარის“ აშხაბადის მიერ დამუშავების დაწყებას კი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ხელახალი გამწვავება მოჰყვა. კერძოდ, აზერბაიჯანული მხარის განცხადებით, აშხაბადის ნაბიჯი 2008 წლის ხელშეკრულების დარღვევას ნიშნავს, რომლის მიხედვითაც, მხარეები საბადოზე სამუშაოების დაწყებისაგან თავს შეიკავებდნენ, სანამ ამ საბადოს კუთვნილება არ გაირკვეოდა.

გარდა ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური ინტერესებისა, „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტი ტექნიკურ და ფინანსურ პრობლემებთანაც არის დაკავშირებული. კერძოდ, აშშ-ს ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოს გაანგარიშებით, პროექტის ღირებულება 5 მილიარდი დოლარია. თუმცა, სხვადასხვა ექსპერტთა შეფასებით, ამ მაჩვენებელმა შეიძლება 8 მილიარდსაც მიაღწიოს. განსხვავებული აზრი აქვთ თავად პროექტში მონაწილე მხარეებსაც. მაგალითად, გასულ თვეში აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრის, ნატიგ ალიევის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, „ტრანსკასპიური გაზსადენის“ მშენებლობა 1-2 მილიარდი დოლარით კიდევ გაძვირდება.

ამრიგად, დასავლეთის მხრივ (რომელსაც ტრანზიტორი ქვეყნები და მათ შორის საქართველოც, აქტიურად უჭერენ მხარს) „ტრანსკასპიური გაზსადენის“ მშენებლობის მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად, ალტერნატიული “სამხრეთის გაზის დერეფნის” ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება არსებული უპირატესობების მიუხედავად, რიგი ფაქტორების გამო, მაინც დიდ პრობლემებს უკავშირდება. მოთხოვნა-მიწოდების, ფინანსური თუ ტექნიკური სირთულეების აღმოფხვრის შემთხვევაშიც, კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის საკითხის არსებობის გამო, აღნიშნული პროექტის განხორციელება ისევ ეჭვქვეშ დგას. ეს ყოველივე კი რეგიონში კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობას ქმნის, რაც შეიძლება სამხედრო დაპირისპირებამდეც მივიდეს. მით უფრო, რომ ბოლო პერიოდში არაერთი რუსი პოლიტიკოსი ღიად საუბრობს მილსადენის მშენებლობის შესაჩერებლად რუსული სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ. კასპიის ზღვის რეგიონის მილიტარიზაცია კი ევრაზიის მასშტაბით უფრო მასშტაბური გეოპოლიტიკური დაპირისპირებების გამომწვევი შეიძლება გახდეს.

## ვერსიანიუსი

### რომის პაპი არგენტინელი ხორხე მარიო ბერგოლიო გახდა



რომის ახალი, რიგით 266-ე პაპი არგენტინელი კარდინალი, ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსი ხორხე მარიო ბერგოლიო გახდა.

ახალი პაპი 76 წლისაა და იგი პირველი იეზუიტი პონტიფიკოსია. მან თვითონ აირჩია სახელი და ამიერიდან ფრანსისკ პირველად მოიხსენიება. ფრანსისკ პირველი წმინდა პეტრეს ტაძრის აივნიდან შეკრებილ მრავალათას მორწმუნეს უკვე მიესალმა.

წმინდა პეტრეს ტაძარში, სიქსტის კაპელას ბუხრიდან კვამლი თბილისის დროით 22:00 საათზე გამოჩნდა, რომელმაც საზოგადოებას ამცნო, რომ ახალი პაპი არჩეული იყო. ახალი პაპი კარდინალი-პროტოდიაკონმა ლათინურ ენაზე მიმართვისას დაასახელა.

რომის პაპის არჩევნებში მსოფლიოს 48 ქვეყნიდან 115 კარდინალი მონაწილეობდა.

მათგან ყველაზე მეტი წარმომადგენელი — 28 კარდინალი იტალიას ჰყავდა, 11 კი — აშშ-ს. მათ პირველ დღეს კანდიდატის შერჩევა ვერ შეძლეს.

2005 წელს რომის ახალი პაპის არჩევას, ოთხი ეტაპი დასჭირდა. თუმცა, ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ამჟამად ახალი პაპის არჩევას უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა, ვინაიდან კონკლავს არ ჰყავდა გამოკვეთილი ფავორიტი. მიუხედავად ამისა, ახალი პაპის არჩევას კარდინალებმა მხოლოდ ორი დღე მოანდომეს.

*„ინტერპრესნიუსი“*

### თეა წულუკიანი პრეზიდენტს სახელმწიფოებრივ საბოტაჟში ადანაშაულებს




იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი 20-მდე ქვეყანაში ახალი ელჩის დანიშვნაზე საქართველოს პრეზიდენტის უარს სახელმწიფოებრივ საბოტაჟად აფასებს. წულუკიანმა პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ევროპარლამენტარებისთვის გაგზავნილი წერილიც შეაფასა: **„რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვას, ეს მისი ექსკლუზიური კომპეტენციის სფეროა, თუმცა ვიცი ერთადერთი რამ, როცა საქართველოს პრეზიდენტი, მაგალითად, უარს ამბობს, როგორც ჭირვეული ბავშვი, 20-მდე სტარტეგიულ ქვეყანაში ელჩის დანიშვნაზე, ესაა სახელმწფოებრივი საბოტაჟი, ეს ლახავს ჩვენი ქვეყნის იმიჯს და აზიანებს ქართველი ხალხის ინტერესებს“.** იუსტიციის მინისტრისვე განმარტებით, ეროვნული ინტერესისთვის დღეს აუცილებელია საზღვარგარეთ 20-მდე მნიშვნელოვანი საელჩოს „შევსება“ ელჩის სახით: **„ეს კი არ ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პრეზიდენტი უარს აცხადებს ელჩების დანიშვნის საკითხის ხელმოწერაზე, რაც ჩემი აზრით აზიანებს სახელმწიფოს იმიჯს“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

# თოფურიების ოჯახი, 24 წლის გიორგის გადასარჩენად, დახმარებას ითხოვს!



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**გულნაზი თოფურიას „მძიმე ჯვარი“ ასეთია — შვილი უმძიმეს მდგომარეობაში, ლოგინად ჰყავს ჩავარდნილი და უსახსრობის გამო, ვერაფრით შველის. 2007 წლის 30 ოქტომბერს, ეკლესიაში მიმავალ 18 წლის გიორგი თოფურიას მანქანა დაეჯახა. მას შემდეგ ლოგინსაა მიჯაჭვული და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება იმის გამო, რომ სათანადო მკურნალობის კურსს ვერ გადის. გულმოკლული გულნაზი თოფურია, შვილის გადასარჩენად, დახმარებას ითხოვს.**





**„ეკლესიაში აღსარების სათქმელად მიდიოდა, მანქანა რომ დაეჯახა... მძღოლი არც დაუსჯიათ, გიორგი კი დაზარალებულადაც არ სცნეს“**

— გიორგი ტექნიკურ უნივერსიტეტში, ენერგეტიკის ფაკულტეტზე მოეწყო. 31 ოქტომბერს ფოთიდან თბილისში უნდა წამოვსულიყავით, როცა მითხრა, გამგზავრებამდე მოძღვარს მოვინახულებო. 2007 წლის 30 ოქტომბერს წავიდა ტაძარში, აღსარების თქმასაც აპირებდა, მაგრამ ფეხით მიმავალს ავტომობილი დაეჯახა და ქალა-ტვინის დახურული ტრავმა მიიღო. იმავე დღეს გადავიყვანეთ ქუთაისში, აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრში. საშინელი დიაგნოზი დაუსვეს — მძიმე შერწყმული ტრავმა, ჰემატომა თალამუსის მიდამოში, თავის ტვინის დაჟეჟილობა, კომური მდგომარეობა, მწვავე პარკუჭოვან-სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, გულ-მკერდის დახურული ტრავმა, მარცხნივ მე-9 ნეკნის მოტეხილობა, მარცხენა ფეხზე ორივე წვივის ძვლის მოტეხილობა. 2007 წლის 27 ნოემბერს, რეანომობილით, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიერთებული გიორგი თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ რეანიმაციულ განყოფილებაში გადმოვიყვანეთ, სადაც 4 თვე იწვა. ოპერაციები გაუკეთეს, საავადმყოფოდან რომ გამოგვწერეს, 2008 წლის 27 მარტიდან, ავადმყოფი გიორგი ნათესავის ნაქირავებ ბინაში დროებით გადავიყვანეთ. მის მდგომარეობას ერთვის ინფექციები და ამის გამო 2009 წლის 14 ივლისს კვლავ დასჭირდა ოპერაცია. არამიანცის საავადმყოფოში, პროფესორ ვ. ქაცარავას ჩარევით, გაუკეთეს საჭირო ოპერაციები. საავადმყოფოში ყოფნისას, მას თან დაერთო პნევმონია, რის შედეგადაც, დღემდე ვუკეთებთ პლევრის ღრუს ფუნქციას.

— **დღეს რა სახის მკურნალობა სჭირდება გიორგის?**

— გიორგი შემდგომში საჭიროებს ხანგრძლივ ამბულატორიულ მკურნალობას, ასევე პლასტიკის ეტაპობრივ ჩარევას. მარცხენა ფეხზე განმეორებით აქვს ოპერაცია გასაკეთებელი. გარდა ამისა, აქვს მარჯვენა მხრის ამოვარდნა, სახსრები აქვს ჩაკეტილი, მყესებიც დაუმოკლდა და საჭიროებს აუცილებელ აღდგენით ოპერაციას. უკვე მეექვსე წელია, გიორგი საწოლსაა მიჯაჭვული. მას ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსი სჭირდება, საჭირო თანხის მოძიება კი, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, რთული, უფრო სწორად, წარმოუდგენელია ჩემთვის. მასაჟებს თერაპიის სახლის მასაჟისტი უკეთებდა, მაგრამ უსახსრობის გამო, 2012 წლის 28 მაისიდან მასაჟი შეუწყდა. შედეგი აშკარად აქვს, გონზეც მოვიდა, მაგრამ რადგან ყელში სტომა (ხელოვნური ხვრელი) აქვს, ვერ ლაპარაკობს და ვერც საკვებს ყლაპავს. დღემდე კუჭში ჩადგმული ზონდით ვკვებავთ. სუნთქავს ტრაქეოსტომული მილის საშუალებით. 2010 წელს, გიორგის ფილტვებთან დაკავშირებით შეექმნა პრობლემა და სერიოზული ანტიბიოტიკები დასჭირდა, რის გამოც, დისბაქტერიოზი დაემართა და შეტევითი ტკივილი დაეწყო, რის ფონზეც სპასტიკა (დაჭიმულობა) დაემართა. 4 მარტს ფეხის ოპერაცია გავუკეთეთ — ფეხში მეტალი ედგა, კანი გაეხსნა და დაუჩირქდა.

— ოჯახს როგორ არჩენთ?

— იმის გამო, რომ გიორგის სპეციფიკური მოვლა სჭირდება, მე და ჩემი მეუღლე დღემდე უმუშევრები ვართ. მხოლოდ კეთილი ადამიანებისა და უფლის წყალობით მოვიდა გიორგი დღემდე. ჩემ შვილს პენსია 100 ლარი აქვს, უმწეოთა პროგრამიდან კი მოგვხსნეს. სხვის ბინაში ვცხოვრობთ, სამოწყალოდ გამოგვიყვეს ოთახი, ოჯახს ტექნიკა აქვს და რადგან ერთ ოჯახად ვითვლებით, აღარ გვაძლევენ დახმარებას. ვის არ მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ. დაზღვევა ბინაზე რეაბილიტაციის პროგრამას არ აფინანსებს, არადა, რადგან სტომა და ზონდი აქვს, საავადმყოფოში მისი განთავსება არ შეიძლება. ანგარიშფაქტურა გვქონდა წამოღებული თერაპიის სახლიდან. მასაჟის 20-კვირიანი კურსისთვის, 3000 ლარი იყო საჭირო, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტრო მხოლოდ 900 ლარით დაგვეხმარა. არადა, მასაჟი აუცილებელია, რათა კიდურების სპასტიკა უფრო არ გართულდეს და ატროფია არ განუვითარდეს. ცნობილი კომპანიების წარმომადგენლებსაც მივწერეთ, მაგრამ არავინ მოგვაქცია ყურადღება. შეიძლება, წერილები მეპატრონეებამდე არც მისულა და ქვედა რგოლმა გადაწყვიტა, არ დაგვხმარებოდნენ. რამდენჯერმე წერილობით მიხეილ სააკაშვილსაც მივმართეთ, 10 დღის წინ, ჯანდაცვის სამინისტროსაც ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ უშედეგოდ. ახლა ქუჩაშიც დავრჩებით და მერე რა გვეშველება, არ ვიცი.

— **ქუჩაში რატომ რჩებით?**

— ჩვენ ფოთიდან ვართ. აქ, როგორც მოგახსენეთ, ნათესავმა შეგვიფარა ნაქირავებ ბინაში. ახლა ქირის გადახდას ველარ ახერხებს და ბინა უნდა დაცალონ. ყველას ვთხოვთ, დაგვეხმარონ და დროებით მაინც გადაგვიხადონ ქირა.

— **გიორგის ვინც დაეჯახა მანქანით, სად არის, არ გეხმარებათ?**

— არა. ის არც დასჯილა, გიორგი კი დაზარალებულადაც არ ითვლება — ასეთი პასუხი მივიღეთ შესაბამისი ორგანოებიდან. ასე რატომ მოხდა, არ ვიცი. მანქანა ძალიან ძველი იყო. მძღოლიც ასაკოვანი გახლდათ და საჭე ვერ დაიმორჩილა. თავის დროზე, ვერც კი ვიჩივლეთ, რადგან საავადმყოფოში ვათენ-ვაღამებდით და შვილი გადამირჩებოდა თუ არა, არც ვიცოდი. ალბათ, ამის გამო არ გვცნობენ დაზარალებულად.

ყველას ვთხოვთ, შეძლებისდაგვარად, დაგვეხმაროს გიორგის მდგომარეობის შესამსუბუქებლად. მხოლოდ კეთილი ადამიანების იმედი გვაქვს. თიბისი ბანკში ანგარიში გავხსენით და იქნებ ვინმეს გაუჩნდეს დახმარების სურვილი.



## ხელვაჩაურის რაიონის გამგებელი და მისი მოადგილე დააკავეს

13 მარტს, სამართალდამცველებმა, ხელვაჩაურის რაიონის გამგებელი ლევან ლორთქიფანიძე და მისი მოადგილე ნოდარ შარაბიძე დააკავეს.

იმავე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება გაავრცელა. შსს-ს ინფორმაციით, ლევან ლორთქიფანიძესა და ნოდარ შარაბიძეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენა ედებათ ბრალად. გამოძიებით დადგინდა, რომ ლევან ლორთქიფანიძემ და ნოდარ შარაბიძემ ერთ-ერთ მეწარმეს მიანიჭეს უპირატესობა, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა და სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დიდი ოდენობით ფინანსური ზიანი გამოიწვია.

კერძოდ, შსს-ს ცნობით, ერთ-ერთი კომპანიისგან, რომელიც ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარსა და ჭალნარში აწარმოებდა კულტურის ცენტრისა და ბაგა-ბაღის სამშენებლო სარემონტო სამუშაოებს, დაუსრულებელი სამუშაოები ძველი რიცხვით ჩაიბარეს. მიღება-ჩაბარების დოკუმენტებში კი დააფიქსირეს როგორც დასრულებული სამუშაო და კომპანიას მთლიანი თანხა ჩაურიცხეს.

შსს-ს ინფორმაციით, ხელვაჩაურის გამგებელმა და მისმა მოადგილემ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინეს. გამოძიებას შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ხელვაჩაურის რაიონის გამგებლისა და მისი მოადგილის დაკავების პროცესში ინციდენტიც მოხდა — გამგებლის მოადგილე ნოდარ შარაბიძე ცუდად გახდა და გამგეობის შენობიდან საკაცით გამოიყვანეს. შარაბიძე სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. პირველადი სამედიცინო დახმარება დასჭირდა ხელვაჩაურის რაიონის გამგებელ ლევან ლორთქიფანიძესაც. მოგვიანებით, ის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. ლორთქიფანიძის ადვოკატის, რამინ პაპიძეს განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თავს დამნაშავედ არ სცნობს.

გამგეობის შენობასთან პოლიციელთა დიდი რაოდენობა იყო მობილიზებული. ადგილზე მივიდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები და პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძეც.

ლევან ლორთქიფანიძე ხელვაჩაურის გამგებლად 2012 წლის 31 დეკემბერს დაინიშნა.

*„ვერსიანიუსი“*



# უგულავას 5000 ლარით დააჯარიმებენ?

## გარემოს დაცვის სამინისტრომ თბილისის მერიის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა

ნელი თორდია
593-61-07-72

ლილოს ნაგავსაყრელის სკანდალი სასამართლოში გაგრძელდება. დაცვის სამინისტროს მიერ თბილისის მერიის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი გარემოს დაცვითი შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებს ეხება.

გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, შემოწმდა, როგორ შეასრულა თბილისის მერიამ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობები. ნაგავსაყრელის დახურვის მოთხოვნით, ლილოს მოსახლეობამ რამდენიმე თვის წინ გზები გადაკეტა. ადგილობრივების თქმით, ნაგავსაყრელი ცუდადაა დაპროექტებული. საყოფაცხოვრებოს გარდა, აქ ხვდება ქიმიური და ფარმაცევტული ნაგავი, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ლილოელები იმუქრებოდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნაგავსაყრელი არ გაუქმდა საპროტესტო აქციებს გააგრძელებენ და მათ ვერავითარი პოლიტიკური დაპირებები ვერ შეაჩერებს.

საქმეზე დაწყებული მოკვლევისა და გარემოს დაცვის სამინისტროს შემოწმების შედეგად, გამოვლინდა ნაგავსაყრელის ექსპლოატაციის ტექნოლოგიური ციკლის დარღვევა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა. გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების სამმართველოს ინსპექტორების მიერ, თბილისის მერიის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79-ე მე-2 პრიმა მუხლით შედგა ოქმი და საქმე განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს. „ვერსიასთან“ გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **თამუნა შარაშიძე** აცხადებს:

**„იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ ჩვენი სარჩელი დააკმაყოფილა, მერიას ჯარიმის სახით დაეკისრება 5000 ლარი, სასამართლოს გადაწყვეტილება მოვა გარემოს დაცვის სამინისტროში და სამინისტრო, როგორც ნებართვის გამცემი ორგანო, მერიას განუსაზღვრავს ნაკლოვანებების აღმოფხვრის გონივრულ ვადას. ამ ვადის და მიწერილობის გასვლის შემდეგ, გარემოს დაცვის სამინისტროს შეუძლია, შევიდეს ნაგავსაყრელზე და შეამოწმოს, გამოსწორდა თუ არა ის დამატებითი ვალდებულება, რაც განესაზღვრა მერიას“.**

ლილოს ნაგავსაყრელის გაუქმების მოთხოვნით, მოსახლეობის მიერ თებერვალში დაწყებულ აქციებს მხარდაჭერას უცხადებდა „გრინპისის“ მხარდამჭერთა ჯგუფის თავმჯდომარე და გარემოს დაცვის ექსპერტი **ლაშა ჩხარტიშვილი**, ამიტომ გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ სასამართლოში გაგზავნილ სარჩელთან დაკავშირებით, მისი პოზიციითაც დავინტერესდით:

**„იქიდან გამომდინარე, რომ თვითმმართველობას უნდა დაევალოს ნაგავსაყრელების მოყვანა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ეს ამბავი 5 000-ლარიანი ჯარიმით არ უნდა დამთავრდეს. ეს იქნება პირველი ნაბიჯი და იმედია, უახლოეს პერიოდში, საქართველოს ექნება ნარჩენების მართვის შესახებ კანონი, ვინაიდან, დღეის მდგომარეობით ეს ცალკეული აქტებით რეგულირდება. ნარჩენების მართვა წარმოადგენს თანამედროვე გარემოსდაცვითი პრობლემების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს, მათ შორის საქართველოში, სადაც არის 13-მდე ლეგალური და 300-მდე არალეგალური ნაგავსაყრელი პოლიგონი. არალეგალურზე საუბარიც ზედმეტია, როცა არც ერთი ლეგალური ნაგავსაყრელი შესაბამისობაში არაა მოქმედ ნორმატივებთან, საერთაშორისო სამართლის ნორმებსა თუ ევროკავშირის დირექტივებთან. წლების განმავლობაში ვმუშაობდი ნარჩენების მართვის საკითხებზე და ვიცი, ეს პრობლემა მოსაგვარებელია არა მარტო ნაგავსაყრელების მართვის, არამედ ნარჩენების შეგროვებისა და განცალკევების საკითხშიც. როგორც „ქართული ოცნების“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის თავის ავტორი, გეტყვით, რომ წინასაარჩევნო დაპირებებს შორის იყო ნარჩენების განცალკევებულად შეგროვების სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს ნარჩენების ცალ-ცალკე შეგროვებისთვის საჭირო ურნების განთავსებასა და მათი გატანის ორგანიზებას. იმედია, ეს ყველაფერი მომავალი წლიდან მაინც იქნება გათვალისწინებული ბიუჯეტში, რათა შევამციროთ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა და ცალკეული სახის ნარჩენები ეკონომიკური თვალსაზრისით გამოვიყენოთ. საუბარია ქაღალდზე, ლითონზე, პოლიმერულ მასალებზე, რაზეც მოთხოვნა არსებობს დღევანდელი ბაზრის განვითარების პირობებში. შესაბამისად, ეს შეიძლება გახდეს შემოსავლის წყარო და გატანის საფასურის შემცირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი მოსახლეობისთვის“.**



# ჰოროსკოპი
## 15 მარტი

***ვერძი*** — არ არის გამორიცხული, დღეს კოლეგებმა და ხელმძღვანელობამ არასწორად გაგიგონ, ამიტომ სჯობს, თავშეკავება გამოიჩინოთ ყველა საკამათო საკითხში და თქვენი შეხედულებები კოლეგებს სხვა დროს გაუზიაროთ.

***კურო*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე, მთლიანობაში, სასიკეთოა. თუ იშრომებთ, სასურველ შედეგს აუცილებლად მიაღწევთ. დაწყებული საქმეების მოგვარებაში დაგეხმარებათ ახლობლების ან მეგობრების რეკომენდაციები და რჩევები. ნუ მოეშვებით. მთელი დღის განმავლობაში ყურადღებით იყავით, რადგან გახსნილი გონება და თავისუფალი აზროვნება აუცილებლად გჭირდებათ.

***ტყუპები*** — დღე უფროსებთან კამათს გიქადით, მაგრამ მაინც საკმაოდ ეფექტურად ჩაივლის, თუკი თქვენს პოტენციალს სწორად მიმართავთ და არც ფიზიკურ დატვირთვაზე იტყვით უარს. საქმე არც ისე რთული, მაგრამ შემოსავლიანი აღმოჩნდება. დღის მეორე ნახევარში ფრთხილად იყავით საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოხმარებისას, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა.

***კირჩხიბი*** — დღეს ნათქვამ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მიაქციეთ ყურადღება, რას ლაპარაკობთ. სატელეფონო საუბრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. კვლავ წამოიჭრება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თემაც აქტუალური გახდება.

***ლომი*** — დღე წარმატებას გიქადით სიყვარულში. კარგი დროა ასევე კულტურულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე წასასვლელად. ბევრმა ლომმა, შესაძლოა, პრემია ან ჰონორარი მიიღოს. დღეს რომანტიკულ განწყობაზე ხართ და მოსაწყენი სამუშაოს შესრულება ძალიან გეზარებათ.

***ქალწული*** — ქალწულებისთვის დღე, შესაძლოა, უსიამოვნებით დაიწყოს, ამიტომ მოთმინება გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტს ახლობლებსა და ხელქვეითებთან. დღეს შეგიძლიათ ბევრი იფანტაზიოროთ, ეს ხელს ვერ შეგიშლით, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში.

***სასწორი*** — სამსახურში დღეს განსაკუთრებით ფრთხილი და ყურადღებიანი იყავით, თავაზიანობა და მომხიბვლელობა მოგეთხოვებათ. ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები აფრთხილებენ, ჯანმრთელობასაც მიაქციონ დიდი ყურადღება. დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, დაგეგმილი შეხვედრები ჩაგეშალოთ.

***ღრიანკალი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ფინანსური დანაკარგის დღე აქვთ— ყველაფერი კი თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იქნება. არ არის გამორიცხული, დღის მეორე ნახევარში სასიხარულო შეხვედრა შედგეს. ვარსკვლავები კი შეგახსენებენ, რომ ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმოთ.

***მშვილდოსანი*** — დღეს დაგეგმილი მგზავრობა, შესაძლოა, არ შედგეს ობიექტური მიზეზების გამო, ფინანსურ ოპერაციებში მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. დღის მეორე ნახევარში შეეცადეთ, დრო ოჯახის პატარა წევრებისთვისაც გამონახოთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

***თხის რქა*** — დღეს განსაკუთრებით დაკავებული ხართ და არ გყოფნით დრო ურთიერთობებისთვის. მამაკაცები განსაკუთრებულ ნოვატორობასა და ორიგინალურობას გამოიჩენენ მშვენიერ სქესთან ურთიერთობაში. წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის მქონეთათვის. ფინანსების მხრივაც დღე საკმაოდ კარგად ჩაივლის, საღამოს კი შეეცადეთ, მეგობრებს შეეხმიანოთ და ცოტა ხნით მაინც შეხვდეთ მათ.

***მერწყული*** — მერწყულებს დღეს მშვიდად და წყნარად ყოფნა მოეთხოვებათ. დიდია საკვებით მოწამვლის ალბათობა. სასიამოვნო და სასიხარულო კი უფროს ნათესავებთან ურთიერთობა აღმოჩნდება დღის მეორე ნახევარში მეგობრების სტუმრობას უნდა ელოდეთ. რაც შეეხება საქმეს, მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ ფინანსურ ოპერაციებში და სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს.

***თევზები*** — შესანიშნავი დღეა შეხვედრებისა და პაემნისთვის. სახლის საქმეებიც კარგად მიდის. რაც შეეხება სამუშაოს, თავი შეიკავეთ ხელშეკრულებების გაფორმებისგან. კარგი დღეა შოპინგისთვის. გაიარეთ მაღაზიებში და მოულოდნელი საჩუქრით საყვარელი ადამიანი გაახარეთ. საღამო ოჯახურ გარემოში გაატარეთ, თუ გართობა გსურთ, მეგობრებთან ერთად დისკოთეკაზე წადით.

# ჯარიმა კევის ლექვისთვის

ბრიტანეთის ორ ქალაქში — გლაზგოსა და ჰილტონ-კინსში საღეჭი რეზინის გამო ჯარიმის შემოღებას ფიქრობენ. ამ ქალაქების ხელისუფლებას სურს, ის ადამიანები დააჯარიმოს, ვინც ქუჩაში აგდებს კევს. პროექტის ინიციატორების გეგმის მიხედვით, შეგროვილი თანხა ქალაქის დასუფთავებას მოხმარდება. ჯერჯერობით უცნობია, რა რაოდენობის იქნება ფულადი ჯარიმა. ვიდრე ამ ინიციატივას დაამტკიცებენ, ხელისუფლებას უზარმაზარი თანხის გაღება უწევს, ტროტუარებიდან მიმხმარი კევი რომ ააფხიკონ. როგორც ცნობილია, ყოველწლიურად დიდი ბრიტანეთის ბიუჯეტიდან ამ საქმისთვის 150 მილიონი გირვანქა სტერლინგი იხარჯება. სხვათა შორის, საღეჭი რეზინის პრობლემა მხოლოდ ნისლიან ალბიონზე არ დგას და ყაზახეთიც იგივე მდგომარეობაშია, სინგაპურში კი თითქმის 20 წელზე მეტი მოქმედებდა კანონი, რომელიც საღეჭი რეზინის მოხმარებას კრძალავდა. ის მხოლოდ 2004 წელს შეარბილეს და კევის გაყიდვის ნება აფთიაქებს, მხოლოდ ექიმის რეცეპტის საშუალებით დართეს, თანაც მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, ვინც თამბაქოს მოწევისთვის თავის დანებებას ცდილობდა.



# მწვანე ჩაი პრეზერვატივს სჯობს?

ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მწვანე ჩაიში აღმოჩენილ ნივთიერებებს შიდსის ვირუსთან ბრძოლა შეუძლია. კომპონენტს საკმაოდ რთული სახელი აქვს — ეპიგალოკატეხინ გალატი, რომელიც იმუნური უჯრედების ზედაპირულ რეცეპტორებს აკავშირებს ერთმანეთთან და ადგილს არ უტოვებს ვირუსს, უჯრედს მიუერთდეს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. მიუხედავად საიმედო შედეგისა, ექსპერტები ჯერ მხოლოდ წინასწარ დასკვნებზე საუბრობენ და გადაჭრით არაფერს ამტკიცებენ. მათი თქმით, მწვანე ჩაის მოხმარებას შეუძლია, აივ-დაავადების რისკი შეამციროს, თუმცა, საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლების მტკიცებით, აივ-ინფექციის გავრცელების პროფილაქტიკის ერთადერთი საშუალება პრეზერვატივის გამოყენებაა.






# ჰოროსკოპი
## 16 მარტი

***ვერძი*** — დღეს შესაძლოა, ორაზროვან სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რაც თქვენგან ტაქტის გამოჩენასა და გამძლეობას მოითხოვს. ვერ მოახერხებთ უსიამოვნო, სერიოზული საუბრის თავიდან აცილებას, საღამოს კი გაანებივრეთ საკუთარი შვილები ახალი სათამაშოთი ან საინტერესო წიგნით.

***კურო*** — დღეს უფროსობასთან ურთიერთობაში სიბრძნე და გამძლეობა გამოავლინეთ. გულღია საუბარი დაგიბრუნებთ საკუთარი ძალების რწმენას. დღეს ბავშვებს დიდი ხნით ნუ მოაცილებთ თვალს, რომ არ დაიკარგონ ან რაიმე უბედურებას არ მოეწიონ. კუროებმა, ვისაც კუჭის პრობლემა აქვს, დღეს მენიუდან გამორიცხეთ მარილიანი და მწვავე საკვები. ფინანსისტებისთვის კი საკმაოდ კარგი დღეა.

***ტყუპები*** — დღეს განსაკუთრებით ორგანიზებული და ყურადღებიანი უნდა იყოთ, რათა მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულოთ. შესაძლოა, თქვენს პარტნიორებზე გახდეთ დამოკიდებული, ამიტომ გეგმების განხორციელებისას ნუ დაივიწყებთ მათაც, ვინც გეხმარებოდათ. ხანმოკლე სამსახურებრივმა რომანმა, შესაძლოა, დღეს კოლეგებისა და უფროსობის მხრიდან თქვენს მიმართ ზიზღი გამოიწვიოს. ფრთხილად იყავით ავტომობილის მართვისას.

***კირჩხიბი*** — დღეს შეგიძლიათ, საკუთარი თანხა გააპროცენტოთ, თუკი საამისო დანაზოგი მოგეპოვებათ. თამამად წარმოაჩინეთ თქვენი ინიციატივა და იდეები კოლეგებისა და უფროსობის განსახილველად. საღამოს შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ, ძილის წინ ცხელი აბაზანა მიიღეთ და დაძაბულობა მოიხსენით.

***ლომი*** — სავარაუდოა, რომ ლომებისთვის დღე კონფლიქტით დაიწყოს, ამიტომ ემოციები მოთოკეთ და სამსახურში განსაკუთრებით თავაზიანი იყავით კოლეგების მიმართ. დღეს თუ სამკურნალო პრეპარატები დაგჭირდათ, ყურადღება მიაქციეთ ვადას და არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ გადაჭარბებული დოზა. დღეს თავი შეიკავეთ მძიმე საკვების მიღებისგან.

***ქალწული*** — დღეს შესაძლოა ცვლილებები სამსახურში. არ არის გამორიცხული, ვიღაცამ არასწორად შეაფასოს თქვენი აქტიურობა და ზედმეტად თავდაჯერებულად მიგიჩნიონ. დღეს შესაძლოა, მატერიალური სირთულე შეგექმნათ. მთელი დღის განმავლობაში დიდია ალბათობა გავლენიან ადამიანებთან შეხვედრისა.

***სასწორი*** — დღეს ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. თქვენს ქცევაში კი სიმსუბუქე და სპონტანურობა იგრძნობა, თუმცა მაინც ახერხებთ, ნებისმიერ წვრილმანს მიაქციოთ ყურადღება. შესაძლოა კარგი ამბები შეიტყოთ ნათესავისგან, რაც თქვენს მომავალსა და ფინანსებზეც დადებით გავლენას იქონიებს.

***ღრიანკალი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს მაქსიმალურად ისარგებლებენ სიტუაციით, პირად ცხოვრებაში შესანიშნავი პერსპექტივა იკვეთება, თუკი ურთიერთობის ინტელექტუალური მეთოდები მოგწონთ. შესაძლოა, ასევე, პატარა პრობლემები საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობაში.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებისთვის აქტიური, შემოქმედებითი დღეა. კარგად წავა საქმეები ბირჟაზე, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, თავი აარიდეთ მემკვიდრეობის საკითხებს. დღე საკუთარ თავს კი არა, საყვარელ ადამიანს მიუძღვენით. ვარსკვლავები გვიმტკიცებენ, რომ მსგავს გარემოში დროის გატარება ძალიან სასარგებლო იქნება.

***თხის რქა*** — სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის ასრულებისთვის დღე საუკეთესოა. ტყუილის თქმა და თავის დაძვრენა არ გიშველით, ამით მხოლოდ საკუთარ თავს დააზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავება და აუცილებლად მიაღწევთ დასახულ მიზანს. დღეს დიდია ალბათობა ახალი რომანტიკული კავშირისა.

***მერწყული*** — შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას. ურთიერთობა შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს, მაგრამ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — კარდინალური ცვლილებებისთვის მაინცდამაინც სასიკეთო პერიოდი არ არის, თუმცა წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის მქონე ადამიანებისთვის.

***თევზები*** — კარგი დღეა ფინანსური ოპერაციებისა და კარიერული წინსვლისთვის. დიდია ალბათობა გავლენიან ადამიანებთან შეხვედრისა. დღის მეორე ნახევარში ცოტა მოეშვით და თავს დასვენების უფლება მიეცით. შეგიძლიათ, თეატრში ან კინოში წახვიდეთ, ანდა დრო მყუდრო ოჯახურ წრეში გაატაროთ.

ლიტერატ. ჟურნალი
ქართული ტრიო
ტენორის. ორგანიზ.
ვულკანური მასა
რიდლი სკოტის ფილმი
წყლის ჭურჭელი
რუსული გაზეთი
ქრისტეს მოწაფე
იასონის გემი
მწერი
ქალაქი ევროპაში
უბანი ნიუ იორკში
მუსიკალ. ტერმინი
ტაიმი რომბურთში
ცეცხლს. იარაღი
გაზი
ადგილი ღარბაზში
პლანეტა
მდინარე საქართ.
სპორტის სახეობა
მანქანის მარკა
საზღვაო რბოლა
მუსიკ. საკრავი
ბუნებრივი მოვლენა
მოლდაველი მომღერალი
საავ თიაქრო ქსელი
ანტიკური სამოსი
ბეიბოლის ჯოხი
კარგი სუნი
ზურგ ჩანთა
გზა
ჭაობის მცენარე
სასწავლო დაწესებ.
მუხის ნაყოფი
ყვავილი
სოფელი ყაზბეგში
იუპიტ. თანამგ ზავრი
ფუტკრის ოჯახი
საოპერო პარტია
დროშა ანუ..
ქალაქი იქვონიაში
წონის ერთეული
პლიტიკ. ორგან.





## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 2 | 3 | 1 | 9 | 7 | 8 | 6 |
| 1 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 2 | 4 |
| 6 | 8 | 7 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 3 | 6 | 5 | 4 | 8 | 7 | 2 | 9 | 1 |
| 2 | 7 | 1 | 9 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 |
| 9 | 4 | 8 | 2 | 3 | 1 | 6 | 5 | 7 |
| 8 | 9 | 6 | 1 | 5 | 3 | 4 | 7 | 2 |
| 7 | 2 | 4 | 6 | 9 | 8 | 1 | 3 | 5 |
| 5 | 1 | 3 | 7 | 2 | 4 | 9 | 6 | 8 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 7 | 9 | 6 | 5 | 4 | 2 | 1 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 4 | 8 | 7 | 5 | 6 | 3 |
| 5 | 9 | 6 | 1 | 4 | 8 | 3 | 7 | 2 |
| 4 | 7 | 3 | 6 | 9 | 2 | 1 | 5 | 8 |
| 1 | 2 | 8 | 7 | 5 | 3 | 6 | 4 | 9 |
| 9 | 8 | 2 | 5 | 1 | 4 | 7 | 3 | 6 |
| 7 | 6 | 5 | 2 | 3 | 9 | 8 | 1 | 4 |
| 3 | 4 | 1 | 8 | 7 | 6 | 2 | 9 | 5 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 5 | 2 | 9 | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 1 | 7 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 8 | 9 |
| 2 | 5 | 8 | 7 | 4 | 1 | 9 | 3 | 6 |
| 9 | 1 | 6 | 8 | 3 | 2 | 7 | 4 | 5 |
| 4 | 3 | 7 | 9 | 6 | 5 | 1 | 2 | 8 |
| 8 | 6 | 3 | 5 | 2 | 9 | 4 | 7 | 1 |
| 7 | 9 | 2 | 4 | 1 | 8 | 5 | 6 | 3 |
| 5 | 4 | 1 | 3 | 7 | 6 | 8 | 9 | 2 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 4 | 3 | 6 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 3 | 1 | 9 | 8 | 2 | 7 | 4 | 6 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 9 | 4 | 5 | 1 | 3 | 2 |
| 4 | 9 | 1 | 2 | 3 | 6 | 5 | 7 | 8 |
| 2 | 8 | 7 | 5 | 1 | 4 | 6 | 9 | 3 |
| 6 | 5 | 3 | 7 | 9 | 8 | 2 | 4 | 1 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 8 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 1 | 3 | 2 | 6 | 7 | 9 | 8 | 5 | 4 |
| 9 | 4 | 8 | 1 | 5 | 3 | 7 | 2 | 6 |

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები







# ჰოროსკოპი
## 17 მარტი

***ვერძი*** — დღეს აუცილებლად დაგჭირდებათ ამაღლებული განწყობა და ემოციები. ამის მიღწევას კი დიდი „რაოდენობით“ კლასიკური მუსიკის მოსმენითა და ლიტერატურის კითხვით შეძლებთ.

***კურო*** — კუროებს დღეს წყლის სტიქია თავშეუკავებლად გაიტაცებს, რაც შესაძლოა, საშიში აღმოჩნდეს. შეეცადეთ, მორევში არ აღმოჩნდეთ და არ ჩაიძიროთ.

***ტყუპები*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე საკმაოდ გრძელი და დამღლელი იქნება. შეიძლება მხოლოდ ის ისურვოთ, რომ დღე რაც შეიძლება მალე დასრულდეს.

***კირჩხიბი*** — არ ღირს, დღეს საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, რადგან არის რეალური რისკი, რომ ამ საზოგადოებაში ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდება, ვისი ნახვაც მაინცდამაინც არ გაგახარებთ.

***ლომი*** — დღე შესაძლოა, ძალიან „ცხელი“ მოგეჩვენოთ. ბევრი საინტერესო რამ მოხდება და უმრავლესობა — ერთდროულად. დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, საღამოსთვის მაინც რომ გაერიდოთ მოვლენების ეპიცენტრს.

***ქალწული*** — ვიდრე სამსახურის შეცვლას გადაწყვეტთ, ჯერ კარგად დაფიქრდით ამ ნაბიჯის მართებულობაზე. შესაძლოა, ამან იქ არ მიგიყვანოთ, სადაც გსურთ, რომ მოხვდეთ.

***სასწორი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღეს დიდია ალბათობა ოჯახის წევრებთან კამათისა. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ორმხრივ ბრალდებებს და რაც მთავარია, კამათს პირველი ნუ დაიწყებთ.

***ღრიანკალი*** — თქვენი დღე მშვიდი და აუჩქარებელი იქნება. თავისუფლად შეგიძლიათ, რეალობას დროებით გამოეთიშოთ და თავს საკუთარ წარმოდგენებში განებივრების ნება მისცეთ, იოცნებოთ. დღის მეორე ნახევარში კარგია იქნება, თუ სილამაზის სალონს ესტუმრებით ან მაღაზიებში გაივლით და ახალ კოსმეტიკას შეიძენთ.

***მშვილდოსანი*** — დღეს იმის გაკეთება მოგიწევთ, რაც არასოდეს გაგიკეთებიათ. ეს ნერვებსა და ენერგიას წაგართმევთ, სამაგიეროდ, დღეს აზრიანად გაატარებთ. საღამოს სჯობს, მეგობრებს ესტუმროთ ან ერთად თეატრსა თუ კინოში წახვიდეთ.

***თხის რქა*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს ფიზიკურ შრომას მიუძღვნან თავი. გონებრივი სამუშაოსგან ზოგჯერ დასვენება აუცილებელია. საღამოს კარგად დაისვენეთ, წყნარ მუსიკას მოუსმინეთ ან დრო ოჯახის წევრებთან სასიამოვნო საუბარში გაატარეთ.

***მერწყული*** — დღეს ისეთი ენერგიული იქნებით, რომ იმათაც გააოცებთ, ვინც დიდი ხანია გიცნობთ. მათი გაოგნება კი უფრო მეტ სტიმულს მოგცემთ აქტიურობისთვის. დღეს გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, შესაძლოა, სასიცოცხლო ენერგია დაქვეითდეს და გადაიღალოთ.

***თევზები*** — დღეს ისეთი აკურატული და მოწესრიგებული იქნებით, როგორც არასოდეს. დისციპლინას ისე არაფერი აყალიბებს, როგორც იმის შემეცნება, რომ საკუთარ თავს ეკუთვნით და არავის წინაშე არ ხართ ვალდებული, ანგარიში აბაროთ.

# ყველაზე სასარგებლო პროდუქტები

პოპულარული გამოცემა „ფორბსი“ ცოტა ხნით ფინანსების თვლას შეეშვა და, ამჯერად, ყველაზე სასარგებლო პროდუქტების რეიტინგი შეადგინა. სიაში ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო საკვები შევიდა, მიუხედავად წარმოშობის ადგილისა, კულინარიული ტრადიციისა და სამკურნალო დიეტისა. ასეთებს მიაკუთვნეს კენკრა, კაკალი, პარკოსნები, რომელიც ყველა დღეგრძელი ადამიანის მენიუში შედის. ბროწეულის წვენი კი, რომელიც წნევას აქვეითებს და კიბოს უჯრედებს ებრძვის, „ბუნებრივ ვიაგრადაც“ აღიარეს. „ფორბსი“ უარყოფს ზოგიერთი პოპულარული დიეტოლოგის მოსაზრებას ხორცთან დაკავშირებით და ამტკიცებს, რომ საქონლის ახალი ხორცი ერთ-ერთი ყველაზე ჯანსაღი და ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროდუქტია. ორგანიზმისთვის ასეთივე აუცილებელ საკვებ კომპონენტებს მიაკუთვნეს ახალი რძე და კვერცხი, ასევე ოკეანეში დაჭერილი ცოცხალი თევზი. გამოცემა იმასაც გვახსენებს, რომ დედამიწაზე არ არსებობს „ცუდი“ ბოსტნეული, განსაკუთრებით კი, კომბოსტოს საკვებ ღირებულებებზე ამახვილებს ყურადღებას. ვაშლის სამკურნალო ძალაც, ასევე კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზეა დადასტურებული და ხილს შორის ის ერთ-ერთი პირველია. ხახვი და ნიორიც, რასაკვირველია, ასევე რეკომენდებულია იმ ადამიანთა რაციონისთვის, ვისაც დიდხანს სიცოცხლე სურს. რაც შეეხება სასმელს, აქ „პირველობის პალმას“ ჯანმრთელობის ელექსირი — მწვანე ჩაი ფლობს. როგორც გამოცემა გვირჩევს, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პროდუქტი უმად ან მინიმალურად დამუშავებული უნდა მივიღოთ, რათა სამკურნალო თვისებები შეუნარჩუნდეს.



# საპატარძლოები იმქვეყნიდან



ცოტა ხნის წინ, ოთხ ჩინელ მამაკაცს ისეთი ბრალდებები წაუყენეს, ნებისმიერ საშინელებათა ფილმს რომ შეშურდებოდა: ისინი ახალგაზრდა გოგონების გვამებს ილებდნენ საფლავებიდან და... ათხოვებდნენ. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გვამებს იმ ოჯახებზე ყიდდნენ, სადაც დაუქორწინებელი მამაკაცები გარდაიცვალნენ და „ახალგაზრდებს“ დაქორწინების შემდეგ, ერთად კრძალავდნენ. სასამართლოს მასალების მიხედვით, ათი ასეთი „პატარძლის“ გვამი 38 ათას დოლარად გაიყიდა. თავად იდეა „სიკვდილის შემდგომ დაქორწინებისა“ ჩინეთისთვის არახალია და დაუოჯახებელი გარდაცვლილისთვის „მეუღლის“ შერჩევის ტრადიცია ქვეყანაში უძველესი დროიდან არსებობს. თანამედროვე ჩინეთში „მოჩვენებათა ქორწინება“, როგორც აქ უწოდებენ, უკვე იშვიათობაა, თუმცა, ზოგიერთ პროვინციაში ჯერ კიდევ მიმართავენ ამ უცნაურ რიტუალს — მიცვალებულის დასაქორწინებლად და შესაფერისი „მეწყვილის“ მოსაძებნად მაჭანკალს ქირაობენ. წლების წინ კი „საპატარძლოების გამყიდველები“ სპეციალურად ხოცავდნენ ახალგაზრდა გოგონებს გარდაცვლილი უცოლო მამაკაცებისთვის.

# იმპოტენციას ბაყაყით ებრძვიან




პერუში სხვადასხვა დაავადებას უცნაური საშუალებით — ბაყაყის წვენით ებრძვიან. ლიმას ერთ-ერთი მცხოვრები კარმენ გონსალესი საკუთარ დუქანში ამზადებს ამ სასწაულმოქმედ სასმელს, რომელიც, პერუელთა მტკიცებით, კურნავს ასთმას, ბრონქიტსა და იმპოტენციას. ეგრეთ წოდებული, პერუს ვიაგრას ულუფა, დაახლოებით, 90 ცენტი ღირს, სასმელს კი ასე ამზადებენ — სპეციალური აკვარიუმიდან იღებენ ბაყაყს, დარტყმით თიშავენ, მერე მუცელზე ორ ადგილას ჭრიან და კანს აძრობენ. მიქსერში ათავსებენ ლობიოს ნახარშს, თაფლს, ალოეს, ანდების ყაყაჩოს ფესვებსა და გატყავებულ ბაყაყს. ამ ინგრედიენტებისგან მიღებული ნარევი ბლანტი სითხეა, რომელიც ყელს წვავს, თუმცა, მიუხედავად ამისა, გონსალესის დუქანში ამ უცნაურ „ვიაგრას“ ყოველდღიურად 100-მდე ადამიანი მაინც მიირთმევს.

# შოკოლადის საჭმელად მოხალისეებს ეძებენ



აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის თანამშრომლები მოხალისეებს ეძებენ, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში, ყოველდღე შოკოლადი უნდა ჭამონ. როგორც სწავლულები აცხადებენ, შავი შოკოლადის სარგებლიანობის გამოსავლენად, სუსტი სქესის 40 წარმომადგენელი სჭირდებათ. ქალბატონებმა ყოველდღე სპეციალურად შექმნილი შავი შოკოლადის ფილა უნდა მიირთვან. ფლავონოიდებით გამდიდრებულ ტკბილეულს კი ამ გამოკვლევისთვის ცნობილი ბელგიური კომპანია დაამზადებს. სხვათა შორის, ექსპერიმენტის მონაწილეებს საკმაოდ მკაცრ პირობებს უყენებენ: ქალები პოსტკლიმაქსურ ასაკში უნდა იყვნენ, მეორე ტიპის დიაბეტი უნდა ჰქონდეთ და არ უნდა ეწეოდნენ. ექსპერიმენტის მიზანი კი იმის გარკვევაა, შეუძლია თუ არა შავ შოკოლადში არსებულ ფლავონოიდებს გულის დაავადებების რისკის შემცირება.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3 | 7 | | | 1 |
| | | | | | | 8 | | |
| 2 | 9 | | | 1 | | 6 | | |
| | | | | | 3 | | | 9 |
| 3 | | 9 | 6 | 2 | 1 | 7 | | 4 |
| 1 | | | 4 | | | | | |
| | | 3 | | 8 | | | 7 | 5 |
| | | 2 | | | | | | |
| 5 | | | 2 | 7 | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | 9 | | | | 4 | |
| | | 3 | | | | | 5 | 1 |
| | 4 | | | 3 | | | | |
| 9 | | | 6 | | 3 | 7 | | |
| | | | | 1 | | | | |
| | | 6 | 7 | | 8 | | | 9 |
| | | | | 9 | | | 7 | |
| 6 | 1 | | | | | 4 | | |
| | 2 | | | | 1 | 5 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | | | | | 9 |
| 2 | | | 1 | | | | | |
| | 5 | | | | 7 | | 4 | |
| | 3 | | 8 | | | 9 | | |
| | 2 | 9 | | 1 | | 3 | 7 | |
| | | 4 | | | 5 | | 6 | |
| | 1 | | 9 | | | | 2 | |
| | | | | | 8 | | | 6 |
| 3 | | | | | | 8 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 6 | 9 | | 1 | |
| | | 1 | | | | 6 | | 9 |
| | | | | 2 | | 7 | 8 | |
| 5 | | | | | 8 | | 7 | |
| | | 7 | | 9 | | 5 | | |
| | 6 | | 1 | | | | | 3 |
| | 7 | 6 | | 1 | | | | |
| 2 | | 5 | | | | 3 | | |
| | 8 | | 6 | 4 | | | | |

## ბედნიერება ვირუსივით ვრცელდება



ადამიანებს შორის ბედნიერება სასიკეთო ვირუსივით ვრცელდება, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ აშშ-ს სან-დიეგოს უნივერსიტეტის სწავლულები, რომელთაც შესაბამისი გამოკვლევა ჩაატარეს. მათ 5 ათასი ადამიანი და 50 ათასი ახლობელი თუ ნაცნობი გამოკითხეს. გაირკვა, რომ ბედნიერება კოლექტიურია და ეს შეგრძნება დიდწილად დამოკიდებულია მეგობრების ბედნიერებაზე. ერთი ადამიანის სიხარული შეიძლება, გავრცელდეს და ხელი შეუწყოს სხვა ადამიანების გაბედნიერებასაც. გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ თუ ერთი ადამიანი ბედნიერია, ის გარშემომყოფების გაბედნიერების შანსს 25%-ით ზრდის.




## „ლაიქებით“ ადამიანს ამოიცნობენ

ბრიტანელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ალგორითმი, რომლის მეშვეობითაც, სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“, მოწონებების მიხედვით, პრაქტიკულად, ზუსტად შეიძლება მომხმარებლის ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, ინტერესებისა და ინტელექტის დონის დადგენა. ამ ალგორითმის დასაწერად, ექსპერიმენტული ჯგუფი შექმნეს, რომელშიც 58 ათასი ადამიანი შედიოდა, რომელმაც მკვლევარებს სოციალურ ქსელში პერსონალურ გვერდზე შესვლის ნება დართო. შეგროვილი მონაცემების მიხედვით კი შემუშავდა პროგრამა, რომელსაც შეუძლია განსხვავებულ მომხმარებლებს შორის საერთო თვისებები გამონახოს და შესაბამისი დასკვნები გააკეთოს ცალკეულ ადამიანზე. ავტორები აცხადებენ, რომ ალგორითმი 95%-იანი სიზუსტით გამოიცნობს „ფეისბუქის“ მომხმარებლის რასას, 88%-ით სწორად იცნობს სექსუალურ ორიენტაციას, პოლიტიკურ სიმპათიას — 85%-ით, ალმსარებლობას — 82%-ით. გარდა ამისა, ამ პროგრამის მეშვეობით, 73%-იანი სიზუსტით შეიძლება დადგინდეს, არის თუ არა ადამიანი ნარკოტიკების მომხმარებელი. ალგორითმის ავტორები კვლავ განაგრძობენ კვლევას, სოციალური ქსელის მომხმარებლებს კი ურჩევენ, საკუთარი მონაცემები დახურული დატოვონ, რათა თაღლითებმა არ ისარგებლონ ანალოგიური ალგორითმით.

## რობოტი სკოლაში დადის



ნიუ-იორკის შტატში, პატარა ქალაქ უესტ-სენეკას დაწყებით სკოლა „უინჩესტერში“ უჩვეულო „მოწაფეს“ — 120 სანტიმეტრიან, თეთრ რობოტს შეხვდებით. ტექნიკის ეს სასწაული დევონ კეროუს — ავადმყოფი ბიჭის წარგზავნილია, რომელსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სკოლაში სიარული არ შეუძლია. ამ რობოტის მეშვეობით კი, რომელიც ამერიკულმა კომპანიამ VGo Communications შექმნა, დევონს გაკვეთილებზე დასწრებისა და თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება ეძლევა. ყველაზე გასაოცარი კი ბიჭის თანაკლასელების, 7 წლის ბავშვების რეაქციაა, რომლებიც ვიდეოთამაშების, ტელევიზორის, მობილურებისა და პლანშეტების „ძალადობის“ ეპოქაში იზრდებიან. მათთვის რობოტის კლასში ყოფნა თავად დევონოს ყოფნასთან ასოცირდება. ასეთი კლასელის არსებობა მათთვის ჩვეულებრივი რამაა, მიუხედავად ზოგიერთი მშობლისა და მასწავლებლის მოსაზრებისა. „უინჩესტერის“ სკოლამდე, კეროუს ოჯახს სხვა სასწავლო დაწესებულებებმა უარი განუცხადეს იმ მიზეზით, რომ რობოტს ვერ ასწავლიდნენ. თავად დევონი სულ სახლში იმყოფება, მას საკვებზე ალერგიის მძიმე ფორმა აქვს, რომლის გამოც, ორჯერ იმყოფებოდა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. ყოველ დილას, ქალბატონი კეროუ იძულებულია, შვილის ნაცვლად, სკოლაში რობოტი „წაიყვანოს“, დევონი კი, მისი წყალობით, სულ კავშირზეა.

## იაპონელები ფერად ლუდს ყიდიან

იაპონურმა ლუდსახარშმა კომპანიამ Hokkaido Abashiri Beer სამფეროვანი, ცისფერი, წითელი და მწვანე ლუდის გამოშვება დაიწყო. ალკოჰოლური სასმელის სამივე სახეობა დიდად არ განსხვავდება სტანდარტული ქარვისფერი სითხისგან, სპეციფიკურ შეფერილობას მას განსაკუთრებული ინგრედიენტები ანიჭებს. ასე მაგალითად, ცისფერ და მწვანე ლუდში მცირე რაოდენობით ზღვის წყალმცენარეებს ამატებენ, წითელი ფერის სასმელი კი ასკილისა და მასში არსებული მცენარეული პიგმენტების — ანტოციანების წყალობით მიიღება. გარდა ამისა, იაპონელი მწარმოებლები გვიმტკიცებენ, რომ ახალ ლუდში, ოხოტის ზღვაში არსებული აისბერგების გამდნარ წყალს იყენებენ. ნებისმიერი ფერის ლუდის ერთი ნაკრები, რომელშიც ექვსი ბოთლი შედის, მყიდველს 32 დოლარი დაუჯდება. ალკოჰოლის შემცველობა კი ფერად ლუდში 5%-ს არ აღემატება.







## გთხოვთ დავეხმაროთ!

ნატალია სარდლიშვილს ექიმებმა დაუსვეს სისხლძარღვოვანი კეთილთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი. დაავადება საქართველოში არ იკურნება. სიმსივნე იწვევს ბავშვის ძლიერ დამახინჯებას და ასევე საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, რადგან სიმსივნე გარდა სახისა განლაგებულია პირის ღრუში, თვალსა და ყურში. ნატალიას ჩაუტარდა მკურნალობის ნაწილი და მას აქვს გასაოცარი შედეგები. სამწუხაროდ, ოჯახს აღარ გააჩნია არავითარი საშუალება, მკურნალობის გასაგრძელებლად, რომელიც უნდა იქნეს ჩატარებული ბერლინში.

საბანკო რეკვიზიტები: GE22BG 0000000 893180100 (საქართველოს ბანკი)

მიმღები: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ჰემანგიომა2009“



დარეკეთ :0 901 700 324 ბილაინი MAGTI Geocell Beeline

577-187704, 577-187705. ტრისტანი



Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე

მისამართი: ნუცუბიძის №16ა

ტელ.: (5)99 22 98 33

ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანქტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.